პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მაისი **ორშაბათი** 2010
№ 125 (13 113) ფასი 60 თეთრი

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა



11 დღე

SOUTH AFRICA 2010 FIFA WORLD CUP

კალათბურთი



## ვირტუსს მარკოიშვილი სურს

>> გვერდი 12

# შანსი დარჩა, მაგრამ...



>> გვერდი 2-3

ფეხბურთი



## პრანდელი დამტკიცდა

>> გვერდი 10

ფეხბურთი



## გერმანიამ ვესტერმანიც დაკარგა

>> გვერდი 6

# ზირაქაშვილი საფრანგეთის ჩემპიონია

>> გვერდი 13



მარჯვნივ დავით ზირაქაშვილი



## ტატიშვილი: წლის პირველი ტიტული

>> გვერდი 12

U 21

საქართველო-შვეიცარია. საკვალიფიკაციო მატჩი

30.05. თბილისი. ეროვნული.
27 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| შვეიცარია | 0 |

საქართველო: კვასხვაძე - კვეკვესკირი, კაკუბავა, ხიდეშელი, თოთაძე - კლიმიაშვილი (11. განუგრავა/76. ბენაშვილი), ოქრიაშვილი, დაუშვილი, ივანიშვილი, ანანიძე - ბარაბაძე (79. ვანაძე).
სათადარიგოები: ბახტაძე, მირცხულავა, ძალამიძე, გოცირიძე.
შვეიცარია: ზომერი - როლფ ფელტშერი, კოხი (35. აბრაში), აფოლტერი, პავლოვიჩი - ფრანკ ფელტშერი, ხოხშტრასერი, კასამი, შურპფი (81. ვისი) - ბენ ჰალიფა, კიაროკი (46. კოსტანცო).
სათადარიგოები: ფიკენტშერი, ნიკჩი, გრიპო, კლაუსი.
გაფრთხილებები: განუგრავა (33), დაუშვილი (45), კასამი (45), ხოხშტრასერი (63), ფ. ფელტშერი (67), კოსტანცო (70), ბარაბაძე (76), აბრაში (93)
არბიტრი: რ. ტრუტცი (სლოვაკეთი)

# შანსი გვაქვს, მაგრამ...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მხოლოდ ქულა მოიპოვა და ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებიც საკმაოდ შემცირდა. აშკარაა, **პიერლუიჯი ტამმა** (შვეიცარიელთა მთავარი მწვრთნელი) კარგად შეისწავლა მოწინააღმდეგე და სტუმრები გამართულად ათამაშა. ფეხბურთელები მოედანზე მწვრთნელის დავალებას ისე ასრულებდნენ, თითქოს ტამი გუნდის მონახაზს ცოცხლად ხატავდა.

ქართველები მონდომებითა და აქტიურად თამაშობდნენ და ვიყოთ ობიექტურები - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყნის მომავალი თაობის წინააღმდეგ ცუდად არ ითამაშეს. ვფიქრობ, რომ ფრე ცუდი შედეგი არ არის. თუმცა ჩვენს ახალგაზრდებს მეტი შეეძლოთ, უფრო მეტი აგრესიით რომ ეთამაშათ, ნაკლები ხარვეზი რომ ჰქონოდათ... რა თქმა უნდა, „შეეძლოთ" ვარაუდია, „შეძლეს" კი ფაქტი და ვილაპარაკოთ არა ვარაუდებით, არამედ ფაქტებით.

პიერლუიჯი ტამმა ჩვენი ნაკრები კარგად რომ შეისწავლა, ეს ფლანგების თამაშისას გამოჩნდა. შვეიცარიელები უხეშობით, მცირე ჯარიმებითა და ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ მასპინძელთა ფლანგების ჩაკეტვას. ეს შეძლეს და **ოთარ გაბელიას** გუნდს ერთ-ერთი მთავარი კოზირი გამოაცალეს.

სტუმრებს საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია მთავარ არბიტრმა **რიჩარდ ტრუტცმაც**. უკვე მეორე წუთზე **ჯანო ანანიძე პასკალ შურპფმა** უკნიდან უხეშად მოცელა. ამ დროს ობიექტური არბიტრი ყვითელ ბარათს ამოიღებდა და უხეშ ფეხბურთელს თუ გუნდს თავიდანვე დააწყნარებდა. ტრუტცმა კი სტუმრებს უხეშობაზე „მწვანე შუქი" აუნთო და მათ ეს სიგნალი მშვენივრად გაიგეს.

ამის ნათელი მაგალითი იყო 17-ე წუთზე შვეიცარიის კარში არჩათვლილი გოლი: სტუმართა მეკარე **იან ზომერი** გამოსვლაზე შეცდა და ბურთი ხელიდან გაუვარდა. ამით **რეზო ბარაბაძემ** ისარგებლა, მეკარესა და მცველებს ბურთი თავზე გადაუგდო და გაიტანა. გვერდითმა არბიტრმა **რომან სლიშკომ** „სლიშკომ" უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ბარაბაძეს თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა. არადა, ბურთის საჯარიმოში ჩაკიდების დროს, ქართველი ფორვარდის წინ ლამის მთელი სტუმართა დაცვა იყო განლაგებული.

სტუმრები შეგნებულად ცდილობდნენ მცირე უხეშობით (ზოგჯერ, აშკარა უხეშობითაც) მასპინძელთა შეტევების ჩაშლას. მარცხენა ფლანგზე ანანიძეს მუდმივად ცელავდნენ. მერვე წუთზე **ირაკლი კლიმიაშვილი** დაშავდა და მოედანი მალე დატოვა.

გაბელიამ გუნდი სასწრაფოდ გადააწყო და მის ნაცვლად მოედანზე **გიორგი განუგრავა** შეიყვანა, რომელმაც მოედნის ცენტრში **გიორგი ივანიშვილის** ადგილი დაიკავა. ამ უკანასკნელმა კი ფლანგზე კლიმიაშვილის პოზიციაზე გადაინაცვლა.

არჩეული სტრატეგიით, შვეიცარიელები მასპინძლებს შეტევების სწრაფად განვითარების შანსს ართმევდნენ, ტემპს უგდებდნენ და პირველ ტაიმში მოედანზე ვითარების გაკონტროლებას ახერხებდნენ.

ბუნებრივია, მხოლოდ მსაჯობასა და უხეშობაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. უპირველესად, სწორედ მასპინძლების ბრალია, სწრაფი შეტევების განხორციელებას რომ ვერ ახერხებდნენ.

შვეიცარიელებმა დასაწყისში მოედნის ცენტრი კარგად ამოკეტეს და საქართველოს ნაკრებს ბურთი სწრაფი ამოტანა და შეტევის წამოწყება ძალიან უჭირდა. საყრდენი **ბუბა დაუშვილი** და გამთამაშებლები, **თორნიკე ოქრიაშვილი** და **გიორგი ივანიშვილი** ბურთის წინ გადაწოდებას ვერ ახერხებდნენ. ხშირი იყო ბურთის გადაწოდება უკან, გვერდზე და არა წინ. არადა, მოულოდნელობისა და სწრაფი შეტევის გარანტია მხოლოდ წინ გადაწოდებაა.

ფლანგებიც ჩაგვიკეტეს და ქართველების კოზირები მაქსიმალურად განეიტრალდა. უცნაური იყო ის ფაქტი, რომ ტაიმის დასასრულსა და მეორე ტაიმის დასაწყისში ფეხბურთელები ჯანო ანანიძეს ვერ ამჩნევდნენ და გადაცემებით არ ამარაგებდნენ. არადა, შეტევების გამწვავებას ყველაზე მეტად ჯანო ახერხებდა.

ამიტომ, პირველ ტაიმში მასპინძლებმა რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს. მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი იყო 39-ე წუთზე განხორციელებული შეტევა: ივანიშვილმა დასარტყამ პოზიციაზე განუგრავა გაიყვანა, მაგრამ მას მცველი ჩაუწვა და ვითარება განმუხტა. ტაიმის მიწურულს კი იმავე ივანიშვილმა საჯარიმოდან სცადა კარის აღება, მაგრამ მეკარე ზომერმა საიმედოდ ითამაშა.

შეიცარიელებიდან განსაკუთრებით **პაიტიმ კასამი** აქტიურობდა, რომელიც შორეული დარტყმით ორჯერ შეეცადა ანგარიშის გახსნას. თუმცა, ყველაზე რეალური მომენტი **ნასიმ ბენ ჰალიფას** ჰქონდა, რომელიც 35-ე წუთზე კარის წინ უმეთვალყურეოდ დატოვეს, მაგრამ სტუმართა ფორვარდის თავურ დარტყმას **როინ კვასხვაძისთვის** პრობლემა არ შეუქმნია.

მეორე ტაიმი შვეიცარიელებმა უფრო აქტიურად დაიწყეს და 47-ე წუთი ჩვენებისთვის კინალამ სავალალოდ დასრულდა: მცველები შეცდნენ და კასამმა ახლო მანძილიდან დაარტყა - ბურთი კარს ასცდა.

მერე და მერე მასპინძლები ისევ გამოცოცხლდნენ: 54-ე წუთზე რეალური საგოლე მომენტი ანანიძის მშვენიერ გარღვევას მოჰყვა, საჯარიმოში შეჭრილ ივანიშვილს მცველები ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ სუსტად დაარტყა და ზომერმა აჯობა.

57-ე წუთზე სტადიონზე „შევარდნაძე" დაბრუნდა - განათება გამოირთო. თამაში 7 წუთში განახლდა. არბიტრმა კი მთლიანობაში მატჩს 8 წუთი დაამატა, მაშინ, როცა თამაში ბევრჯერ შეფერხდა. გამოდის, რომ რეალურად სლოვაკმა რეფერიმ თამაშს მხოლოდ 1 წუთის წაამატა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი გადაწყვეტილება იყო...

59-ე წუთზე ჩვენებმა კვლავ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, ოქრიაშვილის გადაცემის დაგვირგვინებას ბარაბაძე ცდილობდა - ძლიერი დარტყმა ხარიხას სანტიმეტრებში გადაევლო.

67-ე წუთზე კვასხვაძე გამოსვლაზე შეცდა და ბურთი საჯარიმოს ხაზთან **პასკალ შურპფს** მიუგორდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა, ფეხებში ჩაუწვა და საკუთარი შეცდომა თავადვე გამოასწორა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძლებმა უკანმოუხედავად შეუტიეს. აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში შეცვლაზე შემოსული **ლექსო ბენაშვილი** და **მათე ვანაძე**, მაგრამ შვეიცარიული საათივით აწყობილ სტუმართა დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

ამგვარად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსები შემცირდა. დარჩენილ შეხვედრებში, ოთარ გაბელიას შეგირდებს ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ - ევრო 2011-ის საგზურის მოპოვება გასვლაზე (სომხეთი, თურქეთი) და შინ (სომხეთთან) დარჩენილ სამ მატჩში გამარჯვებითაა შესაძლებელი.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ბიჭებმა მონდომებითა და ბრძოლით გულშემატკივრებში იმედი დათესეს და მათგან წაგება და ფრე ამიტომ გვიკვირს, ვითხოვთ მეტს, მაგრამ მეტისმეტსაც ხომ არ ვინდომებთ იმ ქვეყანაში, სადაც საერთაშორისო მატჩის მიღება მხოლოდ ერთ სტადიონზეა შესაძლებელი?

**მერაბ მამულაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები





| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 3. ესტონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-11 | 12 |
| 4. სომხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-16 | 10 |
| 5. საქართველო | 7 | 2 | 3 | 2 | 8-5 | 9 |
| 6. ირლანდია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-13 | 4 |

**დარჩენილი მატჩები**

**10 აგვისტო**
ირლანდია-ესტონეთი

**11 აგვისტო**
სომხეთი-საქართველო

**3 სექტემბერი**
შვეიცარია-ირლანდია

**4 სექტემბერი**
თურქეთი-საქართველო

**7 სექტემბერი**
საქართველო-სომხეთი
თურქეთი-ირლანდია

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21 — პრესკონფერენცია

## პიერლუიჯი ტამი: შედეგი ჩვენთვის ნორმალურია

**მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შვეიცარიელთა მთავარი მწვრთნელი პიერლუიჯი ტამი არ გამოცხადებულა. სტუმრებს აეროპორტისკენ მიეჩქარებოდათ და ამიტომაც მასპინძლები თავიდანვე გააფრთხილეს, რომ პრესკონფერენციას ვერ დაესწრებოდნენ. შესაძლოა, ეს მაინც მოეხერხებინათ, მაგრამ სტადიონზე შუქის ჩაქრობამ და ამით გამოწვეულმა შეფერხებამ მათ თავისუფალი დრო საერთოდ აღარ დაუტოვა.**

**ამის მიუხედავად, გასახდელიდან ავტობუსისკენ მიმავალმა შვეიცარიელებმა მცირე კომენტარი მაინც გააკეთეს. ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, მათი თავკაცის მოსაზრება იყო. ტამი ვარჯიშებზეც სიტყვაუხვი იყო და დროის სიმცირის მიუხედავად, მატჩი მაინც შეაფასა.**

– როგორც ველოდით, შეხვედრა ჩვენთვის ძალიან რთული გამოდგა. საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში შვეიცარიაშიც გაგვიჭირდა, დღეს კი კიდევ უფრო რთული გამოცდა ჩავატარეთ. ქართველმა ფეხბურთელებმა გულშემატკივართა დახმარებით ბევრი თავსატეხი გაგვიჩინეს, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობებს ჩემმა მოთამაშეებმაც ნორმალურად გაართვეს თავი. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია. რომ არა სერიოზული საკადრო პრობლემები, გამარჯვების გაცილებით დიდი შანსი გვექნებოდა.

**– რამდენად მისაღებია ეს შედეგი თქვენთვის?**

– ბუნებრივია, გამარჯვება გვერჩივნა, მაგრამ ისიც კარგია, შინ ხელცარიელნი რომ არ ვბრუნდებით. თანაც, ჩვენს შესარჩევ ჯგუფს კვლავაც ერთპიროვნულად ვლიდერობთ. თავიდანვე ვიცოდით, თბილისში ძალიან ძნელი მატჩი რომ გველოდა და ამისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით. იმაშიც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჯგუფში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები მხოლოდ მოსაგებად იბრძოლებდა და შესაფერისი ტაქტიკაც ავირჩიეთ.

შეხვედრის შესახებ კომენტარი შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ორმა ფეხბურთელმაც გააკეთა.

**დანიელ პავლოვიჩი:** *„ძალიან დაძაბული მატჩი იყო და ვფიქრობ, მაყურებელმა მაღალი დონის ფეხბურთი იხილა. გამარჯვება ორივე გუნდს უნდოდა, მაგრამ საბოლოოდ, სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა“.*

**მორენო კოსტანცო:** *„საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია და დღესაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. კარგია, რომ გასვლით შეხვედრაში მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ“.*

## ოთარ გაბელია: შანსი ჯერ კიდევ გვაქვს

**შვეიცარიელი კოლეგისგან განსხვავებით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია პრესკონფერენციაზეც მოვიდა და მედიის ინტერესიც ამომწურავად დააკმაყოფილა.**

– მეტად ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ იმის მიუხედავად, რომ შვეიცარიის ნაკრებს არაერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი აკლდა. მათ აქვთ იმის რესურსი, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ და ახლაც ასე იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ჩვენ გვითამაშია ოპტიმალური შემადგენლობით – გვაკლდნენ ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გულვერდ თომაშვილი.

არ ვიცი, რატომ გააუქმა მსაჯმა ჩვენ მიერ შვეიცარიის კარში გატანილი გოლი. დარწმუნებული ვარ, ქართველი ფეხბურთელები არც თამაშგარე მდგომარეობაში ყოფილან და არც თამაშის წესი დაურღვევიათ. ზუსტად ვიცი, რომ ერთ-ერთი თანამსაჯისთვის ეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. არ მესმის, მაინცდამაინც ჩვენს მატჩებზე რატომ გადიან ისინი პრაქტიკას.

სეზონის ბოლოა, ფეხბურთელები გადაღლილები არიან, ამას დაუმატეთ საქართველოს თასის ფინალი, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების არაერთმა ფეხბურთელმა მიიღო... ამ ყველაფრის მიუხედავად, წუწუნსა და თავის მართლებას ნამდვილად არ ვაპირებ. ჩვენ გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ და რაც მოხდა, მოხდა.

ცდა არ დაგვიკლია, რომ გამარჯვებისთვის მიგვეღწია, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა. ქულების დაკარგვა რაღა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ ამისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს. ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მის გამოყენებას ბოლომდე შევეცდებით. სამი მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი და სამივეს მოსაგებად ვიბრძოლებთ. ამასობაში, წამყვანი ფეხბურთელებიც დაგვიბრუნდებიან და წარმატებისთვის თავს არ დავზოგავთ. გარკვეულწილად, ფსიქოლოგიური წნეხის გარეშეც ვითამაშებთ, რადგან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ჩვენგან გადაჭრით არავინ ითხოვს.

**– შეცვლაზე შესული განუგრავა მოედნიდან უკან რატომ გამოიყვანეთ?**

– პირველ რიგში, იმას აღვნიშნავ, რომ ირაკლი კლიმიაშვილის ტრავმამ ჩვენს თამაშს დიდი დაღი დაასვა და ნამდვილად არ ვაპირებდი მოედანზე განუგრავას პირველივე ტაიმში შეყვანას. გიორგი ახლად გამოჯანმრთელებულია და ამიტომაც ჯერ ფიზიკური მომზადება აკლია. მისი შეცვლაც გადაღლილობამ განაპირობა. კლიმიაშვილის ტრავმამ ისიც მაიძულა, რომ გიორგი ივანიშვილი ცენტრფორვარდის პოზიციიდან ნახევარდაცვის ფლანგზე გადამეყვანა. ბოლო დროს იგი თავის კლუბშიც ამ პოზიციაზე თამაშობს.

**– ბარაბაძის შეცვლა ხომ არ დაგიგვიანდათ?**

– იმედი მქონდა, რომ ტანმაღალი ბარაბაძე მეტოქის დაცვას დიდ პრობლემებს შეუქმნიდა, რასაც წინა მატჩებში წარმატებით ახერხებდა. დღეს მას თამაში არ წაუვიდა. შემეძლო, მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში მათე ვაწაძე დამეყენებინა, მაგრამ რაკი იგი ბოლო დროს „დინამოში“ შეცვლებზე თამაშობდა, სანაკრებო მატჩშიც შეცვლაზე შევუშვი.

**– ჯანო ანანიძის თამაშს როგორ შეაფასებთ?**

– დღეს მისი დღე ნამდვილად არ იყო, მაგრამ არა უშავს, მისი ასაკის ფეხბურთელი ყველა მატჩს მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებს. აქვე ნიკა კვეკვესკირს შევაქებ, მის თამაშს დადებითად შევაფასებ. საერთოდაც, მთელმა ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა, ერთი ეგ იყო, ჩვენს მცველებს შეტევაში სწრაფად წასვლა არ გამოსდიოდათ, რადგან მეტოქეს ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## უეფა არ დაგვსჯის

მეორე ტაიმში ჩამქრალმა შუქმა მატჩი დაახლოებით ათი წუთით შეაფერხა. მომხდარის მიზეზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილმა** განმარტა: *„შუქი ძაბვის ვარდნის გამო ჩაქრა, მაგრამ საბედნიეროდ, პრობლემის აღმოფხვრა დროულად მოხერხდა. საერთაშორისო შეხვედრებისას სტადიონზე განათება უფრო დიდი ხნითაც გათიშულა, მაგრამ მსაჯს თამაში გაუგრძელებია და მასპინძელი მხარისთვის უეფას სანქცია არ დაუკისრებია. ასე რომ, ამ მცირე ხარვეზის გამო ჯარიმა არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ემუქრება“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი

## გაგრა უძლეველია

ყოფილი ფეხბურთელი და ლანჩხუთის „გურიას“ ყოფილი ხელმძღვანელი **შალვა კაკაბაძე** არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოურ ფეხბურთში ცნობილი ფიგურაა. გუშინ მისი სახელობის ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი დასრულდა, რომელიც 8 გუნდის მონაწილეობით, 26 მაისს დაიწყო. ტურნირის ორგანიზატორი „ალგეთის“ თავკაცი **ლექსო გულიაშვილი** გახლდათ.

გათამაშება, რომელშიც 2001-02 წლებში დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ, საინტერესოდ წარიმართა და მასში, ქართული ფეხბურთის ცნობილი, არაერთი წარმომადგენლის შვილები მონაწილეობდნენ. გათამაშებას არბიტრი **ოთარ ხეცაძე** უძღვებოდა.

მე-3 ადგილისთვის მატჩში „მიმინომ“(მთ. მწვრთნელი **მიხეილ მოსიაშვილი**) „ნორჩი დინამოელი“ (მთ. მწვრთნელი **გოჩა ხიტირი**) 7:2 დაამარცხა. გოლები „მიმინოდან“ **ამირან ნოზაძემ (4), გიორგი ნერგაიამ, გიორგი კვაწინაძემ** და **ნიკა ქიტიაშვილმა** გაიტანეს, „ნორჩი დინამოელიდან“ კი **ლუკა რუსიეშვილმა** და **ლაშა ორდენიძემ**.

ფინალში კი „გაგრამ“ (მთ. მწვრთნელი **ლევან ჩხაიძე (თემურ ჩხაიძის** ვაჟი) „ოლიმპიკს“ (მთ. მწვრთნელი **გიგლა იმნაძე**) 5:1 სძლია. გაგრელთა გუნდიდან **ნიკა ასკურავამ** ჰეთ თრიკი, **გეგა ფაცაციამ** კი დუბლი შეასრულა. „ოლიმპიკიდან“ კი ერთადერთი გოლი **გიორგი ქამიბაძემ** გაიტანა. სხვათა შორის, „გაგრას“ კარს ყოფილ მეკარე **დავით მამარდაშვილის** ვაჟი, **გიორგი მამარდაშვილი** იცავდა. ამავე გუნდში იასპარეზეს, „გაგრას“ ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** შვილებმა, **გიორგი** და **ლაშა ჩიხრაძეებმა**. არბიტრ ოთარ ხეცაძის ვაჟი, **ბექა ხეცაძე**. „ოლიმპიკში“ კი ცხინვალის „სპარტაკის“ დუბლების მთავარ მწვრთნელ **ბადრი კვარაცხელიას** შვილი **ხვიჩა კვარაცხელია**.

გათამაშების დასრულების შემდეგ, ორგნიზატორებმა ტურნირის საუკეთესოები დაასახელეს.

საუკეთესო მეკარე – **გიორგი გაბუნია (ოლიმპიკი)**

საუკეთესო მცველი – **თამაზ ლურჭუმელაძე (გაგრა)**

საუკეთესო ნახევარმცველი – **ამირან ნოზაძე (მიმინო)**

საუკეთესო თავდამსხმელი – **ლაშა ჩიხრაძე (გაგრა)**

საუკეთესო ფეხბურთელი – **თორნიკე ასკურავა (გაგრა)**

საუკეთესო მწვრთნელი – **ლევან ჩხაიძე (გაგრა)**

მაყურებლის სიმპათიის პრიზი – **თორნიკე ასკურავა (გაგრა)**

შალვა კაკაბაძემ ოთხივე გუნდის კაპიტნები ბურთებით დაასაჩუქრა. გათამაშების ორგანიზატორმა ლექსო გულიაშვილმა აღნიშნა, რომ ტურნირი პირველად ჩატარდა ტრადიციული გახდება. მომდევნო გათამაშებები უფრო მასშტაბური იქნება და რეგიონებსაც მოიცავს.

*„ეს პატარა ბავშვები ისე მარდად და კარგად თამაშობდნენ, რომ მათ შემხედვარეს რამდენიმე წლის სიცოცხლე მომემატა. იმედი მაქვს, ეს ბავშვები დიდ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდებიან. მადლობელი ვარ ლექსო გულიაშვილის ასეთი ტურნირის ჩატარებისთვის. მას თბილისის მერია მხარში ედგა. გახარებული ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტურნირი ამ ბავშვებისთვის დიდი საჩუქარი იყო, მათ დიდად გაიხარეს. განსაკუთრებით თორნიკე ასკურავა მომეწონა, რომელიც მთიანად ტურნირში გამოირჩეოდა. მისმა თამაშმა მურთაზ ხურცილავა გამახსენა“*, – „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა შალვა კაკაბაძემ.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი



ვალერი აბრამიძე

## აბრამიძეც ცხადაძესთან?

აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს „ინტერის“ პირველი ახალწვეული, შესაძლოა, „ნეფთჩის“ მცველი **ვალერი აბრამიძე** (6 მატჩი ეროვნულ ნაკრებში) გახდეს. ამის შესახებ, აზერბაიჯანული ვებგვერდები წერენ. აბრამიძეს „ნეფჩისთან“ საკონტრაქტო ვადა ეწურება. მისით **კახა ცხადაძის** „ინტერია“ დაინტერესებული. ბაქოური კლუბის ხელმძღვანელობამ ქართველი მოლაპარაკებებისთვის იხმო.

*„დიახ, „ინტერი“ ჩემი აყვანითაა დაინტერესებული და ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე დავიწყე მოლაპარაკებები. საუბარი კი დავიწყეთ, მაგრამ ჯერ შორს ვართ ამ პროცესის დასრულებასთან. შესაბამისად, ჯერჯერობით ნამვილად ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად „ინტერთან“ გავაფორმებ კონტრაქტს. „ინტერთან“ მოლაპარაკებებს 2 კვირაში გავაგრძელებ და ვნახოთ, რით დასრულდება ეს პროცესი“*, – უთხრა აბრამიძემ აზერბაიჯანულ extratime.az-ს.

შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძის გუნდში, ასისტენტ **გიორგი ჩიხრაძის** გარდა, მეკარე **გიორგი ლომაია**, მცველი **კახა მჟავანაძე** და ნახევარმცველი **დავით ოდიკაძეც** თამაშობენ. მცველმა **გიორგი ნავალოვსკიმ** გასული სეზონი „ინტერში“ კი ჩაამთავრა, მაგრამ ბაქოელთა კლუბში ის მახაჩყალის „ანჟიდან“ არის განათხოვრებული და აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, მისი საიჯარო კონტრაქტის ვადა იწურება.

**დავით ცაბაძე**

მწვრთნელი

## შოთა კიევში ჩავიდა

თურქული „ქაისერისფორის“ ქართველი თავკაცი **შოთა არველაძე** და პრო-კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად კიევში ჩაფრინდა, სადაც სემინარებს დაესწრება. სწავლის პროცესი, ეტაპობრივად, 6 თვეს გრძელდება. წლის ბოლოს შოთა გამოცდებს ჩააბარებს და პრო-კატეგორიის ლიცენზიას მიიღებს.

გასაკვირი არ არის, რომ კიევში ჩასული შოთა ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა. არველაძემ კომენტარი მისცა უკრაინულ ვებგვერდ terrikon.dn.ua-ს.

*„უკვე გავხდი „ქაისერისფორის“ მთავარი მწვრთნელი. ეს გუნდი ბოლო 6 წლის განმავლობაში სტაბილურად მოწინავე ხუთეულში იყო. თუმცა გასულ სეზონის ფინიშზე ქაისერელებმა ქულები დაკარგეს და ამჯერად მე-8 ადგილს დასჯერდნენ. ახალ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და საქმეს 28 ივნისიდან შევუდგები. მანამდე კი კიევში ჩამოვედი, პრო-კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად სემინარებში უნდა მივიღო მონაწილეობა. ინგლისურიც კარგად ვიცი და ჰოლანდიურიც, შემეძლო, ნიდერლანდებში მესწავლა და იქ ამეღო უმაღლესი სამწვრთნელო სერთიფიკატი, მაგრამ ინგლისურად და ჰოლანდიურად გამართულად ვერ ვწერ და ისევ კიევში ვამჯობინე ჩამოსვლა... თურქეთში მუშაობა კიევში სწავლაში ხელს არ შემიშლის. სემინარები მაშინაა, როცა სანაკრებო მატჩების გამო ნაციონალურ ჩემპიონატებში პაუზაა. ასე რომ, სასწავლო კურსს გაცდენების გარეშე გავივლი“.*

ამასობაში, შოთას თანაშემწის ვინაობაც გაირკვა. როგორც „ფონდ არველაძის“ ვებგვერდი გვაუწყებს, ხსენებულ როლს გამოცდილი **ჯერარდ ვან დერ ლემი** ითავებს. ის 57 წლისაა. ვან დერ ლემი გახლდათ **ლუის ვან გაალის** ასისტენტი იმ „აიაქსში“, რომელმაც 1995 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ამას გარდა, ჰოლანდიელს „ბარსელონაშიც“ აქვს ნამუშევარი იმავე ვან გაალის თანაშემწედ.

**დავით ცაბაძე**



შოთა არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკლუბო ცხოვრება



სოსო ფხაკაძე

# ტორპედოს პრემიუმი ჩაუსხეს

## გუნდს მილიონ ლარზე მეტს მოვახმართო...

28 მაისს ქუთაისში განახლებული სტადიონის გახსნისას ტრიბუნებზე ტევა არ იყო. საქართველოში ევროპული დონის არენების სერიოზული დეფიციტია და გასაკვირიც არ არის, რომ ქუთათურებისთვის ეს მოვლენა ზეიმად გადაიქცა. „გივი კილაძეზე" 14 000 ინდივიდუალური სკამი დაამონტაჟეს, განახლდა განათების სისტემა და ტაბლო, თავიდან აშენდა ადმინისტრაციული შენობა, გარემონტდა გასახდელები, პრესლოჟა, გადაიხურა დასავლეთ ტრიბუნაზე მდებარე VIP-ნაწილი, სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე აუზი და კორტები და ასე შემდეგ. რაც მთავარია, „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა და „პრემიად" მძლავრი სპონსორიც მიიღო.

„ეს იქნება ქუთაისის „ტორპედოს" ბოლო ნაგება ამ სტადიონზე", - „ლელოსთან" ნათქვამი ამ სიტყვებით კომპანია „ვისოლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძემ დაგვიდასტურა, რომ ეს კომპანია ქუთაისის „ტორპედოს" მეპატრონე გახდა. მას ამ საკითხებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ...

**- ბატონო სოსო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვისოლმა" ქუთაისის „ტორპედოს" „პრემიუმი ჩაუსხა"?**

- ვფიქრობ, ასეც იქნება და გუნდში ჩვენი მისვლა ქუთაისში ფეხბურთის აღორძინების წინა პირობა გახდება. ეს იქნება „ტორპედოს" ბოლო ნაგება ამ სტადიონზე.

**- კლუბის აყვანაზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია?**

- ხელშეკრულება უახლოეს დღეებში გაფორმდება. გუნდს ჩვენ მივხედავთ...

**- „ვისოლი-ავაზას" რა ბედი ელის?**

- ეს იქნება ჩვენი საფეხბურთო სკოლა, სადაც „ტორპედოს" მომავალ თაობებს გავუზრდით.

**- როგორც ვიცით, მთავარ მწვრთნელად რამაზ მუმლაძე ინიშნება...**

- ვფიქრობთ, ქუთაისში სწორედ ის იმუშავებს. საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება...

*„ვისოლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ფხაკაძე „ტორპედოსთან" დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებზე გველაპარაკა...*

**- ქუთაისის „ტორპედო" ბრენდია და მისი სპონსორობა ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. თუმცა საინტერესოა ბიზნესის კუთხით დანახული „ტორპედო" და სამთავრობო-საფეხბურთო პროექტი...**

- ჩვენ ბედნიერები ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ბრენდი გადმოგვეცა. „ტორპედო" მხოლოდ ქუთაისის კლუბი არ არის, ის მთელი ქართული ფეხბურთის დიდ წარსულს განასახიერებს და გვინდა, მას ძველი პოზიციები დავუბრუნოთ. მჯერა, ქუთაისელებს იმედებს არ გავუცრუებთ და წარმატებულ გუნდს შევქმნით.

**- საამისოდ, კონკრეტულად რას აპირებთ?**

- უკვე ვფიქრობთ, როგორ გავაძლიეროთ „ტორპედო". რა თქმა უნდა, მოვიყვანთ ახალ ფეხბურთელებს, მაგრამ გუნდში არსებული რესურსიც უნდა გამოვიყენოთ.

**- ამ პროექტის მიხედვით, კომპანიამ კლუბს წელიწადში მილიონი ლარი უნდა დაახარჯოს.**

- მილიონი ლარი მხოლოდ მინიმუმია, რაც კლუბზე დაიხარჯება. ამ მიმართულებით „ვისოლს" აქვს გამოცდილება და მიგვაჩნია, რომ მილიონი ლარი მხოლოდ ხელფას-პრემიებს, ტრანსფერებსა და სხვა ამგვარ საჭიროებებს უნდა მოხმარდეს.

**- ანუ, მეტის დახარჯვას აპირებთ?**

- რა თქმა უნდა. ამას გარდა, ვაპირებთ საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებას, „ტორპედოს" ბაზაზეც დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. შენობა-ნაგებობები მეტ-ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაშია, მაგრამ სავალალო სიტუაციაა მოედნებზე. ამ სამუშაოებს უახლოეს დღეებში შევუდგებით. ორშაბათიდან ინვენტარიზაცია დაიწყება და კლუბის განვითარების სტრატეგიულ გეგმას შევადგენთ, რა არის გასაკეთებელი პირველ ეტაპზე და რა შეიძლება გადავდოთ მეორისთვის.

**- ასეთ შემთხვევაში, „ტორპედო" ფეხბურთელებისთვის მიმზიდველი გუნდი გახდება...**

- ეს ჩვენს ინტერესშია, ფეხბურთელები სიხარულით რომ მოდიოდნენ და „ტორპედოში" თამაში პრესტიჟული გახდეს. მალე მთავარ მწვრთნელსაც დავნიშნავთ. ლაპარაკია, რამდენიმე კანდიდატზე, მათ შორის, „ვისოლი-ავაზას" მთავარ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეზე, გამოცდილი და მაღალი კლასის სპეციალისტია.

**- „ვისოლი-ავაზას" პრეზენტაციაზე ბრძანეთ, რომ კომპანია ამბიციურია და რომ თქვენი ყველა პროექტიდან მხოლოდ წარმატებას ელით. ამბიციურია „ტორპედოც" და მისი გულშემატკივარიც...**

- დიახ, ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ „ტორპედომ" ქართულ ფეხბურთში ლიდერის პოზიცია დაიბრუნოს. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ წარმატება გვაინტერესებს. ასეთია „ვისოლის" მორაგბეთა კლუბი და ასე იქნება ფეხბურთშიც.

**მერაბ მამულაშვილი**

ოლიმპი

# პლუს ბოლქვაძე, მინუს კვარაცხელია

## ოლიმპი თავდამსხმელს სერბეთიდან ელის, აკირემი გამოირიცხა

რუსთავის „ოლიმპში" მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. კლუბმა 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა ზაქათალის „სიმურგისა" და თბილისის „ამერის" ყოფილ ნახევარმცველ **დავით ბოლქვაძეს**. ბოლქვაძე აზერბაიჯანულ კლუბში 3 წლის განმავლობაში გამოდიოდა და მის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. თუმცა ბოლო სეზონში „სიმურგს" სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა, ლიდერთა ექვსეულში ვერ მოხვდა და კლუბის ხელმძღვანელობა საკადრო პოლიტიკის შეცვლაზე დაფიქრდა. სანამ ისინი რაიმეს გადაწყვეტდნენ, ბოლქვაძემ კლუბი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. დათოს ხელს სტატუსი უწყობდა - 29 წლის პლეიმეიკერმა აზერბაიჯანული კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

ამგვარად, სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ ბოლქვაძე „გაბალის" ნახევარმცველ **რევაზ გეწაძესთან** ერთად, რუსთავის „ოლიმპის" მიერ აზერბაიჯანიდან დაბრუნებული მეორე ლეგიონერი გახდა. სულ კი სეზონის დასრულებისთანავე კლუბმა 6 მოთამაშე დაიმატა - **გრიგოლ ბედიაშვილი, ლექსო კვახაძეს, ლაშა ჯაფარიძე, ლუკა რაზმაძე** (ყველა „ვიტ ჯორჯია"), გეწაძე და ბოლქვაძე.

კლუბში დანაკლისიცაა. რუსთაველთა ვიცე-პრეზიდენტ **ზურაბ ჯაფარიძის** თქმით, „ოლიმპი" დატოვეს **ოლეგ გველესიანმა, ავქსენტი გილაურმა, პავლე დათუნაიშვილმა, ემანუილ ელოხმა**, მეკარე **მირზა მერლანმა** და ბოლოს **გია კვარაცხელიამ**. ეს უკანასკნელი მეორე ეტაპზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელი გახლდათ. ამის გამო, მოულოდნელი იყო, რომ „ოლიმპი" მას შეელია. გიას ამის თაობაზე ვკითხეთ:

*„დარჩენა მეც მსურდა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტი დამიმთავრდა და ახალ ხელშეკრულებაზე დავილაპარაკეთ. საბოლოოდ, პირობებზე ვერ შევთანხმდით და „ოლიმპი" დავტოვე. რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე... სიმართლე გითხრათ, ჯერ არ ვიცი, კარიერას სად და რომელ კლუბში გავაგრძელებ, მაგრამ თუ ქართული კლუბებიდან საინტერესო მიწვევა იქნება, სიამოვნებით დავრჩები. რუსთაველებთან შეთანხმების შემდეგ ტყუილად არ მითქვამს, რომ ლეგიონერების ვალი საქართველოში დაბრუნება და ჩვენი ფეხბურთის სამსახურია. ახლაც ასე ვფიქრობ, მაგრამ ნორმალური პირობები თუ არ შემომთავაზეს, ალბათ, ისევ უცხოეთში ვითამაშებ"*, - გვითხრა კვარაცხელიამ.

ამჟამად კლუბი მოლაპარაკებებს აწარმოებს მეკარე **გია ჭანტურიასთან**. რაკი მერლანი წავიდა, „ოლიმპის" ღირსებას მომავალი წლიდანაც გამოცდილი ჭანტურია დაიცავს.

ამას გარდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება სერბეთის უმაღლესი ლიგის კლუბის ერთ-ერთ თავდამსხმელთან. ჯაფარიძის თქმით, კლუბი ხარისხიან ფორვარდს ეძებს. მანვე უარყო ინფორმაცია „ოლიმპში" **შოთა კაშიას** გადასვლის თაობაზე, „დინამოს" გაბონელი თავდამსხმელის **ჟორჟ აკირემის** ჩემპიონის შემადგენლობაში ჩარიცხვა კი, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

*„შოთა კაშიასთან მოლაპარაკება არც გვქონია. რაც შეეხება აკირემის, მისი დამატება კი გვსურდა, მაგრამ როგორც შევიტყვე, ის უცხოეთში გააგრძელებს კარიერას. ჩვენ კი თავდამსხმელი სერბეთში შევიგულეთ და მოლაპარაკების შედეგს მალე შეიტყობთ"*, - ამბობს ჯაფარიძე.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ბოლქვაძე



გია კვარაცხელია

ტრანსფერი

# ოქრიაშვილი 7 ივნისს...

„გაგრასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** კარიერას სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში" რომ გააგრძელებს, ამის თაობაზე „ლელო" უკვე იუწყებოდა. თორნიკეს გადაბირება „ანდერლეხტს", კიევის „დინამოსა" და „მარიუპოლს" სურდათ, მაგრამ ყველაზე აქტიური, კონკრეტული და დაინტერესებული „ზენიტი" გამოდგა და საბოლოოდ, „გაგრასთან" შეთანხმებასაც მიაღწია.

თავად ოქრიაშვილის თქმით, პეტრეს ქალაქში ის 7 ივნისს უნდა ჩავიდეს. რაც შეეხება კონტრაქტს, სავარაუდოდ, 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. რაც მთავარია, თორნიკეს „ზენიტში" ელოდება ცნობილი იტალიელი სპეციალისტი **ლუჩანო სპალეტი**, რომელიც 2006 და 2007 წლებში იტალიის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მისი ხელმძღვანელობით ფეხბურთელის გაზრდის იმედი უნდა ვიქონიოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



# საუკეთესო ადამია და ოთხი ერთიანი

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში **გიორგი ადამიას** „ყარაბახმა" სეზონი მე-3 ადგილზე დაასრულა. ქართველი თავდამსხმელი, რომელიც „ყარაბახში" ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას გადავიდა, სეზონის მეორე ნახევარში 10 მატჩში 4 გოლითა და 5 საგოლე პასით შეეწია გუნდს.

ამასობაში, აზერბაიჯანის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გასული სეზონი შეაფასა. აპრილის თვის საუკეთესო ფეხბურთელად „ყარაბახის" ფორვარდი გიორგი ადამია დასახელდა. ფულადი ჯილდოს სახით პროფლიგის ხელმძღვანელობამ ადამიას... 1 111 აზერბაიჯანული მანათი გადასცა.

*„ყველას მადლობელი ვარ, ვინც ამ გამოკითხვაში ხმა მომცა და მხარი დამიჭირა. ერთი შეხედვით, ეს აღიარება ჩემთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენმა გუნდმა სეზონის დასკვნითი ნახევარი დამაჯერებლად, წარმატებულად ჩაატარა და ალბათ აღიარებას ვიმსახურებდით კიდეც. „ყარაბახში" ადაპტაცია არ გამჭირვებია, რაც ჩვენი მეგობრული კოლექტივის დამსახურებაა. ამ გუნდში თამაშით ბევრი დავარწმუნე, რომ ჩემი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. თანაკლუბელების, კლუბის ხელმძღვანელობის და ჩემი გულშემატკივრების მადლიერი ვარ. მართალია, ამ სეზონში ჩემპიონობა ხელიდან გავუშვით, მაგრამ ვფიქრობ, ახალ სეზონში სწორედ ოქროს მედლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მანამდე კი ევროტურნირებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი და წარმატებით გამოვიდეთ. ევროტურნირზე ჩვენი გუნდის შარშანდელმა ასპარეზობამ გულშემატკივარს დიდი სიხარული მოუტანა. იმედი მაქვს, ევროტურნირებზე წელს შარშანდელზე უკეთ ვიასპარეზებთ"*, - აღნიშნა ადამიამ პრესასთან საუბარში.

**დავით ცაბაძე**

ჭაბუკთა ფეხბურთი

# პენალტების სერიაში გადაწყდა...

29 მაისს სპორტკომპლექს „ოლიმპიკში" ჭაბუკთა შორის აფხაზეთის თასის ფინალი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ გათამაშებაში 1989-91 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. შეხვედრა, რომელშიც 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი (მთ. მწვრთნელი **გოჩა კილასონია**) „ვეფხვებს" (მთ. მწვრთნელი **გოჩა ერაძე**) დაუპირისპირდა, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად ძირითადი დრო და ორი დამატებითი ტაიმი საკმარისი არ აღმოჩნდა - გუნდებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს. 11-მეტრიანების სერიაში კი 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა 2:1 მოიგო - **ჯიქიასა და კვირკველიას** ზუსტ დარტყმებს „ვეფხვებმა" **ასტამაძის** გოლით უპასუხეს.

35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა აფრიკელმა მეკარე **აკმელ შალომამ**. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწესებული ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც სწორედ შალომას ხვდა წილად. აფრიკელ გოლკიპერს პრიზი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავამ** გადასცა. ფინალის მონაწილეები მედლებითა და საპატიო დიპლომებით აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მურად ანჯაფარიძემ** დააჯილდოვა. ფინალურ მატჩში მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს:

**35-ე საფეხბურთო სკოლა:**

**შალომა, ფოფიაშვილი, ჯიქია, შუბითიძე, ნორაკიძე, კობიაშვილი, მაძღარაშვილი, გედევანიშვილი, ჭიჭეიშვილი, გონაშვილი, არქანია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბუაჩიძე, იაკობიძე, კვირკველია, მნათობლიშვილი, ესიტაშვილი, გვარჯალაძე.**

**ვეფხვები:**

**ხუჭუა, ასტამაძე, კორძაია, შენგელია, კემულარია, ჯალაღანია, ღონლაძე, გოზალიშვილი, ჯანელიძე, ლუდუშაური, ქიქავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბიათაშვილი, გურგენიძე, უგულავა, დავითაშვილი, თევზაძე, ტარყაშვილი.**

**დავით ცაბაძე**

ჭაბუკთა ფეხბურთი

# ქართველების შემდეგ ჩინეთში

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ნაკრების მეტოქე ლატვიის ეროვნულმა გუნდმა ამხანაგური მატჩები დაგეგმა. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, **ალექსანდრ სტარკოვსის** გუნდი 5 ივნისს, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილე განას ინგლისში ამხანაგურად გაეჯიბრება. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, ლატვიელები გენერალურ რეპეტიციას 11 აგვისტოს, ჩეხეთთან გასვლით საკონტროლო შეხვედრაში გაივლიან. გადაწყვეტილია ისიც, რომ 12 ოქტომბერს, საქართველოსთან რიგაში გასამართი მატჩის შემდეგ, ლატვიის ნაკრები 11 ნოემბერს ჩინეთს სტუმრად შეხვდება.

გარდა ამისა, ლატვია, რომელიც ფიფას მაისის თვის რეიტინგში 46-ე ადგილზე იყო, ივნისში ბალტიის თასის გათამაშებაში იასპარეზებს - 18-ში ლიტვას ეთამაშება, 19 ივნისს კი ესტონეთს.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

სეზონის შეჯამება: სპარტაკი

# გზა მაღალი საზოგადოებისკენ

გასულ სეზონში „სპარტაკის" ასპარეზობა ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს; ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში დაკავებული მეხუთე ადგილი, გუნდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალური შედეგი იყო. მით უფრო, თუ გავიხსენებთ წინა ორ სეზონში გუნდის ასპარეზობას: XIX ჩემპიონატში „სპარტაკი" ძლივს გადაურჩა პირველ ლიგაში დაქვეითებას, XX ჩემპიონატში კი ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და პირველ ლიგაში გავარდნაც არ ასცდებოდა, ახალციხის „მესხეთს" ლიცენზირებასთან დაკავშირებით პრობლემები რომ არ შექმნოდა. მოკლედ, XXI ჩემპიონატი „სპარტაკმა" კვლავაც უმაღლეს ლიგაში დაიწყო. თუმცა მანამდე გუნდშიც და საერთოდ, კლუბის ხელმძღვანელობაშიც არაერთი ცვლილება მოხდა. ყოველ შემთხვევაში, კლუბის პრეზიდენტმა, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსმა დიმიტრი სანაკოევმა ამბიციური გუნდის შექმნა გადაწყვიტა; ისეთი გუნდის, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის კი არა, ევროტურნირების საგზურის მოსაპოვებლად რომ იბრძოლებდა. სეზონის დაწყებამდე კლუბსა და გუნდში მომხდარი საკადრო ცვლილებებიც ამას ადასტურებდა: ვიცე-პრეზიდენტად მურთაზ შელია დაინიშნა, ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი; მთავარ მწვრთნელად - ვლადიმერ ხაჩიძე, ვისაც სხვადასხვა გუნდში მუშაობისას არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი შესაძლებლობები. ხაჩიძის ასისტენტებად ასევე ცნობილი სახეები, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები - გელა ინალიშვილი და დავით გვარამაძე დაინიშნენ, რომლებთაც მოგვიანებით გოჩა ჩიქოვანიც შეუერთდა. ამას გარდა, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა გუნდის შემადგენლობა - „სპარტაკში" XX ჩემპიონატიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელი (ნიკოლოზ მაისურაძე, თემურ შონია, გიორგი კვახაძე) დარჩა. მოწვეული ფეხბურთელთა უმრავლესობა გამოცდილ იყო და სწორედ ამის ხარჯზე აპირებდნენ გუნდის სამწვრთნელო შტაბიც და კლუბის ხელმძღვანელებიც... „დიდი ოთხეულის" შევიწროებას.

## სათასო პრიორიტეტი

სეზონის სტარტმა გუნდის ამბიციური გეგმები დაადასტურა - „სპარტაკმა" ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ უკვე მესამე ტურში თბილისის „დინამოსთან" მატჩმა ნათლად დაგვანახვა, რომ სეზონის წინ ფავორიტებად შერაცხილი „დიდი ოთხეულის" ჰეგემონია ამ ჩემპიონატშიც გაგრძელდებოდა. თუმცა, პირველი ეტაპის ბოლომდე „სპარტაკი" მისთვის მართლაც საპატიო მეხუთე ადგილზე მოკალათდა და ჩემპიონატიც საბოლოოდ ამავე პოზიციაზე დაასრულა. ეგ კი არა, უკვე მეორე ეტაპის სტარტიდანვე „სპარტაკი" ჩემპიონატის, ფაქტობრივად, ერთადერთ უმოტივაციო გუნდად „გადაიქცა": პირველ ლიგაში დაქვეითება არანაირად არ ემუქრებოდა, ამასთან, ვერც საპრიზო სამეულში მოხვედრაზეც იბრძოლებდნენ. სამაგიეროდ, გუნდს სხვა და ბევრად კონკრეტული მიზანი „გამოუჩნდა" - საქართველოს თასზე წარმატებით ასპარეზობა. ყველაფერი ეს კი 2009 წლის გვიან შემოდგომაზე გაირკვა, როცა „სპარტაკმა" საქართველოს თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ანუ, ზამთრის მოსამზადებელი პერიოდიც და ჩემპიონატის მესამე წრის დასაწყისიც მთლიანად სათასო მატჩებისთვის მზადების ეტაპად განიხილებოდა. თუმცა, მანამდე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სეზონის წინ, ფაქტობრივად, ახლად დაკომპლექტებული გუნდი, პირველი ეტაპის შემდეგ... თითქმის 80 პროცენტით შეიცვალა! ერთი დანაკლისი სეზონის დასაწყისშივე იყო - გუნდის ყველაზე „ხმაურიანი" ახალწვეული **დავით ოდიკაძე** „სპარტაკს" მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დაეხმარა. ამას გარდა, პირველი ეტაპის მსვლელობის დროს გუნდის წამყვანი ფეხბურთელების ტრავმიანობაც ხშირი იყო. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდის ასპარეზობა, საერთო ჯამში, მაინც დადებითად შეფასდა და ბევრის აზრით, „სპარტაკს" თავისუფლად შეეძლო ნახევარფინალში ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია თბილისის „დინამოსთვის". მით უფრო, რომ ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა პირველ ეტაპზე რამდენიმე გამოსარჩევი მატჩი ჩაატარა; განსაკუთრებით კი გვინდა „ოლიმპი"-"სპარტაკის" შეხვედრა აღვნიშნოთ, როცა ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტი რუსთავის კლუბი ნაგებას მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გადაურჩა.

... ძნელი სათქმელია, რა შედეგს მიაღწევდა „სპარტაკი" ნახევარფინალში, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ძირითადი ბირთვი რომ შეენარჩუნებინა. ყოველ შემთხვევაში „გარედან", ცოტა არ იყოს, უცნაურადაც მოჩანდა „სპარტაკის" პერსპექტივები - პირველი ეტაპის შემდეგ გუნდიდან 15 ფეხბურთელი წავიდა, სანაცვლოდ კი 16 ახალი მოთამაშე დაიმატეს! ამასთან, ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციასაც ვაწყდებოდით: გუნდი უნდა გავაახალგაზრდავოთო, ხმამაღლა აცხადებდნენ „სპარტაკის" ხელმძღვანელები (17 წლის ბიჭების - **ბესიკ დეკანოიძისა და ილია ბუზალაძის** მოყვანაც ამას მოწმობდა),



გიორგი დემეტრაძე

ამავე დროს, სათასო მატჩებისათვის უაღრესად გამოცდილი და ტიტულოვანი ფეხბურთელიც დაიმატეს, ჩვენს ჩემპიონატს დიდი ხნის პაუზის შემდეგ რომ დაუბრუნდნენ - **ლადო ბურდული** და **გიორგი დემეტრაძე**. ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ კიდევ ერთ ახალწვეულზე - **პატრიკ მედ ნალო** პირველი ფრანგი ფეხბურთელი გახდა, საქართველოს ჩემპიონატში რომ იასპარეზა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დიდად რეკლამირებულ ფეხბურთელს ჯერ კიდევ მოსამზადებელი მატჩების დროს ეტყობოდა, რომ „რალაც განსაკუთრებულს" ვერაფერს შემოგვთავაზებდა. ასეც მოხდა - მთლად „წყალწაღებული" ნამდვილად არ იყო, მაგრამ ლეგიონერს რომ ჩამოიყვან (თან, ფრანგს!), ადგილობრივს ბევრად უნდა სჯობდეს. თუმცა, ნალოს შემთხვევა არც პირველია ქართული ფეხბურთისათვის და არც - უკანასკნელი...

..."დინამოსთან" სეზონის უმთავრესი, ორრაუნდიანი დაპირისპირება „სპარტაკისთვის" წარუმატებლად დასრულდა. მართალია, პირველი ნახევარფინალური მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა, განმეორებითში „დინამომ" მეტოქე უშანსოდ დატოვა და დიდი ანგარიშითაც მოუგო. ყოველივე ამას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკადრო გადაადგილება მოჰყვა - ვლადიმერ ხაჩიძის ნაცვლად ჩემპიონატის ბოლომდე „სპარტაკს" გოჩა ჩიქოვანი წვრთნიდა. გუნდს ჩემპიონატში მოტივაცია ისედაც არ ჰქონდა, მაგრამ სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილიც შეინარჩუნა და იმავე „დინამოსთან" და „ოლიმპთან" გამარჯვებით სეზონის ფინიშიც „შეალამაზა". რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელები უკმაყოფილონი იყვნენ, „სპარტაკმა" ევროტურნირების საგზური რომ ვერ მოიპოვა. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, შემადგენლობიდან გამომდინარე, იმ „დიდ ოთხეულს" ვერაფრით სჯობდნენ, თანაც, შარშანდელთან შედარებით აშკარა პროგრესი ჰქონდათ. კლუბის მესვეურებს ჩვენგან რა ესწავლებათ, მაგრამ მაინც „შევკადრებთ" და ვიტყვით: ყოველ ნახევარ წელიწადში ახალ-ახალი გუნდის „გაკეთებით" სერიოზული მიზნის მიღწევა ჩვენს ჩემპიონატშიც გამორიცხულია...

## მეკარეები

„სპარტაკმა" სეზონი გატანილი და გაშვებული ბურთების მხრივ უარყოფითი ბალანსით (მინუს თოთხმეტით) დაასრულა. საერთოდაც, „სპარტაკზე" მეტი გოლი უმაღლეს ლიგაში მხოლოდ „სამტრედიამ" და „გაგრამ" გაუშვეს. თუმცა, ამ ყველაფრის მეკარეებზე გადაბრალებაც არასწორი იქნება - უარყოფითი ბალანსი დამცველთა ზედმეტად ხშირი როტაციისა და ამ ამპლუის ფეხბურთელთა არასტაბილური თამაშის ბრალიც არის. სულ კი სეზონში „სპარტაკმა" ხუთი (!) მეკარე გამოსცადა, ოღონდ, ძირითადი ყველაზე გამოცდილი **ზურაბ ბათიაშვილი** გახლდათ. აი, დანარჩენ ოთხს კი ეპიზოდურად უწევდა თამაში. ამათგან, ახალგაზრდა **ნიკა დაუშვილს** აღვნიშნავდით - შესაშური ფიზიკური მონაცემების გამო, სპეციალისტები დიდ მომავალს რომ უწინასწარმეტყველებენ.

## მცველები

გუნდის ერთ-ერთი სუსტი რგოლი, თანაც ამის მიზეზი უკვე ვახსენეთ; ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ იშვიათი შემთხვევები იყო, როცა მცველთა ერთი და იგივე „კვარტეტი" შეუცვლელად ორ ან სამ მატჩს ატარებდა. ჰოდა, სანამ ახალ-ახალი პარტნიორები ერთმანეთთან შეთამაშებას მოასწრებდნენ, მომდევნო მატჩში სხვადასხვა მიზეზის (ტრავმები, დისკვალიფიკაცია) გამო უკვე მცველთა სხვა ოთხეულს ვხედავდით. ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორმა მცველმა იასპარეზა მეტ-ნაკლებად სტაბილურად - **დავით ბაქრაძემ** და **ბოიომო ფრიდოლინმა**. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველი ეტაპის მერე გუნდიდან წასული მცველების (**გივი დიდავა, აქვსენტი გილაური, პავლე დათუნაიშვილი**) სრულფასოვანი შეცვლა, ალბათ, მაინც ვერ მოხერხდა...

## ნახევარმცველები

„სპარტაკის" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რგოლი, სადაც ყველაზე მეტი მატჩი ახალგაზრდა ფეხბურთელებმა **თემურ შონიამ** და **ნიკოლოზ მაისურაძემ** ჩაატარეს (სხვათა შორის, მაისურაძეს ხანდახან მარცხენა მცველადაც ათამაშებდნენ). სამწუხაროდ, ტრავმების გამო ბევრი გაუცდათ **გიორგი ჩივაძეს** და **ირაკლი ჩირიკაშვილს**, არადა, უმაღლეს ლიგაში, ალბათ, არც ერთ გუნდს ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ თავის რიგებში ერთდროულად ორი გამთამაშებელი ჰყოლოდა. მატჩების უმეტესობა - „სპარტაკმა" ორი საყრდენითა და სამი შემტევით ჩაატარა, სადაც ფლანგებზე ლეგიონერები ასპარეზობდნენ: პატრიკ მედ ნალო (მეორე ეტაპიდან) და **ტიერი ანს კლოვისი**. თუმცა, ჭაბუკ კოტ' დივუარელს მონდომებას მაინც ვერ დავუწუნებდით - 16 წლის (!) კლოვისი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე იშვიათად იყო, მაგრამ ოთხი გოლის გატანა მაინც მოახერხა. გამოცდილმა ლადო ბურდულმა მხოლოდ რვა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, აი, ბესიკ დეკანოიძეს კი ყველა თვისება აქვს, მაღალ დონეზე რომ ითამაშოს; ყოველ შემთხვევაში, ეს პატარა ბიჭი საკმაოდ პერსპექტიულია.

## თავდამსხმელები

პირველი ეტაპის შემდეგ **რევაზ გოცირიძისა და ბაჩანა ცხადაძის** წასვლის შემდეგ „სპარტაკს" გამოკვეთილი ცენტრფორვარდი, ფაქტობრივად, არც ჰყოლია. გამოუცდელი და სრულიად ახალგაზრდა ილია ბუზალაძეს ცოტა არ იყოს, გაუჭირდა თავისზე ბევრად გამოცდილ მეურვეებთან პაექრობა; XXI ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელის და 13-წლიანი (!) პაუზის შემდეგ დაბრუნებული **გიორგი დემეტრაძის** გასაკრიტიკებლად კი ენა ვის უნდა მოუბრუნდეს - „დემემ" , რაც შეეძლო, ითამაშა; ისე კი, „სპარტაკში" ბომბარდირების მხრივ მართლაც უცნაური სიტუაცია შეიქმნა: მთელი ჩემპიონატის განმავლობაში საუკეთესო შედეგი ერთდროულად ოთხმა ფეხბურთელმა (რევაზ გოცირიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, თემურ შონია, ნიკოლოზ მაისურაძე) უჩვენა. თუმცა, უფრო „უცნაური" ის ფაქტია, რომ თითოეულმა ამ ფეხბურთელმა... ოთხ-ოთხი გოლი გაიტანა!..

**გია ტუხაშვილი**

სპარტაკის ყველა მატჩი

**ადგილი XXI ჩემპიონატში: 5**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 11 | 10 | 15 | 44-58 | 43 |

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი-სპარტაკი | 1:4 |
| II ტური | სპარტაკი-ბაია | 1:0 |
| III ტური | დინამო-სპარტაკი | 5:0 |
| IV ტური | სპარტაკი-ლოკომ. | 2:0 |
| V ტური | ვიტ ჯორჯ.-სპარტაკი | 2:0 |
| VI ტური | სპარტაკი-სამტრედია | 2:0 |
| VII ტური | ზესტაფონი-სპარტაკი | 4:1 |
| VIII ტური | სპარტაკი-გაგრა | 3:1 |
| IX ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 1:1 |
| X ტური | სპარტაკი-სიონი | 1:1 |
| XI ტური | ბაია-სპარტაკი | 4:1 |
| XII ტური | სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| XIII ტური | ლოკომ.-სპარტაკი | 0:0 |
| XIV ტური | სპარტაკი-ვიტ ჯორჯ. | 1:2 |
| XV ტური | სამტრედია-სპარტაკი | 2:1 |
| XVI ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 3:3 |
| XVII ტური | გაგრა-სპარტაკი | 1:2 |
| XVIII ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 1:2 |

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XIX ტური | სიონი-სპარტაკი | 0:1 |
| XX ტური | ბაია-სპარტაკი | 0:2 |
| XXI ტური | დინამო-სპარტაკი | 2:0 |
| XXII ტური | სპარტაკი-ლოკომ. | 1:1 |
| XXIII ტური | ვიტ ჯორჯ.-სპარტაკი | 3:1 |
| XXIV ტური | სპარტაკი-სამტრედია | 1:1 |
| XXV ტური | ზესტაფონი-სპარტაკი | 0:0 |
| XXVI ტური | სპარტაკი-გაგრა | 0:0 |
| XXVII ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 4:0 |
| XXVIII ტური | სპარტაკი-სიონი | 1:3 |
| XXIX ტური | სპარტაკი-ბაია | 2:0 |
| XXX ტური | სპარტაკი-დინამო | 2:1 |
| XXXI ტური | ლოკომოტ.-სპარტაკი | 2:1 |
| XXXII ტური | სპარტაკი-ვიტ ჯორჯ. | 0:0 |
| XXXIII ტური | სამტრედია-სპარტაკი | 2:1 |
| XXXIV ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 1:4 |
| XXXV ტური | გაგრა-სპარტაკი | 4:1 |
| XXXVI ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 4:1 |

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი - 25, ბექა შეყრილაძე - 8, ნიკა დაუშვილი - 3, ამირან გვენცაძე - 2, ანდრე ნონონსი - 1;

მცველები: ბოიომო ფრიდოლინი - 28 (4), გიორგი კვახაძე - 24 (1), დავით ბაქრაძე - 21, პაატა დათუნაიშვილი - 15 (3), დაჩი ფოფხაძე - 13, ნოდარ მგალობლიშვილი - 11, აქვსენტი გილაური - 10, ლაშა დეკანოსიძე - 8, გივი დიდავა - 7, ლაშა ნინიკაშვილი - 4, შოთა ჯიმჯარიანი - 1, გიორგი ილურიძე - 1;

ნახევარმცველები: ნიკოლოზ მაისურაძე - 33 (4), თეიმურაზ შონია - 30 (4), ირაკლი ჩირიკაშვილი - 26 (4), გიორგი ჩივაძე - 25 (2), ბესიკ დეკანოიძე - 16 (2), ნიკა მგელაძე - 15, კობა შალამბერიძე - 15 (2), ივანე კანდელაკი - 15, თორნიკე თარხნიშვილი - 12 (1), გიორგი კბილცეცხლაშვილი - 11 (2), ლადო ბარდული - 8 (1), ლაშა ჩალაძე - 8 (1), დავით ოდიკაძე - 5 (1), გიორგი მანწკავა - 4 (1), გაგა ბურჯანაძე - 2, ერეკლე ხაჭვანი - 2, მელოდეკი ზონი - 2, გიორგი სეფიაშვილი - 1;

თავდამსხმელები: ტიერი-ანს კლოვისი - 23 (3), პატრიკ მედ ნალო - 17 (1), რევაზ გოცირიძე - 15 (4), ბაჩანა ცხადაძე - 15 (3), გიორგი დემეტრაძე - 6 (1), ილია ბუზალაძე - 6, თორნიკე უხურგუნაშვილი - 2, გიორგი იაშვილი - 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი ავტოგოლებით იგებს

## გერმანიამ ვესტერმანი დაკარგა, სლოვაკეთმა კარჰანი



ფრენკ ლამპარდმა პენალტი ვერ გაიტანა

**ირლანდია-ალჟირი 3:0**

**ირლანდია:** ვესტვუდი (86. მერფი), სტ. ლედჯერი, ოში (36. ოდი), კანინგემი, კელი, უელანი (75. ენდრიუსი), გრინი, დაფი (65. ფეჰეი), ლოურენსი (87. ლონგი), დოილი (72. შერიდანი), კინი.

**ალჟირი:** ჩაუჩი (68. მბოლი), ჰალიჩე, ბელაიდი, მესბაჰი, გუედიურა, ლასენი, ზიანი, ბელჰაჯი (67. ბუდებუზი), მანსური (67. კადირი), ჯებური (58. საიფი), ლეზალი (77. აბდუნი).

**გოლები:** 1:0 გრინი (31), 2:0 კინი (52), 3:0 კინი (85-პენ)

**მაყურებელი:** 16 800

**სლოვაკეთი-კამერუნი 1:1**

**სლოვაკეთი:** კუჩიაკი (85. პერნისი), დურიცა, ჩეხი, შკრტელი, პეკარიკი (88. იაკუბკო), კოჟაკი (46. სვეტნო), კოპუნეკი, ჰამშიკი, სტოხი (46. შეშტაკი), კუჩკა (77. ზაბავნიკი), იენდრიშეკი (46. ვეისი).

**კამერუნი:** ტინიემბი, ასუ-ეკოტო, ა. სონგი (85. მატიპი), ბასონგი, ნკულუ, მაკუნი (46. მანდჯეკი), ემანა, ენოჰი, ჩედჯუ (67. ჯერემი), ვებო, აბუბაკარი (67. ნჯენგი).

**გოლები:** 1:0 კოპუნეკი (5), 1:1 ენოჰი (82)

**მაყურებელი:** 8 000

**ახ. ზელანდია-სერბეთი 1:0**

**ახ. ზელანდია:** პასტონი, ნელსენი, რიდი, ლოჩჰედი, სმიტი, ბერტოსი, კრისტი, ელიოტი, ფელონი, სმელცი, ვუდსი (61. ბროკი).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი (46. დიურიჩიჩი), ვიდიჩი, რუკავინა, სუბოტიჩი, ობრადოვიჩი (21. კოლაროვი), კუზმანოვიჩი (59. მრდა), მილიაში (46. პეტროვიჩი), ნინკოვიჩი (46. კაჩარი), ტოშიჩი, ჟიგიჩი, პანტელიჩი (66. ლაზოვიჩი).

**გოლი:** 1:0 სმელცი (22)

**მაყურებელი:** 14 000

**ესპანეთი-საუდ. არაბეთი 3:2**

**ესპანეთი:** კასილიასი, პუიოლი (62. კაპდევილა), ს. რამოსი (62. პედრო), არბელოა, პიკე, ჩავი (87. მარტინესი), ჩაბი ალონსო, ინიესტა (60. ხ. ნავასი), სილვა (61. მარჩენა), ბუსკეტსი, ვილია (70. ლორენტე).

**გოლები:** 0:1 ჰავსავი (17), 1:1 ვილია (31), 2:1 ჩაბი ალონსო (59), 2:2 ალ-საჰლავი (74), 3:2 ლორენტე (90)

**მაყურებელი:** 8 500

**აშშ-თურქეთი 2:1**

**აშშ:** ჰოვარდი, სპექტორი (46. შერუნდოლო), ბოკანეგრა (74. ბორნსტეინი), დემერიტი, გუდსონი (46. ონიევუ), დემპსი, ბრედლი, ფეილჰაბერი (46. ფინდლი), კლარკი (46. ტორესი), დონოვანი, ალტიდორი (80. ჰოლდენი).

**თურქეთი:** ვოლკანი, საბრი, სერვეთი, ჩაგლარი, გოკჰანი, ჰამით ალთინტოპი (73. სემიჰი), ემრე, არდა (90. ოზანი), სელჩუკი (53. მეჰმეთი), თუნჩაი (78. ნიჰათი), კაზიმ-რიჩარდსი (59. სერკანი).

**გოლები:** 0:1 არდა (27), 1:1 ალტიდორი (59), 2:1 დემპსი (75)

**მაყურებელი:** 68 000

**ბელარუსი-სამხ. კორეა 1:0**

**ს. კორეა:** ვ. ლი, ჩა, დ. კიმი, ჩო, კვაკი (32. ი. ლი), ი. პარკი, ჩ. პარკი (73. ს. ლი), შინი, ჩ. ლი, კი, კ. ლი.

**გოლი:** 1:0 კისლიაკი (53)

**მაყურებელი:** 1 000

**მექსიკა-გამბია 5:1**

**მექსიკა:** მიჩელი, მარკესი, როდრიგესი, სალსიდო, მორენო (77. მაგალონი), გუარდადო, კასტრო (46. ბარერა), ჯონათანი, ველა (56. ბლანკო), ბაუტისტა, ერნანდესი (56. მედინა).

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (17), 2:0 ერნანდესი (50), 3:0 ბაუტისტა (58), 3:1 სოჰნა (65), 4:1 ბაუტისტა (73), 5:1 მედინა (80)

**პარაგვაი-კოტ დ'ივუარი 2:2**

**პარაგვაი:** ვილიარი, ხ. კასერესი, და სილვა, ტორესი, მალდონადო (78. ბონეტი), მარტინესი (70. სანტა კრუსი), ლედესმა (54. აკინო), ესტიგარიბია, ვ. კასერესი, ორტიგოსა (70. რივეროსი), აჩუაკარო (70. ბარიოსი).

**კოტ დ'ივუარი:** ბარი, კ. ტურე (46. ბამბა), ტიენე, ი. ტურე, ზოკორა, რომარიკი, ტიოტე, გოსო (46. ებუე), დროგბა, კალუ (46. ჟერვინიო), დინდანე.

**გოლები:** 0:1 დროგბა (53), 0:2 ბამბა (73), 1:2 ბარიოსი (75), 2:2 ტორესი (89)

**იაპონია-ინგლისი 1:2**

**იაპონია:** კავაშიმა, ტულიო ტანაკა, ნაკაზავა, ნაგატომო, კონო, ენდო (86. ტამადა), ჰასებე, აბე, ოკუბო (71. მაცუი), ჰონდა, ოკაზაკი (65. მორიტომო).

**ინგლისი:** ჯეიმსი (46. ჰარტი), ტერი, ფერდინანდი, ე. კოული, ჯონსონი (46. კარაგერი), ლამპარდი, ჰადლსტოუნი (46. ჯერარდი), ლენონი (77. ჰესკი), უოლკოტი (46. რაიტ-ფილიპსი), რუნი, ბენტი (46. ჯ. კოული).

**გოლები:** 1:0 ტულიო ტანაკა (7), 1:1 ტულიო ტანაკა (72 ს.კ.), 1:2 ნაკაზავა (83 ს.კ.)

**მაყურებელი:** 15 326

„ნეუვო ტივოლიზე" მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი კინაღამ შერცხვა, რომ არა შეცვლაზე შესული **ფერნანდო ლორენტე** და მის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე გატანილი გოლი, „ფურია როხა" ინსბრუკში ვერ მოუგებდა საუდის არაბეთს - 3:2. მატჩის დასაწყისში თავის გამოჩენა **დავიდ ვილიასა** და **სერხიო რამოსს** შეეძლოთ, გოლი კი არაბებმა გაიტანეს - მე-17 წუთზე **აუტეფმა** კუთხური ჩამოაწოდა, ყველას კი თავით **ოსამა ჰავსავიმ** აჯობა. გაშვებული გოლის შემდეგ **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი კიდევ უფრო გააქტიურდა, დავიდ ვილიას დარტყმული გოლკიპერმა მოიგერია, მაგრამ მალე „ბარსელონას" ახალწვეულმა აჯობა თავის ვიზავის, **ანდრეს ინიესტას** ჩაწოდებულს „ელ გუახე" თავით გამოეხმაურა.

მეორე ტაიმიც ესპანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, 59-ე წუთზე კი დელ ბოსკეს გუნდი დაწინაურდა - დაახლოებით 20 მეტრიდან **ჩაბი ალონსომ** დაბალი დარტყმით მიაღწია მიზანს. ბევრმა ცვლილებამ არია სიტუაცია ესპანეთის ნაკრებში, რომელიც ძველებურად მწყობრად ველარ უტევდა, 74-ე წუთზე კი „ალ-ნასრის" ფორვარდმა **ალ-საჰლავიმ კასილიასს** აჯობა - 2:2.

„ფურია როხას" გამარჯვების გოლი ასე გავიდა - ჩაბი ალონსომ კუთხური ჩამოაწოდა, ხოლო ფერნანდო ლორენტე ყველაზე მაღლა ახტა - 3:2. ეს შეხვედრა 103-ე იყო ნაკრებში იკერ კასილიასისთვის, მან თანაგუნდელი **რაული** ჩამოიტოვა და ახლა ნაკრებში ჩატარებული მატჩების რიცხვით მხოლოდ ლეგენდარულ გოლკიპერ **ანდონი სუბისარეტას** ჩამორჩება, ვისაც 126 მატჩი აქვს ესპანეთის ნაკრებში ჩატარებული. **კარლოს მარჩენამ** 50-ე წაუგებელი მატჩი გამართა ნაკრებში, ეს კი მსოფლიოს რეკორდია, აქამდე 49 წაუგებელი მატჩი გამართა ბრაზილიელმა გარინჩამ.

*„ყოველთვის არ ხდება ისე, როგორც დაგეგმავ, თუმცა უნდა ვიყოთ პოზიტიურად განწყობილები. ბიჭების უმეტესობას 15 დღეა არ უთამაშია და ისინი რიტმიდან ამოვარდნენ. სანახევროდ კმაყოფილი ვარ, საკლუბო სეზონის გაგრძელების გამო გეგმები ცოტა აგვერია. ახლა კი საჭიროა შრომა ნაბიჯ-ნაბიჯ. მუნდიალამდე კიდევ დროა და სათამაშო წუთებს ყველას გამოვუყოფთ"*, - განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ.

ამერიკის ნაკრებმა ფილადელფიაში „ლინკოლნის" სტადიონზე აჯობა თურქეთის ნაკრებს - 2:1. 27-ე წუთზე სტუმრები **არდა თურანის** გოლის წყალობით დაწინაურდნენ. ამერიკელებმა მეორე ტაიმში გაიტანეს, ჯერ **ჟოზი ალტიდორმა** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი **კლინტ დემპსიმ**. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე აშშ-ის ნაკრებს ერთი სპარინგილა დარჩა გასამართი, რუდპორტში ავსტრალიის წინააღმდეგ.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ირლანდიელთა სახით მუნდიალმა საინტერესო გუნდი დაკარგა. ალბათ ყველას ახსოვს, რომ **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა **ტიერი ანრის** ხელით თამაშის „წყალობით" დარჩნენ. ირლანდიელებმა ულაპარაკოთ აჯობეს მუნდიალის მონაწილე ალჟირს - 3:0. პირველ ტაიმში ანგარიში **პოლ გრინმა** გახსნა, მეორეში კი გუნდის კაპიტანმა **რობი კინმა** დუბლი შეასრულა. მატჩის შემდეგ ალჟირელთა თავკაცმა **რაბაჰ საადანემ** თქვა კიდეც, რომ მუნდიალზე ირლანდიის ნაკრები უნდა თამაშობდესო.

საქართველოს ნაკრებთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კამერუნელმა მოუთვინიერებელმა ლომებმა 1:1 ითამაშეს მუნდიალის დებიუტანტ სლოვაკეთთან. გუნდში კვლავ არ უთამაშია **სამუელ ეტოოს**. **კამილ კოპუნეკმა** უკვე მე-5 წუთზე დააწინაურა სლოვაკეთი, მაგრამ „აიაქსის" კამერუნელმა ლეგიონერმა **ეიონგ ენოჰმა** მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე შეძლო გათანაბრება.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა სიურპრიზი შემოგვთავაზა და სერბეთი **შეინ სმელცის** გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა. არადა „ოლ ვაითსი" 63 ადგილით ჩამორჩება ფიფას რეიტინგში მეტოქეს.

სამხრეთ კორეის ნაკრებმა ბელარუსი **სერგეი კისლიაკის** მიერ 53-ე წუთზე გატანილ გოლს ვერაფერი დაუპირისპირა და 0:1 წააგო. ამით კორეელთა ოთხმატჩიანი მოგებათა სერია შეწყდა.

მექსიკამ 5:1 გაანადგურა გამბია, ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეულმა **ხავიერ ერნანდესმა**, ორი გოლი გაიტანა **ადოლფო ერერა ბაუტისტამ**, ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა **ალბერტო მედინამაც** გამოიჩინა თავი.

გუშინ პარაგვაის წინააღმდეგ **სვენ გორან ერიქსონის** სადებიუტო მატჩი შედგა კოტ დივუარის ნაკრების თავკაცის პოსტზე. „სპილოებმა" შვედის პირველივე მატჩში თითქმის მოპოვებული გამარჯვება გაუშვეს ხელიდან, არადა მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე 2:0-ს იგებდნენ **დიდიე დროგბასა** და **სულეიმანე ბამბას** გოლების წყალობით. მაგრამ ამის შემდეგ სამხრეთამერიკელებმაც გამოილეს ხელი, შეცვლაზე შესულმა **ლუკას ბარიოსმა** ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო თამაშის ბოლოსწინა წუთზე ანგარიში **აურელიანო ტორესმა** გაათანაბრა - 2:2.

ინგლისის ნაკრებმა ისე მოიგო 2:1 იაპონიასთან, რომ **კაპელოს** ბიჭებს გოლი არ გაუტანიათ. იაპონელმა **მარკოს ტულიო ტანაკამ** ჯერ **დევიდ ჯეიმსი** დაამწუხრა, შემდეგ კი საკუთარი გოლკიპერი. „გამარჯვების გოლი" კი იაპონელთა მცველმა **იუჯი ნაკაზავამ** გაიტანა საკუთარ კარში. 56-ე წუთზე **ფრენკ ლემპარდმა** პენალტის გატანა ვერ შეძლო.

თამაშის შემდეგ კაპელომ განაცხადა, რომ უკვე იცის 23-კაციანი სია როგორ გამოიყურება, თუმცა მისი გახმოვანება იტალიელმა მწვრთნელმა ჯერ არ ისურვა. სავარაუდოდ, სიაში არ იქნებიან **მაიკ დოუსონი** და **სკოტ პარკერი**, რადგან მათ ორ თამაშში ერთი წუთითაც არ უთამაშიათ.

გერმანიის ნაკრები მუნდიალის წინ დაითარსა, გუნდმა მორიგი დანაკლისი განიცადა, დაიმტვრა **ჰაიკო ვესტერმანი**, „შალკეს" მცველს მუნდიალის გამოტოვება მოუწევს. ვესტერმანმა ტრავმა უნგრეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მიიღო, მან მარცხენა ფეხი დაიზიანა და რამდენიმე კვირით დასვენება მოუწევს. დანაკლისი აქვს სლოვაკეთის ნაკრებსაც, დებიუტანტ გუნდს გამოცდილი ნახევარმცველი **მიროსლავ კარჰანი** არ ეყოლება. კარჰანს ნაკრებში 96 მატჩი აქვს ჩატარებული და 13 გოლი გატანილი.



კლინტ დემპსი ხარობს



ფერნანდო ლორენტეს გადამწყვეტი გოლის შემდეგ

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამხანაგური მატჩი

# ლიოვის ექსპერიმენტები

## პოდოლსკი საყრდენად... კლოზე არ ვარგა... არც ბოატენგი!



ასე გაუტანა მარიო გომესმა გაბორ კირალის

**უნგრეთი-გერმანია 0:3**

**უნგრეთი (4-2-2-2):** კირალი - ბოდნარი (85. ლაჩკო), ვანჩაკი, ჰორვატი, ბოდორი (46. ტოშერი) - ჯუჰაში (72. შელეზი), ვადოჩი - ჰუშტი (72. პრისკინი), ჟუჟაკი - კომანი (88. ლაზოკი), ტორგელე (61. ნემეთი).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ჟ. ბოატენგი, მერტეზაკერი, ა. ფრიდრიხი (71. ბადშტუბერი), ვესტერმანი - ხედირა (46. აოგო), კროოსი (61. მარინი) - ტროხოვსკი (61. იანსენი), იოზილი (46. კაკაუ), პოდოლსკი - კლოზე (61. გომესი).

**გოლები:** 0:1 პოდოლსკი (5-პენ), 0:2 გომესი (69), 0:3 კაკაუ (72)

**მაყურებელი:** 14 000

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლოსწინა ამხანაგური მატჩი გერმანიის ნაკრებმა დამაჯერებლად ჩაატარა და სოლიდური ანგარიშითაც (3:0) მოიგო. **იოახიმ ლიოვის** კოლექტივმა ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრები **ფილიპ ლამის, ბასტიან შვაინშტაიგერის, თომას მიულერისა** და **იორგ ბუტის** გარეშე, მეტ-ნაკლებად ექსპერიმენტული შემადგენლობით დაამარცხა. გოლები **ლუკას პოდოლსკიმ** (პენალტით), **მარიო გომესმა** და **კაკაუმ** გაიტანეს. ალსანიშნავია, რომ მატჩის მეორე ტაიმში ბუნდესგუნდში „ბაიერნის" ახალგაზრდა მცველის, **ჰოლგერ ბადშტუბერის** დებიუტი შედგა. აქვე გეტყვით, რომ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე, გერმანია ბოლო ტესტ-მატჩს 3 ივნისს ფრანკფურტში (ბოსნიასთან) გამართავს.

პირველ ივნისს ლიოვმა საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა უნდა დაასახელოს. *„ამ დღეებში უამრავი ჭორი ვრცელდება. მე კი ვიტყვი, რომ მუნდიალზე გამგზავრების შანსი იმ ფეხბურთელებსაც აქვთ, რომლებსაც უნგრეთთან არ უთამაშიათ,"* - განაცხადა იოგიმ მატჩის შემდეგ.

პირველ რიგში, საინტერესო ის არის, რომ ლიოვმა კვლავ 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა აირჩია და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს სქემა ბუნდესგუნდისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზეც პრიორიტეტული იქნება. ლამის არყოფნაში, დაცვის მარცხენა ფლანგზე იოგიმ **ჰაიკო ვესტერმანი** ათამაშა, ცენტრში კი, **პერ მერტეზაკერთან** ერთად, **არნე ფრიდრიხი** გაამწესა. ნახევარდაცვის ცენტრში **სამი ხედირასა** და **ტონი კროოსის** დუეტი ვიხილეთ. ძირითად შემადგენლობაში იყო **პიოტრ ტროხოვსკიც** (მარჯვენა შემტევი ნახევარმცველი). ერთადერთი ცენტრფორვარდი კი **მიროსლავ კლოზე** გახლდათ, რომელსაც ამავდროულად ბუნდესგუნდის კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა.

მართალია, უნგრეთი მსოფლიოს ჩემპიონობის ამბიციის მქონე გერმანიისთვის ჯეროვან საზომად არ გამოდგება, მაგრამ გერმანელთა სასარგებლოდ მაინც უნდა ითქვას, რომ ლიოვის ბიჭებმა პირველ წუთებში ძალიან მოინდომეს და უბერებელი **გაბორ კირალის** კართან თავიდანვე საკმაოდ ბევრი მომენტი შექმნეს. შტურმი 17 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ხედირას, რომელსაც მუნდიალზე **მიხაელ ბალაკის** შეცვლა უნდა დაევალოს. ახალგაზრდა შტუტგარტელი ნახევარმცველი ძალიან ბევრს შრომობდა, დარბოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს უაღრესად მოტივირებული ხვდება - მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბალაკი დაშავდა და გადაწყდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მან უნდა ითამაშოს. ხედირა ძალიან ხშირად ერთვებოდა შეტევებში და თანაგუნდელებს პრესინგისკენ მოუწოდებდა. აქტიური იყო ტროხოვსკიც, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან საკმაოდ მწარედ უტევდა და ხშირად ცენტრისკენ მიიწევდა, ოღონდ მისი დარტყმები არაზუსტი იყო.

ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრს მხოლოდ რამდენიმე მომენტში დაადგა ჯაფა - უნგრეთის ნაკრების მთავარმეგოლე **ტორგელემ** მერტეზაკერსა და ფრიდრიხს სერიოზული პრობლემები ვერ შეუქმნა. ფრიდრიხზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ შეტევების წამოწყება სწორედ მას ევალებოდა და ხშირად თვითონაც მიდიოდა შეტევაში. ბევრი საქმე არც მეკარე **მანუელ ნოიერს** ჰქონია, მაგრამ როცა საჭირო გახდა, ბუნდესნაკრები გადაარჩინა კიდეც.

გერმანიამ მეორე ტაიმი ხედირას გარეშე დაიწყო. შტუტგარტელს კუნთი დაეჭიმა, მაგრამ სერიოზული არაფერია. ლიოვმა უბრალოდ არ გარისკა და პირველი ტაიმის გმირი **დენის აოგოთი** შეცვალა, რომელიც ნომინალურად ფლანგის მცველია, მაგრამ რაკი იოგის სკამზე არც ერთი საყრდენი (!) არ ჰყავდა, იძულებული გახდა, მეორე ტაიმში კროოსის გვერდით აოგო დაეყენებინა. ამასთან, ლიოვმა **მესუთ იოზილის** ნაცვლად მოედანზე **კაკაუ** შეუშვა.

ბუნდესმწვრთნელის ექსპერიმენტები მე-60 წუთზე გაგრძელდა: ლიოვმა ტაქტიკა შეცვალა და გუნდი 4-4-2-ზე გადააწყო. გაგიკვირდებათ და, ნახევარდაცვის ცენტრში, ანუ, საყრდენებად მან აოგო და პოდოლსკი (!) გაამწესა. შეცვლაზე შესულები, **მარკო მარინი** (მარჯვნივ) და **მარსელ იანსენი** (მარცხნივ) კი ფლანგებზე გამწესდნენ. თავდასხმაში კი ყოფილი თანაგუნდელები, მარიო გომესი (კლოზე შეცვალა) და კაკაუ იდგნენ. მათ ლიოვის ნდობა გაამართლეს: მარიომ მეორე გოლი გაიტანა, კაკაუმ კი მესამე. უნდა შევაქოთ მარინიც, რომელიც ძალიან მონდომებული იყო. გასაკვირი არაფერია: მარკოს სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება განაღდებული ჯერ არ აქვს.

არ შეიძლება, არ ვისაუბროთ უნგრელთა 34 წლის მეკარე კირალიზე, რომელმაც, მიუხედავად სამი გოლის გაშვებისა, ძალიან კარგად ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მაღალი კლასის კიპერია. პირველ ტაიმში მან პოდოლსკის, ხედირას, ტროხოვსკისა და იოზილის დარტყმები შესანიშნავად მოიგერია. პოდოლსკის პენალტის დროს კირალის, რა თქმა უნდა, შანსი არ ჰქონდა. ვეტერანმა მეკარემ ერთადერთი შეცდომა დაუშვა: გომესის გოლის მომენტში კარიდან გამოსვლაზე ზედმეტად დიდხანს იფიქრა.

სამაგიეროდ, კრიტიკის ქარცეცხლს იმსახურებს გერმანიის ნაკრების მარჯვენა მცველი **ჟერომ ბოატენგი**, რომელსაც უნგრელთა მარცხენა გარემარბმა **ჟუჟაკმა** ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა. ბოატენგს თავდაჯერებაც აკლდა და არც კლასი ეტყობოდა. თუკი უნგრელები გერმანელთა კართან რამეს ახერხებდნენ, ეს უმეტესად სწორედ ბოატენგის ფლანგიდან ხდებოდა. ლიოვი იმედგაცრუებული დარჩებოდა კლოზეს თამაშითაც. მირო გათიშული იყო და რაც ყველაზე სავალალოა, ბურთსაც ძალიან იშვიათად ითხოვდა. ამასთან ერთად, კლოზემ ერთი საკმაოდ კარგი მომენტიც ვერ გამოიყენა.

საინტერესო დეტალი: მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ფეხბურთელებს ამოაგდებს ლიოვი გაფართოებული სიიდან, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის საშუალო ასაკი 26 წელიც კი არ იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1934 წლის (!) შემდეგ, გერმანიას მუნდიალზე ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ეყოლება...

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფული, ალექს, ბევრი ფული!

**დევიდ გილმა** „მანჩესტერ იუნაიტედის" განრისხებულ ფანებს შეუთვალა, რა ნერვიულებთ, ახალი ფეხბურთელების საყიდლად კლუბს 95 მილიონი ფუნტი აქვს გამოყოფილიო. და რამ განარისხა „იუნაიტედის" ფანობა? მოგეხსენებათ, ამ ხალხს კლუბის მეპატრონეების, **გლეიზერების** მმართველობა არ მოსწონს. ამერიკელი მილიარდერების ხელში „იუნაიტედს" დიდი ვალი დაუგროვდა, მაგრამ, აი, ახალი ამბავიც: გლეიზერებმა კლუბის ხელახლა გაყიდვის იდეას ცივი წყალი გადაასხეს - მათ განაცხადეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" გაყიდვას არ აპირებენ და სწორედ ამ ცნობის გასანეიტრალებლად განაცხადა გილმა, რომ მწვრთნელს სერ **ალექს ფერგიუსონს** სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან სატრანსფერო ბაზარში წასასვლელად ფული საკმარისად არის.

„ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ფერგიუსონმა არცთუ დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების ყიდვას არ აპირებს, თუმცა ახლა ტონი შეცვალა და გულშემატკივარს სიტყვა გადაუკრა, ერთი ძვირი ფეხბურთელი შეიძლება მაინც ვიყიდოო. შეგახსენებთ, რომ ფერგიმ ორი კაცი უკვე დაიმატა. ესენია **კრის სმოლინგი** და **ხავიერ ერნანდესი**, რაშიც დაახლოებით 18 მილიონი გადაიხადა. პრესისთვის ცნობილია, რომ ძვირად ღირებული ფეხბურთელებიდან მანჩესტერელებს მიზანში **ქარიმ ბენზემა** და **დავიდ სილვა** ჰყავთ ამოღებული, თუმცა აღმასრულებელმა შეფმა თქვა, რომ ფერგიუსონს შეუძლია მხოლოდ ამ ორით არ შემოიფარგლოს. კერძოდ, გილმა ასე ბრძანა:

*„ახლა უკვე ყველამ იცის, რა თქვა ალექსმა. მან თქვა, რომ ფული სჭირდება და ამიტომაც მისცეს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ფერგიუსონი ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და მეც ვადასტურებ: ფული მართლაც გამოყოფილია. საბოლოო თანხა, რომელიც კლუბმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად გამოძებნა, 95 მილიონ ფუნტს უდრის. ასე და ამგვარად, ნურავინ იფიქრებს, რომ ალექსს რაღაცის გაკეთება უნდა და ვინმე ხელს უშლის. „მანჩესტერ იუნაიტედი" მდიდარი კლუბია, მას შეუძლია ფეხბურთელებიც შეიძინოს და საწვრთნელ ბაზასა და სტადიონსაც დაახარჯოს".*

შემდეგ გილმა გლეიზერების დასაცავად აიმაღლა ხმა.

*„ფანები დაუსრულებლად აპროტესტებენ გლეიზერების მმართველობას და აზრს არ იცვლიან, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ზედიზედ სამჯერ მოიპოვა პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული. არადა, მითხარით, განა სამ წელიწადში სამ ჩემპიონობაზე მეტი წარმატების მიღწევა შეიძლება? როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს არასოდეს არაფრით იყვნენ კმაყოფილი".*

და ბოლოს ბენზემას ტრანსფერის ამბავს დავუბრუნდეთ. დიდი შანსია, ფრანგის გადაბირების საქმიდან არაფერი გამოვიდეს, რადგან, ისე ჩანს, რომ მის კლუბს „რეალს" ფორვარდის გაყიდვა არ უნდა. არადა, ფერგიუსონს ბენზემას შეძენა ერთი წლის წინაც ძალიან უნდოდა, მაგრამ მაშინ ის 43 მილიონ დოლარად მადრიდში გაიყიდა. როგორც „რეალის" სპორტულმა დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** თქვა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფრანგი თავდამსხმელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" კიდევ ერთი წლით დარჩება. კერძოდ, ვალდანომ თქვა:

*„გასულ სეზონში ჩვენ 102 გოლი გავიტანეთ, მაგრამ ამაში ქარიმს დიდი მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ის იშვიათად თამაშობდა. მომდევნო სეზონში ის ახალი შენაძენივით იქნება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-კამერუნი | 1:1 |
| ნორვეგია-ჩერნოგორია | 2:1 |
| მოლდოვა-საუდ. არაბეთი | 2:3 |
| პოლონეთი-ფინეთი | 0:0 |
| სერბეთი-ახ. ზელანდია | 0:1 |
| ისლანდია-ანდორა | 4:0 |
| ესპანეთი-ს. არაბეთი | 3:2 |
| აზერბაიჯანი-მაკედონია | 1:3 |
| შვედეთი-ბოსნია | 4:2 |
| უკრაინა-რუმინეთი | 3:2 |
| უნგრეთი-გერმანია | 0:3 |
| აშშ-თურქეთი | 2:1 |
| ვენესუელა-კანადა | 1:1 |
| ინგლისი-იაპონია | 2:1 |
| ბელარუსი-ს. კორეა | 1:0 |
| პარაგვაი-კოტ დ'ივუარი | 2:2 |
| გამბია-მექსიკა | 1:5 |
| ნიგერია-კოლუმბია | 1:1 |
| ტუნისი-საფრანგეთი | 1:1 |
| ჩილე-ჩრ. ირლანდია | 1:0 |

### ინგლისი

**I ლიგა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| მილუოლი-სუინდონი | 1:0 |

**II ლიგა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| დაგენჰემი-როტერჰემი | 3:2 |

### იტალია

**სერია B**

XLII ტური

| | |
|---|---|
| ანკონა-მანტოვა | 2:2 |
| კროტონე-ასკოლი | 1:2 |
| ემპოლი-გროსეტო | 2:2 |
| ფროსინონე-ტრიესტინა | 2:2 |
| ლეჩე-სასუოლო | 0:0 |
| მოდენა-გალიპოლი | 3:2 |
| პადოვა-ბრეშია | 2:1 |
| პიაჩენცა-ჩეზენა | 0:1 |
| რეჯინა-ალბინოლეფე | 3:1 |
| სალერნიტანა-ვიჩენცა | 0:1 |
| ტორინო-ჩიტადელა | 1:0 |

**სერია C1/A. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კრემონეზე-არეცო | 1:2 |
| ვარეზე-ბენევენტო | 2:1 |

**სერია C1/A. პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ვიარეჯო-პაგანეზე | 1:1 |
| პერგოკრემა-პრო პატრია | 1:1 |

**სერია C1/B. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ვერონა-რიმინი | 0:0 |
| პესკარა-რეჯინა | 2:0 |

**სერია C1/B. პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ანდრია-ჯულიანოვა | 1:0 |
| ფოჯა-პეშინა | 1:2 |

### ესპანეთი

**II დივიზიონი**

XXXIX ტური

| | |
|---|---|
| კორდობა-კარტახენა | 1:2 |
| უესკა-ბეტისი | 0:1 |
| ლას პალმასი-ელჩე | 4:1 |
| სოსიედადი-ვილარეალი B | 2:1 |
| ლევანტე-ვალეკანო | 2:1 |
| ხამნასტიკი-კადისი | 0:2 |
| ხირონა-რეკრეატივო | 0:0 |
| მურსია-სელტა | 4:1 |
| სალამანკა-რეალ უნიონი | 3:0 |
| ნუმანსია-კასტელონი | 2:1 |
| ერკულესი-ალბასეტე | 5:1 |

### დანია

**II დივიზიონი**

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბრაბრანდი-ფინი | 1:3 |
| ვესტსიელანდი-ლუნგბიუ | 1:2 |
| ჰვიდოვრე-ნაესტვედი | 0:1 |
| როსკილდე-ტისტედი | 2:1 |
| კოლდინგი-ფრემი | 3:2 |
| სკივე-ფრედერისია | 1:0 |

### ფინეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-ჰიკ | 1:2 |
| ჰონკა-ვაასა | 0:0 |

**II დივიზიონი**

VI ტური

ესპოო-ოპს 1:2; იიპო-კლუბი 04 2:1; პოპა-პკ35 4:3; კპვ-მიკელი 3:0; კემი-კოტეპე 0:3; როვანიემი-ჰამეენლინა 5:2; ვიიკინგიტი-ტპვ ტამპერე 1:1.

### ისლანდია

V ტური

| | |
|---|---|
| ვესტმანაეიარი-ბრეიდაბლიკი | 1:1 |

### ნორვეგია

**II დივიზიონი**

X ტური

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ბრინი | 0:5 |
| ლოვ ჰამი-მოსი | 3:0 |
| ლინი-ფოლო | 2:4 |
| ნილი-რანჰეიმი | 3:1 |
| სანდნესი-ბრიომსდალენი | 2:1 |
| სტრიომენი-ალტა | 6:1 |

### ირლანდია

**პრემიერ დივიზიონი**

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-შემროკი | 0:0 |
| დროგედა-სტ. პატსი | 2:1 |
| სპორტინგი-გალვეი | 2:0 |
| სლიგო-ბრეი | 5:1 |
| უნივერსიტი-დანდალკი | 3:1 |

**II დივიზიონი**

XIV ტური

სოლტჰილი-შელბურნი 0:2; ლონგფორდი-ლიმერიკი 1:0; დერი-უოტერფორდი 2:0; ფინ ჰარპსი-მონეგანი 0:0; კორკი-ეთლონი 0:1; უექსფორდი-მერვუ 3:2.

### შვედეთი

**II დივიზიონი**

IX ტური

| | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ოსტერსი | 4:3 |
| ჰამარბიუ-ვასბი | 2:0 |
| ნორჩოპინგი-სირიანსკა | 3:2 |
| ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 1:1 |
| სუნდსვალი-იორგრიტე | 2:1 |
| ასირისკა-ლიუნგსკილე | 2:1 |
| ბრაგე-დეგერფორსი | 1:1 |

### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

XXIX ტური

| | |
|---|---|
| პრადეცი-ქლინი | 2:1 |
| დუკლა-იელავა | 1:1 |
| ჩასლავი-პლუჩინი | 1:0 |
| ტრშინეცი-კარვინა | 1:3 |
| მოსტი-ულაშიმი | 0:2 |
| ოპავა-ვიქტორია | 2:2 |
| სოკოლოვი-უსტი | 1:3 |
| ვიტკოვიცე-სპარტა II | 0:2 |

### ესტონეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პაიდე-კალიუ | 0:3 |
| ლოოტუსი-ტამეკა | 1:3 |
| ფლორა-ლევადია | 2:1 |
| კალევი-კურესაარე | 6:0 |
| ტულევიკი-ტრანს ნარვა | 0:1 |

### ლატვია

VII ტური

| | |
|---|---|
| სკონტო-მეტალურგსი | 0:0 |
| იურმალა-დაუგავა | 0:1 |
| ვენტსპილსი-იაუნიბა | 5:0 |
| ოლიმპსი-ტრანზიტსი | 0:1 |
| იელგავა-ბლაზმა | 4:0 |

### ლიტვა

XII ტური

| | |
|---|---|
| ვალმირისი-ტაურასი | 1:0 |
| ატლეტასი-ბანგა | 0:0 |
| კრუოია-შიაულიაი | 3:3 |
| მაჟეიკიაი-სუდუვა | 1:2 |
| კლაიპედა-ვეტრა | 1:3 |

### ბრაზილია

V ტური

| | |
|---|---|
| ავაი-ვიტორია | 0:0 |
| ფლამენგო-გრემიო | 1:1 |
| პალმეირასი-გრემიო პრუდენტე | 0:0 |
| ატ. მინეირო-ფლუმინენსე | 1:3 |
| კორინთიანსი-სანტოსი | 4:2 |
| გუარანი-სან პაულუ | 0:0 |
| ინტერნასიონალი-ატ. პარანაენსე | 4:1 |

### ეკვადორი

XVI ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-უნ. კატოლიკა | 2:0 |
| ნასიონალი-ლდუ დე კიტო | 0:0 |
| მანტა-ბარსელონა | 0:0 |
| ოლმედო-ინდეპენდიენტე | 2:3 |
| ესპოლი-დეპ. კუენსა | 3:0 |

### პერუ

XVI ტური

| | |
|---|---|
| ინტი გასი-უნივერსიტარიო | 2:1 |
| ქ. ნასიონალი-სან მარტინი | 2:2 |
| ხოსე გალვესი-სპორტ ბოისი | 2:1 |
| ტოტალ ჩალაკო-სპორტი | 3:2 |
| სენსიანო-ალ. ატლეტიკო | 0:0 |
| სპ. კრისტალი-სესარ ვალეხო | 0:1 |

### აშშ

X ტური

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 0:2 |
| დი სი იუნაიტედი-ჩივასი | 3:2 |
| ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 3:2 |
| ჰიუსტონი-ფილადელფია | 2:3 |
| კოლორადო-სიეტლი | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-კანზასი | 4:1 |
| სან ხოსე-ტორონტო | 1:3 |

### იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| სერეზო-ვეგალტა | 0:1 |
| ნიიგატა-ომიია | 1:0 |
| ივატა-კობე | 2:0 |
| იოკოჰამა-შონანი | 3:0 |
| კიოტო-ნაგოია | 1:0 |
| ურავა-შიმიცუ | 0:1 |

### ევრო 2010

**UNDER 17. ფინალი**

ფინალი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ინგლისი | 1:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი


მასიმილიანო ალეგრი


ფრანკ რაიკაარდი


მარჩელო ლიპი


მარკო ვან ბასტენი


მაურო ტასოტი

# ბერლუსკონის არჩევანი

„მილანის" მესვეურებმა ვერა და ვერ გადაწყვიტეს, ვის უნდა ჩააბარონ გუნდი. „როსონერი" კვლავაც ამერიკულ ტურნეშია და მაურო ტასოტის თავკაცობით ატარებს ვარჯიშებსა თუ ამხანაგურ თამაშებს. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ სილვიო ბერლუსკონი არჩევანს ხუთ სპეციალისტს შორის გააკეთებს. აქვე ჩამოვთვალოთ ეს ხუთეული: მასიმილიანო ალეგრი, მარკო ვან ბასტენი, ფრანკ რაიკაარდი, მარჩელო ლიპი, მაურო ტასოტი.

ყველაზე ძვირად ალეგრის შანსები ფასობს, რომელიც დღესვე მზად არის ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მასიმილიანო ნაკლებად ცნობილი სპეციალისტია და მისთვის „მილანის" დარი გუნდის გაწვრთნა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, მათთან შედარებით რთული იქნება შეთანხმების მიღწევა. მოდით, გადავხედოთ თითოეულ კანდიდატს და შევაფასოთ მათი პლუს-მინუსები.

## მასიმილიანო ალეგრი, 42 წლის

**წვრთნიდა:** *ალიანეზე, სპალი, გროსეტო, სასუოლო, კალიარი.*

**ტიტულები:** *სერია C1-ის ჩემპიონი (2007/08), სერია C-ეს სუპერთასის მფლობელი (2008).*

„კალიარიში" ორწლიანი მოღვაწეობით იტალიურ საფეხბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. მასიმილიანო ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ აპენინელ მწვრთნელად ითვლება და ამად არის, რომ მასზე დიდი მოთხოვნაა. 2008/09 წლების სეზონში სულაც საუკეთესო სპეციალისტად აღიარეს, მოიტოვა რა უკან თვით **ჟოზე მოურინიო**. მართალია, მისმა „კალიარიმ" ევროსაგზური ვერ მოიპოვა, მაგრამ შესაძლებლობის გათვალისწინებით, შესანიშნავად იასპარეზა. სეზონის წინ, სარდინიელები გავარდნის მთავარი კანდიდატები გახლდნენ, რეალობა კი განსხვავებული გამოდგა. „კალიარი" ორი სეზონია ორგანიზებულ, გააზრებულ ფეხბურთს თამაშობს და ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

**ალეგრიმ** წარმატებით იმუშავა „სასუოლოში" და გუნდი სერია C1-დან სერია B-ში გადაიყვანა. ვინც ქვედა დივიზიონს თვალს ადევნებთ, გეცოდინებათ, რომ „სასუოლო" უკვე სერია A-ში გადასვლისთვის იბრძვის. ამაში ალეგრის წვლილი უდიდესია, მან აწყობილი მექანიზმი გადააბარა მემკვიდრეს.

ალეგრის მთავარი მინუსი მისი გამოუცდელობაა. არასდროს უმუშავია ევროპული ფეხბურთის გრანდში და გარკვეულწილად, მისთვის „მილანის" ჩაბარება მართლაც რომ რისკია. ეს კარგად ესმის **სილვიო ბერლუსკონის**, მაგრამ შესაძლოა ამ პრინციპით იმოქმედოს: *„ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს სვამს"*...

## ფრანკ რაიკაარდი, 47 წლის

**წვრთნიდა:** *ჰოლანდიის ნაკრები, სპარტა, ბარსელონა, გალათასარაი.*

**ტიტულები:** *ორჯერ ესპანეთის ჩემპიონი (2004/05, 2005/06), ჩემპიონთა ლიგა (2005/06), ორჯერ ესპანეთის სუპერთასი (2005, 2006).*

**რაიკაარდი** სრულიად გამოუცდელი მწვრთნელი იყო, როდესაც ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ჩააბარეს. მიუხედავად ამისა, საქმეს თავი ძალიან კარგად გაართვა და თავაწეულმა დატოვა დაკავებული პოსტი. ბევრის აზრით, მისი ფორმაციის ჰოლანდია საუკეთესო ფეხბურთს თამაშობდა და ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც იმსახურებდა. გახსოვთ ალბათ ევრო 2000, რომელიც ჰოლანდია-ბელგიაში გაიმართა. თანამასპინძლები ნახევარფინალში გავიდნენ და იტალიის ნაკრებთან თერთმეტმეტრიანების სერიაში წააგეს. მაშინ **ფრანჩესკო ტოლდო** გაისარჯა ფანტასტიკურად და ფაქტობრივად გაათრია „სკუადრა აძურა" ფინალში.

ყველაზე წარმატებით რაიკაარდმა „ბარსელონაში" იმუშავა, სადაც ხუთი სეზონი დაყო და ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. განსაკუთრებით წარმატებული 2005/06 წლების სეზონი გამოდგა, რომელშიც „ბარსამ" ჰეთთრიკი შეასრულა და თანაც, ეს ყველაფერი ეფექტური, ულამაზესი თამაშით გააკეთა.

ბერლუსკონი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ხშირად ამბობს, რომ გარდა შედეგისა, მას სანახაობაც სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, რაიკაარდი ძალიან კარგი კანდიდატურაა და სულაც არ არის გამორიცხული, არჩევანი მასზე შეჩერდეს. ეგ არის, რომ ამჟამად ფრანკი თურქეთში მოღვაწეობს და მისი იქიდან დახსნა ერთობ რთული იქნება.

## მარკო ვან ბასტენი, 45 წლის

**წვრთნიდა:** *აიაქსი B, ჰოლანდიის ნაკრები, აიაქსი.*

**ტიტულები:** *არ აქვს*

კიდევ ერთი ექს-"მილანელი", რომელიც მშობლიური ქვეყნის ნაკრებს წვრთნიდა. რაიკაარდის მსგავსად, ისიც სრულიად გამოუცდელი გახლდათ, როდესაც ეროვნული გუნდი ჩააბარეს. როგორც ჩანს, ჰოლანდიელებს ასეთი სტილი აქვთ, რისკიანი. რაიკაარდის მსგავსად, **ვან ბასტენის** ჰოლანდიამაც ლალი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა. განსაკუთრებით გამორჩეული ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი იყო, სადაც ნარინჯისფრებმა ჯგუფური ეტაპი ბრწყინვალედ დაძლიეს. ვან ბასტენის გუნდმა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს და ფინალისტს გადაურბინა, ზედ რუმინეთი მიაყოლა და ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის სტატუსიც მიიღო. აი, რაც მეოთხედფინალში მოხდა, ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჯდება - ახალგაზრდა თანამემამულე **გუუს ჰიდინკმა** და მისმა რუსეთმა დაჯაბნა, რითაც ჰოლანდიური ოცნება დასამარდა.

ვან ბასტენმა ნაკრები დატოვა და „აიაქსს" ჩაუდგა სათავეში. კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და დიდი გეგმებიც დასახა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. პირველივე სეზონში „აიაქსი" მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა და პლეი ოფებში სულაც ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგა. მარკო კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია და იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა. ამჟამად უმუშევარია და აცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან ფეხბურთში დაბრუნება სურს. თუ ბერლუსკონისგან წინადადება მიიღო, ძნელად წარმოსადგენია, რომ არ დათანხმდეს. თუმცა, „აიქსში" გატარებული წარუმატებელი სეზონი მის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს.

## მარჩელო ლიპი, 62 წლის

**წვრთნიდა:** *სამპდორიას პრიმავერა, პონტედერა, სიენა, პისტოეზე, კარარეზე, ჩეზენა, ლუკეზე, ატალანტა, ნაპოლი, იუვენტუსი, ინტერი, იტალიის ნაკრები.*

**ტიტულები:** *ხუთჯერ იტალიის ჩემპიონი (1994/95, 1996/97, 1997/98, 2001/02, 2002/03), ორჯერ იტალიის თასი (1994/95, 1999/00), ოთხჯერ იტალიის სუპერთასი (1995, 1997, 2002, 2003), ჩემპიონთა ლიგა (1995/96), ევროპის სუპერთასი (1996), საკონტინენტთაშორისო თასი (1996), მსოფლიოს ჩემპიონი (2006).*

ტროფეების ჩამოთვლა საკმარისია იმისთვის, რომ მივხვდეთ, რა დონის და რა კვალიფიკაციის მწვრთნელზე გვაქვს საუბარი. **მარჩელო ლიპიმ** პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და დღესვე რომ გავიდეს პენსიაზე, ყოველთვის დარჩება მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სპეციალისტთა შორის. თუმცა, დღესვე პენსიაზე გასვლა გამორიცხულია, რადგან სინიორ მარჩელოს წინ მორიგი მუნდიალი და მორიგი გამოცდა ელის. საკითხავი ის არის, რა იქნება შემდეგ? - ეს ის კითხვაა, რომელიც ბევრს აწუხებს. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ დღეს „როსონერი" ჯერ კიდევ უმწვრთნელოდაა, სწორედ მარჩელო ლიპია. მასთან მოლაპარაკება ერთობ რთული გამოდგა, მაგრამ სილვიო თავისას არ იშლის და ცდილობს, ლიპისგან თანხმობა მიიღოსო. აღნიშნულ მოლაპარაკებებს არც ერთი მხარე არ ადასტურებს, მაგრამ აბა იტალიელ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ.

ლიპის პლუსებზე საუბარი შორს წაგვიყვანს - მისი გუნდები ყოველთვის შედეგზე გახლდნენ ორიენტირებულნი და საოცრად ორგანიზებულად თამაშობდნენ. ლიპის აქვს უნარი, ნებისმიერი მასშტაბის ვარსკვლავი გუნდის ინტერესებს დაუქვემდებაროს და გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს. და ისინი, ვისი მორჯულებაც შეუძლებელია, უბრალოდ არ სჭირდება და არც იყენებს. ნათელი მაგალითი **ანტონიო კასანოა**, რომელსაც უკვე წლებია არ სწყალობს.

მინუსი? - შეგვიძლია გავიხსენოთ ერთადერთი წარუმატებელი სეზონი, რომელიც მილანის „ინტერში" გაატარა. ვერაფრით გადაიყვანა გუნდი თავის რელსებზე და შესაბამისად, შედეგიც ვერ მიიღო. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ლიპიმ წარუმატებლად იმუშავა და პოსტიდან დაითხოვეს. არის რისკი, რომ იგივე „მილანში" დანიშვნის შემთხვევაშიც განმეორდეს, მით უმეტეს, რომ მაესტროს კლუბში უკვე ექვსი წელია არ უმუშავია. ნებისმიერ შემთხვევაში, მარჩელო ლიპი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი კანდიდატია.

## მაურო ტასოტი, 50 წლის

**წვრთნიდა:** *მილანის პრიმავერა, მილანის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი*

**ტიტულები:** *არ აქვს*

რამდენიმე დღის წინ სილვიო ბერლუსკონიმ ასეთი რამ თქვა: *„მე რომ „მილანის" მთავარი მწვრთნელი ვიყო, სკუდეტოს აუცილებლად მოვიგებდი"*. სილვიო იტალიის პრემიერია და ვერანაირად ვერ იქნება „როსონერის" თავკაცი, მაგრამ აშკარაა, რომ მას ეს ყოველთვის უნდოდა. და თუ მართლა სურს, გუნდის საქმეებში აქტიურად იყოს ჩართული, შემადგენლობა და ტაქტიკა თავად შეარჩიოს, მაშინ არჩევანი სწორედ **მაურო ტასოტიზე** უნდა შეაჩეროს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტასოტი ნაკლებად ამბიციური ადამიანია, რომელიც „მილანის" დიდი ოჯახის წევრად მიიჩნევს თავს და მუდმივად აცხადებს, რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებო. ნათელია, რომ მთავარი მწვრთნელი ტასოტი ანგარიშს გაუწევს პრეზიდენტის მითითებებს და მეტიც, მას ბოლომდე გაიზიარებს. თუ ბერლუსკონის მორჩილი მწვრთნელი სჭირდება, ტასოტიზე უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვნის.

სხვა რა შეიძლება ითქვას მაუროზე? - მართალია, მისი ტიტულების გრაფაში არაფერი წერია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რვა წლის განმავლობაში **კარლო ანჩელოტის** თანაშემწე გახლდათ და მასთან ერთად არაერთი ტროფეი მოიგო. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდევაც: სკუდეტო, იტალიის თასი, ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, ამდენჯერვე ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ამერიკულ ტურნეში მყოფ „მილანს" სწორედ ტასოტი თავკაცობს - ვნახოთ, დატოვებენ თუ არა მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

**ლაშა ნიკლაური**

ინტერვიუ

ტორსტენ ფრინგსი

# რატომ მომექცნენ ასე უსამართლოდ?!

## ...ავდექი და იოახიმ ლიოვს პირდაპირ მივახალე, ამ ყველაფერს ღამის პირველ საათზე არ უნდა მეუბნებოდე-მეთქი

**მიხაელ ბალაკი, სიმონ როლფესი, კრისტიან ტრეში - გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი ვერ მიჰყავს. ბუნდესმწვრთნელ იოახიმ ლიოვის სიაში დღესდღეობით მხოლოდ ორი ნომინალური საყრდენია: ბასტიან შვაინშტაიგერი და სამი ხედირა. ამ ორიდანაც, ტიპური ჩამშლელი მხოლოდ ხედირა გახლავთ. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების თავკაცი არც კი ფიქრობს ტორსტენ ფრინგსის გუნდში დაბრუნებაზე. არადა, „ვერდერის“ 33 წლის ლიდერმა სეზონი შესანიშნავ ფორმაში მყოფმა დაასრულა. ტორსტენი, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც „ბილდ ამ ზონთაგში“ გამოქვეყნდა.**

**- ჰერ ფრინგს, მაინც რა დაუშავეთ ასეთი იოახიმ ლიოვს? ფაქტია, რომ იოგი იგნორირებას უკეთებს გერმანიის ნაკრების ყოფილ ლიდერს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფეხბურთელს. თანაც, არც ისე ასაკოვანი ხართ, რომ უკვე ჩამოსაწერი იყოთ. ამასთან ერთად, ეს სეზონი ძალიან კარგად ჩაატარეთ...**

- თემა სახელწოდებით გერმანიის ნაკრები ჩემთვის უკვე დახურულია. როგორც გერმანელი და გერმანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ბუნდესგუნდისადმი გულგრილი არ ვარ და ვერც ვიქნები, მაგრამ რა ვქნა ან რა ვთქვა? ლიოვთან არანაირი კავშირი აღარ მაქვს. ტელეფონითაც კი არ მიკავშირდება...

**- ერთხელაც რომ დაგირეკოთ, რას ეტყვით?**

- ზუსტად ვიცი, არასდროს დამირეკავს.

**- მასზე ძალიან გაბრაზებული ხართ?**

- არა, გაბრაზებული ნაკლებად. უფრო გაკვირვებული და იმედგაცრუებული ვარ. იმედგაცრუებული კი პირველ რიგში იმის გამო ვარ, რომ ძალიან ცუდად მომექცნენ. ნაკრებიდან ვინ არ მოუკვეთიათ - მე კი არა, ჩემზე გაცილებით დიდი ფეხბურთელები ასრულებდნენ სანაკრებო კარიერას ისე, რომ თვითონ ეს არ უნდოდათ. მაგრამ მე ძალიან ცუდად მომექცნენ. იანვარში ლიოვი ადგა და პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფრინგსი ნაკრებში აღარ ითამაშებსო. არანაირი დამშვიდობება, არანაირი თბილი სიტყვები... გული მეტკინა.

**- პირადად თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ შეგიძლიათ გერმანიის ნაკრების დახმარება?**

- ბრემენის „ვერდერის“ დახმარება შემიძლია?

**- „ვერდერში“ თქვენ კაპიტანი და გუნდის ლიდერი ხართ...**

- ესეც პასუხი თქვენს კითხვაზე. გერმანიის ნაკრებში ხომ ისეთი ფეხბურთელები უნდა ხვდებოდნენ, რომლებიც ქვეყნის წამყვანი კლუბების ლიდერები არიან? რა ვიცი, ბუნდესგუნდში ფეხბურთელებს ყოველთვის ამ პრინციპით არჩევდნენ და მეც ვიცოდი, რომ თუ „ვერდერში“ კარგად ვითამაშებდი, ნაკრებიდანაც არავინ გამრიცხავდა. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ყველაფერი სხვანაირად ხდება.

**- აქ ერთი რამეც გასათვალისწინებელია, ჰერ ფრინგს. ლიოვის ფილოსოფია რაც შეიძლება ცოტა ფოლზე, თამაშის წესების ნაკლებად დარღვევაზე და უფრო მეტად სწრაფ და კრეატიულ ფეხბურთზეა აგებული...**

- განა მე ვამბობ, რომ ეს ცუდია? სწორია ისიც, რომ ლიოვი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ გერმანიის ნაკრებს ეს ფილოსოფია ჩაუნერგოს და მოედანზე გადაატანინოს. მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბუნდესლიგაში, „ბაიერნის“ შემდეგ, ყველაზე შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ ჩემი გუნდი, „ვერდერი“ თამაშობს. შეტევაზე სწრაფად გადასვლა, მანევრირებადი კომბინაციები და კრეატიული ფეხბურთის თამაში ჩემი დავალებებიცაა. თუ არ გჯერათ, თომას შააფს ჰკითხეთ. ცხადია, მე არ ვარ საუკეთესო სპრინტერი, მაგრამ ჩემს ზომიერ სიზანტეს ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუ ყველაფერს შევაჯამებთ და კარგად გავაანალიზებთ, სამხრეთ აფრიკაში მე ყველა ლოგიკის თანახმად უნდა წავსულიყავი.

**- ანუ, მიიჩნევთ, რომ კონკურენტებზე უკეთესი ხართ?**

- მე ამ შემთხვევაშიც ჩემი აზრი მაქვს და მხოლოდ საკუთარ აზრს გამოვთქვამ. ისიც არ მინდა, რომ ახალგაზრდებზე, ანუ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ჩემს კონკურენტებზე ბევრი ვილაპარაკო და მათ გული ვატკინო. ბუნდესგუნდის თითოეულ ფეხბურთელს მთელი გულით და სულით ვგულშემატკივრობ და მსოფლიოს ჩემპიონობას ვუსურვებ. ჩემი მიზანი და სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ ნაკრებს, მათ დავხმარებოდი - საჭიროების შემთხვევაში, რეზერვისტის რანგშიც. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი ისედაც სანაკრებო კარიერის დასრულებას ვაპირებდი. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ.

**- ლიოვმა თქვენზე უარი ჯერ კიდევ იანვარში თქვა. ვფიქრობთ, რომ თქვენს შორის მაინც რაღაც მოხდა...**

- რაღაცები მართლაც მოხდა. რამდენიმე დეტალის გამო ნერვები მეშლებოდა. მაგალითად, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე, ნახევარფინალში, თურქეთთან მატჩის დროზე, თითქმის კატეგორიულად მოვთხოვე, მოედანზე შემიშვი-მეთქი - მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა მქონდა და მხოლოდ გამაყუჩებლით უნდა მეთამაშა. შემიშვა, მაგრამ აშკარად გაბრაზდა. რამდენიმე თვის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩის (რუსეთთან) წინა დღეს, საღამოს რვა საათზე მითხრა, უნდა ვილაპარაკოთო. მერე კი ღამის პირველ საათზე თავის ნომერში დამიბარა და მითხრა, რუსეთთან არ ითამაშებო. მე კი ავდექი და ჩემი აზრი პირდაპირ მივახალე: ასეთ რამეს მატჩის წინა დღეს და თანაც ღამის პირველ საათზე არ უნდა მეუბნებოდე-მეთქი. არ ვიყავი მართალი?

**- ...თქვენ მაშინ საჯაროდაც თქვით, ლიოვი ძალიან ცუდად მომექცაო.**

- ასეთი რამ მარტო მე არ მითქვამს. ბალაკმაც იგივე თქვა და მერე მთელი სამწვრთნელო შტაბი ჩვენზე გაბრაზდა.

**- კიდევ რა ბრალდებებს უყენებთ იოგი ლიოვს?**

- არავითარი ბრალდებები. უბრალოდ, იმედგაცრუებული ვარ. ლიოვი არ არის გულახდილი და პირდაპირი. გამოცდილ ფეხბურთელებს ასე არ უნდა მოექცე. შეიძლება ჩამოწერო, ნაკრების კარი მიუხურო, მაგრამ ეს ყველაფერი სხვანაირად უნდა გააკეთო.

**- ახლა ლიოვს მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან ახალგაზრდული გუნდი მიჰყავს, რომელიც უმეტესად გამოუცდელი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.**

- ნიჭიერი ფეხბურთელები ნაკრებში ყოველთვის უნდა თამაშობდნენ და როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ბიჭებს წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ ლამის, მერტეზაკერისა და შვაინშტაიგერის გარდა ვინ უნდა იკისროს მთავარი ვალდებულებები? ვინ უნდა იმოქმედოს გუნდურ ატმოსფეროზე იმ შემთხვევაში, თუ ნაკრებს საქმეები ცუდად წაუვა?

**- რას გულისხმობთ?**

- დარწმუნებული ვარ, რომ გამოუცდელებს არგენტინასთან, ინგლისთან ან ესპანეთთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ.

**- როგორ ფიქრობთ, როდის დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიის ნაკრებისთვის?**

- იმედია, ეს ძალიან ადრე არ მოხდება.

**- მუნდიალის მერე ლიოვი, შეიძლება, ნაკრების მწვრთნელი აღარ იყოს. ახალმა ბუნდესდამრიგებელმა რომ გამოგიძახოთ, დაბრუნდებით?**

- ეს თითქმის გამორიცხულია. მე ხომ უკვე 33 წლის ვარ. შანსი იმისა, რომ გულშემატკივრებმა კიდევ მიხილონ გერმანიის ნაკრების ფორმაში, ერთი პროცენტიც არ არის. ვისურვებდი, რომ ჩემთვის სანაკრებო კარიერა სხვანაირად დასრულებულიყო, მაგრამ... მე კი არა, 2006-ში ოლივერ კანს უარესი დამართეს. ასეთია ფეხბურთი...

**გოტფრიდ ლენცი**



ტორსტენ ფრინგსს გერმანიის ნაკრების ფორმაში ამიერიდან მხოლოდ ფოტოებზე თუ ვნახავთ



ეროვნული ბიბლიოთეკა



პერსონა

# დონ პირპაოლოს მრევლი

ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს დაიწყებს ფრთხილად, მეოთხედფინალამდე ივლის ვაჟკაცურად და გზად რამდენიმე ბრწყინვალე თამაშსაც ჩაატარებს, ხოლო მეოთხედფინალში პენალტებით დამარცხდება და შეჯიბრებას გამოეთიშება - ეს სცენარი ინგლისელთათვის მეტისმეტად ნაცნობია, მაგრამ გუნდის იტალიელი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** ამბობს, რომ მის გამეორებას თავს არ აპატიებს. ბოლოს და ბოლოს კაპელო ხომ ის ადამიანია, რომელმაც პენალტების დარტყმაში ვარჯიშს საგანგებო ყურადღება მიაქცია.

ამ ისტორიას ფესვები წარსულში ღრმად აქვს გადგმული. 1970 წელს კაპელო „რომას" ფეხბურთელი იყო და „ჯალოროსისთან" ერთად თასების მფლობელთა თასზე გამოდიოდა. *„ჩვენ ნახევარფინალში გავედით, სადაც პოლონური გუნდი „გურნიკი" შეგვხვდა,* - იგონებს ინგლისელების თავკაცი, - *ფინალისტის გასარკვევად ჩვენ მათთან 330 წუთი თამაში დაგვჭირდა. ეს იყო სამმატჩიანი დუელი, რომელთაგან ორს დამატებითი დრო ჰქონდა და, თან, მესამე ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა. მე პირადად ორი პენალტი გავიტანე, მაგრამ მაინც ფრე იყო. საბოლოოდ, გამარჯვებულის გამოსავლენად მონეტა ააგდეს. კინაღამ გავგიჟდით - მონეტა რომელ მხარეს დავარდებოდა, იმით გაარკვიეს ვინ უნდა გასულიყო ფინალში. „გურნიკს" გაუმართლა".*

შემდეგ ამ შეხვედრის შესახებ სადაც ჯერ არს იფიქრეს და დაასკვნეს, რომ ასეთი სასაცილო და უაზრო რამ აღარ უნდა განმეორდეს და შემოიღეს დღეს ასე გავრცელებული პენალტების სერია. ვინ იცოდა მაშინ, ეს ახალი წესი ინგლისის ნაკრების ბედს მთელი დარჩენილი საუკუნის განმავლობაში ამდენად თუ განსაზღვრავდა. მას მერე ინგლისელები მსოფლიოს ყოველ ჩემპიონატში გულისხეთქვით ელიან იმ მატჩს, რომელშიც გამარჯვებულის ბედს თერთმეტმეტრიანები გადაწყვეტს. თუმცა, კაპელო აცხადებს, რომ ამიერიდან ასე აღარ იქნება.

„არა, - ამბობს ის, - *თუ პენალტების დარტყმა დაგვჭირდება, ჩვენ მზად ვიქნებით. ჩვენ ვიცით ნებისმიერ სირთულეს როგორ უნდა შევხვდეთ და მოვლენათა ყველანაირი გაგრძელებისთვის მზად ვართ".*

საერთოდ, ფაბიო კაპელოსთან სალაპარაკოდ შეხვედრა იოლი საქმე არ არის. მისი ვაჟი **პიერფილიპო** მამის აგენტია და ყველა ღონეს ხმარობს, რათა მას ყველაფერი ისე მოუგვაროს, რომ საჯაროობა აარიდოს თავიდან. თავად ფაბიოსაც მიაჩნია, რომ საჯაროობა დამღუპველია და 2008 წელს, როდესაც ინგლისის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა, პირველი, რაც ფეხბურთელებს სთხოვა, შეძლებისდაგვარად, მასმედიის ყურადღების მიღმა ყოფნა იყო. აი, ერთი მაგალითი იმისა, რომ ადამიანს მისი ყველა ნათქვამი წინ ხვდება: 1995 წელს, როდესაც ფაბიო კაპელო „მილანში" მუშაობდა და ევროპას ბრდღვნიდა, მან ერთ-ერთ ინგლისელ ჟურნალისტს უთხრა: *„ინგლისელები ბევრს დარბიან, ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან და იბრძვიან, მაგრამ უტექნიკოები არიან და სამხრეთ ამერიკელების მსგავსი ფანტაზიაც არ აქვთ".* გავიდა 15 წელიწადი და იგივე ჟურნალისტი მასთან, უკვე როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელთან ისე მივიდა და ძველი სიტყვები შეახსენა.

*„მახსოვს, ინგლისის ნაკრებს პირველი ვარჯიში როგორ ჩავუტარე,* - პასუხობს იტალიელი, - *გაოცებული დავრჩი. დავინახე, რომ მართლა ძალიან კარგ ფეხბურთელებთან მქონდა საქმე. შემდეგ კი ეს ბიჭები შვეიცარიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ვნახე და გონება გამინათდა. იმწუთას მივხვდი, რატომ ვერ გავიდა ინგლისის ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მათ სულისკვეთება აკლდათ. ისე თამაშობდნენ, როგორც კლუბებში. მათ ეშინოდათ. სწორედ მაშინ ვუთხარი საკუთარ თავს: აქ მთავარი პრობლემა მენტალური ყოფილა და ამ მიმართულებით უამრავი მუშაობა მმართებს-მეთქი".*

ოთხი წლის წინ, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის დღეებში, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს გადამწყვეტ მომენტებში თავში უარყოფითი ფიქრი უტრიალებდათ. ამას **ფრენკ ლემპარდიც** ადასტურებს და **სტივენ ჯერარდიც**. ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად კაპელომ ამ დარგის სპეციალისტი, მენტალური მომზადების მწვრთნელი **კრისტიან ლატანციო** დაიქირავა. ადრე ლატანციო „ვესტ ჰემში" მუშაობდა. მათი ამოცანა იყო, ფეხბურთელებს თავიანთი თავისთვის ეთქვათ, რომ გოლის გატანაც შეუძლიათ და ხალხისთვის სიხარულის მოტანაც. მაგრამ კაპელო მხოლოდ მენტალური მომზადების მწვრთნელს არ ეყრდნობა და უკლებლივ ყველა ვარჯიშზე არტყმევინებს თავის ფეხბურთელებს პენალტებს. საერთოდაც, კაპელოს მხრებზე უდიდესი პასუხისმგებლობაა და ეს მხოლოდ თერთმეტმეტრიანებს არ ეხება:

*„მწვრთნელმა ყოველი თამაშის გეგმა უნდა შეიმუშაოს. მან უნდა განსაზღვროს განლაგება, ფეხბურთელები დამუხტოს და შიში, ღელვება თუ ნევროზულობა მოუხსნას. მას შეცდომის უფლება არ აქვს. მას არ აქვს შეღავათიც. შენ შეიძლება ყველაფერი იდეალურად გათვალო, მაგრამ მოწინააღმდეგემ შორიდან გაგიტანოს და მორჩა - იდიოტი ხარ! ფეხბურთელი საკუთარ ამოცანაზე ფიქრობს, მე კი 23 ფეხბურთელზე".*



ფაბიო კაპელო

*„თქვენ შეგიძლიათ მათი მეგობარი იყოთ?"*

*„არა, ნამდვილად არ შემიძლია. ანკი, რატომ უნდა ვცადო?"*

მართალია, როდესაც მბობენ, რომ კაპელოს ძლიერი აურა აქვს. როდესაც მის სიახლოვეს ხარ, ამას გრძნობ. თავისი ავტორიტეტის გასაძლიერებლად, მან ფეხბურთელებისგან ასეთი რამ მოითხოვა: გასახდელში რომ შევლენ, ყველა ჩუმად უნდა დაჯდეს და მას დაელოდოს. ლაპარაკი კეპელომ უნდა დაიწყოს. და არავის უნდა ეგონოს, რომ სისუსტის გამოვლინების უფლება აქვს. თუ ის დაინახავს, რომ რომელიმე ფეხბურთელს გამოლანძღვა უშველის, ამასაც არ მოერიდება. მაგრამ, არ გაინტერესებთ, საიდან მოდის ეს ხასიათი? იქნებ ყველაფერი 1943 წელს დაიწყო, როდესაც გერმანელებმა ფაბიოს მამა **გერინო კაპელო** დაატყვევეს და ორი წელიწადი აშიმშილებდნენ? განთავისუფლების მომენტში ის 40 კილოსაც არ იწონიდა და იცით, რა ქნა? მეუღლესთან **ევილინასთან** არ დაბრუნდა, სანამ ჯანმრთელობა ისე არ აღიდგინა, რომ მეუღლედ და ოჯახის თავად ევარგა. შემდეგ კი ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ ჩრდილო იტალიაში, კერძოდ კი პიერისში ქვეყანას ფაბიო მოევლინა.

*„იქ, საიდანაც მე ვარ წარმოშობით, ალალი და ძლიერი ხალხი ცხოვრობს. ჩვენ თავის გასატანად ბევრს ვმუშაობდით, მოწესრიგებულები ვიყავით. მამაჩემისთვის პატივისცემა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იყო. ის ყოველთვის მიმეორებდა, რომ ცხვარი არ უნდა ვყოფილიყავი. მახსოვს, ოთხი წლის რომ ვიყავი, ზღვაზე წავედით. ზღვის პირას მამაჩემმა კლდეზე ამიყვანა, თვითონ კი წყალში ჩავიდა და ჩახტომა მიბრძანა. ცურვა წესიერად არც კი ვიცოდი. კლდე დაახლოებით ათი მეტრი სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ გავბედე და ჩავხტი".*

და კაპელოს თავისი ფეხბურთელებისადმი ზუსტად ასეთი, „მამობრივი" დამოკიდებულება აქვს. **უეინ რუნი** მასზე ლაპარაკისას სწორედ ასე ამბობს - მკაცრ მამას ჰგავსო. როგორც კი ნაკრების მწვრთნელი გახდა, კაპელომ ფეხბურთელებს მკაფიოდ გამოუცხადა, რომ სამხრეთ აფრიკაში ცოლებს კვირაში ერთხელ ნახავდნენ. კაპელომ ეგრეთ წოდებული WAG-ების გავლენა ვირუსს შეადარა. კიდევ, სადილობის დროს აიკრძალა მობილურით ლაპარაკი, 10 საათზე „კომენდანტის საათი" ცხადდება, ვარჯიშზე მისვლა კი 30 წუთით ადრეა აუცილებელი.

*„მწვრთნელი მომთხოვნი უნდა იყოს. მე არ ვამბობ, რომ მაგიდას რკინის მუშტს უნდა ურტყამდე, მაგრამ, ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ ნაკრებში სამუშაოდ არიან გამოძახებული. ჩემი ამოცანა ფინალში გასვლაა და ვფიქრობ, ფეხბურთელები ამისათვის ყოველმხრივ მზად უნდა იყვნენ. ჩვენ ყველა გუნდის დამარცხება უნდა შევძლოთ".*

ამბობენ, რომ ინგლისის ნაკრებს სუსტი ჯგუფი შეხვდა, მაგრამ კაპელოსთვის ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს. ის, რომ ინგლისს აშშ-სთან და სლოვენებთან ადრე მოუგია, არაფერს ნიშნავს. და კიდევ, არის ალჟირი, გუნდი, რომელთანაც ინგლისს არასდროს უთამაშია.

*„ალჟირი კარგად ორგანიზებულ ევროპულ გუნდს ჰგავს* - ამბობს კაპელო - *ჩვენ ეს გუნდი დაკვირვებით შევისწავლეთ და მზად ვართ მასთან სათამაშოდ. საერთოდ კი ესპანეთის ნაკრები მომწონს ძალიან. ეს გახლავთ გამოკვეთილი სისტემის მქონე გუნდი, რომელიც გოლის გასატანად მარტო ერთ კაცს არ შეჰყურებს. თან, ეს გუნდი საკუთარ თავში უკიდურესად დარწმუნებულია და მისი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება. ვფიქრობ, აგრეთვე, რომ უძლიერესი იქნება ბრაზილია, ხოლო არგენტინამ შესარჩევის შემდეგ დიდი პროგრესი განიცადა. ხიფათს უნდა ველოდოთ გერმანელებისგან, იტალიელებისგან და ჰოლანდიელებისგანაც".*

კაპელო ამბობს, რომ მისი გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელები ბოლო თვეებში მოედანს მიღმა უამრავ სკანდალში გაეხვივნენ, 2010 წელს განსაკუთრებით ძლიერი იქნება.

*„ჩემი ფეხბურთელები მიჯერებენ და მოედანზე ზუსტად აკეთებენ ყველაფერს, რასაც ვავალებ. ინგლისში თავისებურება ის არის, რომ პრესას აქვს ამ ყველაფრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. იტალიასა და ესპანეთში, მაგალითად, პრესა ფეხბურთელების პირად ცხოვრებაზე ყურადღებას სულ არ ამახვილებს, არადა, ვეჭვობ, ახალგაზრდა ბიჭები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იქცეოდნენ. თუმცა, პრესის ასეთი სპეციფიკური დამოკიდებულებების მიუხედავად, მე და ჩემს მეუღლეს, ლაურას, ინგლისში ცხოვრება ძალიან მოგვწონს".*

ფაბიო კაპელოს 40 წელიწადია, რაც ოჯახი ჰყავს. მას და ლაურას მოგზაურობა და მხატვრობა უყვართ. მეგობრები?

*„მე საფეხბურთო სამყაროში ახლო მეგობრები თითქმის არ მყავს. ჩემი უახლოესი მეგობრები ოპერისა და ხატვის სამყაროდან არიან, ასე რომ, მათთანაც ფეხბურთზე ლაპარაკით აღარ ვმძიმდები".*

თუმცა, რასაკვირველია, გამონაკლისი არსებობს. საფეხბურთო სამყაროში კაპელოს სამი ახლო მეგობარი მაინც ჰყავს: **დინო ძოფი** და მისი მუდმივი ასისტენტები **ფრანკო ბალდინი** და **იტალო გალბიატი**. გალბიატის ფაბიოსთან ერთად გოლფის თამაშის, ბუნების, საფარის, ხარების ბრძოლის და სხვა ამბების ფოტოგადაღებისა და უამრავი სხვა თავგადასავლების ამბებიც აქვს აღწერილი.

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ფაბიო კაპელო 64 წლისა გახდება და აცხადებს, რომ ინგლისის ნაკრების მერე ის მწვრთნელად აღარ იმუშავებს. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მისთვის რა მნიშვნელოვანი იქნება? სხვათა შორის დონ **პიერპაოლო სორანცო,** ფაბიოს პირველი მოძღვარი, იტალიის 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის მწვრთნელის **ენცო ბეარძოტის** მოძღვარიც გახლდათ.

*„იქნებ ახლა მეორე მსოფლიოს ჩემპიონის მოძღვარიც გავხდე,* - ამბობს დონ პირპაოლო და დასძენს, - *ერთი ნამდვილად ვიცი, თუ იტალია გავარდება, ინგლისს ვუქომაგებ."*

**ილია ბაბუნაშვილი**

იტალიის ნაკრები

# პრანდელი დამტკიცებულია

## ლიპის ფედერაციის არჩევანი მოსწონს



 იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი** იქნება. პრინციპში, ეს საკითხი გარკვეულიც იყო, თუმცა რჩებოდა საკონტრაქტო დეტალების შეთანხმება ფეხბურთის ფედერაციასა და „ფიორენტინას" ყოფილ მწვრთნელს შორის. ეს შეთანხმება გუშინ შედგა. „სქაი სპორტ იტალიას" ცნობით, პრანდელიმ ფედერკალჩოსთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** მას კონკრეტული დავალებაც მისცა - წარმატებით გამოსვლა ევროპის 2012 და მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატებზე. ახალი მწვრთნელი მუშაობას მუნდიალის დასრულებისთანავე შეუდგება.

პრანდელის დანიშვნას უმალ გამოეხმაურა ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი **მარჩელო ლიპი,** რომელმაც ფედერკალჩოს გადაწყვეტილება შეუქო: *„პრანდელი ყველაზე სწორი არჩევანია. ჯანკარლო აბეტეს ჯერ კიდევ შობის დღეებში ვუთხარი - ამ ორ წელს ამოვწურავ და წავალ-მეთქი. ამის მიზეზებზე მოგვიანებით ვისაუბრებ... ვფიქრობ, პრანდელისა და ზოგადად ნაკრებთან დაკავშირებითაც მომავალში უფრო საფუძვლიანად ვიმსჯელებთ".*

**ლაშა წიკლაური**

დანიშვნა



# კატანიამ ჯამპაოლო გადაწყვიტა

„კატანიას" მთავარი მწვრთნელი **მარკო ჯამპაოლო** გახდა. ამ პოსტზე მან **სინიშა მიხაილოვიჩი** შეცვალა. კონტრაქტი ერთწლიანია. 42 წლის ჯამპაოლოს აქამდე „ასკოლიში", „კალიარისა" და „სიენაში" უმუშავია. ახლახან დასრულებულ სეზონში ის სწორედ „სიენადან" დაითხოვეს ოქტომბრის ბოლოს, როცა ტოსკანურ კლუბს 10 მატჩში მხოლოდ 5 ქულა ჰქონდა. ჯამპაოლოს პრეზენტაცია 4 ივნისს შედგება.

პოსტფაქტუმ

# გეხვევით ყველას!

## ჟოზე მოურინიოს გამოსამშვიდობებელი წერილი

**ჟოზე მოურინიომ** „ინტერის" დატოვების გადაწყვეტილება ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის დასრულებისთანავე მიიღო. **მასიმო მორატი** ბევრს ეცადა, მაგრამ პორტუგალიელის მილანში დატოვება ვერ შეძლო. პირენეელმა არაერთხელ აღნიშნა, რომ „ნერაძურის" დატოვება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მისი კარიერისთვის ასე იყო საჭირო - ახალი გამოწვევები მჭირდება და მადრიდში უნდა გადავბარგდეო. ჟოზემ გამოსამშვიდობებელი წერილიც დაწერა, რომელსაც აქვე, სიტყვასიტყვით გთავაზობთ:

*„სანამ „რეალთან" ხელშეკრულებას მოვაწერდე ხელს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც „ინტერში" მუშაობისას მხარში მედგა და მგულშემატკივრობდა. ეს იყო ურთულესი, ძალიან დრამატული წლები, რომლის კულმინაცია ჩემპიონთა ლიგის ფინალი და ტრიუმფი გახლდათ. არავის დავივიწყებ, დაწყებული გულშემატკივრებიდან, დამთავრებული კლუბის თითოეული მუშაკით და პრეზიდენტ მასიმო მორატით. გეხვევით ყველას - თქვენ მუდამ ჩემს გულში იქნებით".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო



საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას

სამწუხაროდ, საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე დღე პირველზე უფრო სკანდალური გამოდგა, რამაც რამდენჯერმე გაგრძელება დარბაზის გარეთაც პოვა. მიზეზი ძირითადად არბიტრთა ქმედებებია, რომლებიც, ვფიქრობთ, ბევრად უფრო თამამად უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს, თუნდაც, საეჭვოს, ალბათ, ეს აჯობებს გამუდმებით ვილაცისკენ ცქერას და ყოყმანს. საქართველოში მსაჯობა რომ დაბალ დონეზეა, არახალია და არა მხოლოდ ძიუდოში. სამწუხაროდ, ამ პრობლემის გადასაჭრელად არც ერთი ფედერაცია სათანადოდ არ ზრუნავს - ქართულ სინამდვილეში მხოლოდ მეტ-ნაკლებად დაინტერესებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. თუმცა ინტერესი, სადაც თითქოს შედარებით დიდია, ანუ უფრო მეტი ჰყავთ საერთაშორისო კვალიფიკაციის კადრები (მაგალითად, ფეხბურთში), იქაც კი არასახარბიელო მდგომარეობაა.

ძიუდოისტთა ასაკობრივ პირველობებს ხმაური და გაწევ-გამოწევა ყოველთვის თან სდევდა, პრობლემას კი დასასრული არ უჩანს. მაყურებელთა ძალადობა არა მხოლოდ საქართველოს სენია, მაგრამ ჩვენთან ესეც განსაკუთრებულია. ფედერაციამ, ალბათ, რაღაც დამატებითი მექანიზმები უნდა შემოიღოს, ფაქტია, რომ დაცვის პოლიციის გამოყენება საქმეს ვერ შველის. ვფიქრობთ, სანქციები უნდა გამკაცრდეს იმ მწვრთნელთა და სპროტსმენთა მიმართ, რომლებიც პროტესტს ჩხუბით გამოხატავენ და ამით მოვლენათა პროვოცირებას უწყობენ ხელს. ალბათ, შეხვედრის ვიდეოს დატრიალება და მსაჯთა გადაწყვეტილების შეცვლაც ცუდი პრეცედენტია - მსგავსი რამ უცხოეთში არსად ხდება. მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებაზე, ვფიქრობ, აჯობებს, მეორე დღეს მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელოს და შეაფასოს არბიტრი. ვგონებ, ამ შემთხვევაში მსაჯებსაც გაეზრდებათ პასუხისმგებლობა, საკამათო ეპიზოდებში სხვისკენ არ გააპარებენ თვალს, როგორ მოვიქცეთო და არ იქნებიან სხვაზე დამოკიდებული, რაკი ეცოდინებათ, რომ მეორე დღეს პასუხს მათ მოსთხოვენ და არა იმ სხვას. ცხადია, აუცილებელია მსაჯთა სემინარები, მათი მივლინება უცხოეთში - უამისოდ საკუთარ წვენში ვიხარშებით.

ჩემპიონატის წმინდა სპორტულ მხარეს რაც შეეხება, სიახლეები არ ყოფილა - წლეულსაც შარშანდელმა ლიდერებმა გაიმარჯვეს. გავიმეორებთ, რაც პირველი დღის შეფასებისას დავწერეთ - ძველი ლიდერების წარმატება, უპირველესად, მათივე სიძლიერითაა განპირობებული, თორემ თითქმის ყველას უძნელესი ბრძოლა გადახდა საჩემპიონოდ.

გუნდური პირველობა შიდაქართლელებმა არავის დაუთმეს, მეორეზე ქვემოქართლელები გავიდნენ, მესამეზე - თბილისელები.

წლეულს, ახალგაზრდებს 17-19 სექტემბერს სოფიაში ევროპის ჩემპიონატი, 21-24 ოქტომბერს კი მაროკოში მსოფლიოს პირველობა ელოდებათ. იქ წასვლამდე ნაკრების კანდიდატები (ძირითადად ფინალისტები) ივლის-აგვისტოს მიჯნაზე პრაღაში ევროპის ახალგაზრდულ თასზე იჭიდავებენ. ნაკრების პირველი ნომრებიც ძირითადად იქ გაირკვევიან.

**ირაკლი თავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო
(www.sport.gov.ge)

**კვარცხლბეკი**

**81:** 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ქვემო ქართლი), 2. გიორგი მერმანიშვილი (თბილისი), 3. ირაკლი დგებუაძე (აფხაზეთი), არჩილ უსტარაშვილი (თბილისი).

**90:** 1. არჩილ შინჯიკაშვილი (ქვემო ქართლი), 2. გიორგი ნოზაძე (თბილისი), 3. გიორგი სეტიელი (რაჭა-ლეჩხუმი), გიორგი ცნობილაძე (იმერეთი).

**100:** 1. მიხეილ ნარიმანიძე, 2. ონისე ბულაძე (ორივე - თბილისი), 3. გიორგი კობერიძე (აფხაზეთი), ელგუჯა ბიბილაშვილი (იმერეთი).

**+100:** 1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), 2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი), 3. ლევან მათიაშვილი, გიორგი სულხანიშვილი (ორივე - თბილისი).

სან პაულუს მსოფლიოს თასი

# ლიპარტელიანის მეორე ბრაზილიური

სან პაულუს მსოფლიოს თასზე მხოლოდ **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) იჭიდავეს, **დავით ქევხიშვილმა** (81) კი რიო დე ჟანეიროში ნატკენი ხელი ვერ მოიშუშა და არ გამოსულა. ამ დუეტიდან ორივე ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ საბოლოოდ მედალი მხოლოდ ლიპარტელიანმა მოიპოვა - ფინალი წააგო, ჟორჟოლიანი კი მეხუთეზე დარჩა. შეგახსენებთ, რომ რიო დე ჟანეიროში ორივემ ბრინჯაო მოიპოვა.

მართალია, სან პაულუს მსოფლიოს თასი არც ისე ძლიერი გამოდგა - ბევრი წამყვანი ნაკრები არ გამოდიოდა, მაგრამ ლიპარტელიანის ფინალში გასვლა მაინც მისასალმებელია - ევროპის პირველობის შემდეგ დროის მოკლე მონაკვეთში მეორე დიდი ტურნირის ფინალში გავიდა. თავად ჭიდაობის ხარისხშიც შეიმჩნეოდა ცოტა პროგრესი - ძირითადად გამძლეობის მხრივ, თუმცა ამ კუთხით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. უბრალოდ, ადრე თუ თავიდანვე აგებდა, უკვე სულ უფრო ხშირად გადის შეჯიბრების დამამთავრებელ ეტაპზე ანუ ფიზიკურად უფრო მეტ შეხვედრას უძლებს.

ლიპარტელიანმა ტურნირის პირველი ნაწილი ძალიან ძლიერად იჭიდავა - არგენტინელ **ექტორ კამპოსს** არაფერი დააკლო, არც გაფრთხილება და არც არანაირი სინჯის გდება, მისი ტანჯვა კი ბოლოს წმინდა გდებით დაასრულა. უკეთესი დღე არც მასპინძელ **ფელიპე ოლივეირას** დააყენა - 1,58 წამში იუკოზეც დააგდო და იპონზეც. ავსტრიელი **მაქს შინჰოფერი** ორი ვაზარით დააიპონა და ნახევარფინალში ბერძენთა ქართველყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისს** გადაეყარა, რომელიც ლამის ბედისწერად ექცა - უკვე მერამდენე შეჯიბრებაზე იკვეთება ამათი გზები. საბედნიეროდ, პირად შეხვედრებში ლიპარტელიანი ლიდერობს და ამჯერადაც გაიმარჯვა. მართალია, აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში ჰანტეით მოიგო, მაგრამ არც ილიადისს გაუკეთებია რამე ღირებული, ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და ალბათ, არცაა გასაკვირი დუნე, დაზვერვითი და შედარებით უინტერესო ჭიდაობა.

სანახაობრივად მიმზიდველი არც ფინალი ყოფილა, სადაც ჩვენებურს ძლიერი მეტოქე შეხვდა - მასპინძელი **უგო პესანა**, რომელმაც წინა კვირას რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადი“ მოიგო. ესეც დაზვერვითი, ზედმეტად ფრთხილი ჭიდაობა იყო, სადაც პესანა ოდნავ აქტიურობდა და შეხვედრის ბედიც ამან გადაწყვიტა - მსაჯებმა ლიპარტელიანი ორჯერ გააფრთხილეს. ეკუთვნოდა თუ არა და რამდენად სამართლიანად მოიქცნენ მსაჯები, ეს ცალკე საკითხია, ჩვენთვის კი პრიორიტეტი ლიპარტელიანის პროგრესი უნდა იყოს. საამისოდ ყველამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს.

ჟორჟოლიანმა ვერც ამჯერად დააღწია თავი მისთვის დამახასიათებელ უცნაურ სენს - რუსთა ევროპის შარშანდელ ჩემპიონ **ტაგირ ხაიბულაევს** დამთავრებამდე 45 წამით ადრე იუკოს უგებდა, მაგრამ წმინდად წააგო! საწყენია, ლამის მოგებულ შეხვედრას ასე იოლად რომ აგებს. არადა, მანამდეც ტრადიციულად ძლიერად იჭიდავა - იტალიელი **იოსვან დესპენი** (ვეჭვობთ, ეს კუბიდან არ იყოს გადაბირებული - ამ გვარ-სახელის ძიუდოისტი იმათ ჰყავდათ, ხოლო მსოფლიოს პრიზიორი **ორეიდის დესპენი** აქაც ჭიდაობდა) გაფრთხილებებით მოახსნევინა, ხოლო ბრაზილიელი მსოფლიოს პრიზიორი **კარლოს ჰონორატო**, რომელიც ადრე 90-ში გამოდიოდა და **ზურაბ ზვიადაურის** ერთი მთავარი კონკურენტი იყო, შეხვედრის შუაწელში დააიპონა. ამას ჯერ ერთ რუსთან მარცხი მიაყოლა, მერე კი ბრინჯაოსთვის ბრძოლა მეორე რუსთან - **ზაფარ მახმადიოვთან** წააგო. სხვათა შორის, ორივე რუსი (სინამდვილეში - დაღესტნელები არიან) 90-დანაა აქ გადმოსული.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა

მსოფლიოს თასი

# ამჯერადაც უფინალოდ და უმედლოდ

სამწუხაროდ, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** ფინალში გასვლა ვერც სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მოახერხა. შეგახსენებთ, რომ ის და **ლევან ქადაგიძე** ამერიკულ ფორტ ბენინგში მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპში მონაწილეობდნენ, აქამდე ორივემ პნევმატური პისტოლეტიდან ისროლა, მაგრამ ფინალში ვერც იქ მოხვდნენ.

სპორტულ იარაღში შეჯიბრება შაბათს გაიმართა, ტურნირის ბოლოსწინა დღეს. სალუქვაძემ თავიდანვე სუსტად დაიწყო - პირველივე სერიაში ერთბაშად სამი რვიანით 93 ქულა გააკეთა. მერე კი გამოასწორა მდგომარეობა და მეორეში ლამის უნაკლოდ ისროლა - მხოლოდ ერთი ცხრიანი ჰქონდა, სხვა ყველა ათიანში დასვა და 99 ქულა დააგროვა. ურიგოდ არც მესამე სერიაში უსვრია - 97 ქულა და საკვალიფიკაციოს პირველი ნაწილი 289 ქულით დაამთავრა. მეორე ნახევარში სტაბილურად კი ისროლა, ანუ სამივე სერიაში ლამის თანაბარი შედეგი აჩვენა, თუმცა - არც ისე მაღალი და 284 ქულა შეუგროვდა. ჯამში 573 ქულით მხოლოდ 22-ე ადგილი ხვდა და ტურნირსაც გამოეთიშა.

ამდენად, სალუქვაძემ ამერიკაში ვერც მსოფლიოს სუპერფინალის საგზური მოიპოვა. საამისოდ მას ერთადერთი შანსი რჩება - ივნის-ივლისის მიჯნაზე ბელგრადში გასამართი მსოფლიოს თასის დასკვნითი, მეოთხე ეტაპი, სადაც ოქრო ან ვერცხლი უნდა მოიპოვოს. თუმცა ადგილმონაცვლეობის პრინციპი აქაც მოქმედებს, ანუ თუ ამ სინჯის მედლის მფლობელს უკვე ჩატარებულ სამ ანალოგიურ ტურნირში სუპერფინალის საგზური მოპოვებული ექნება, მაშინ ის მომდევნოს გადაეცემა. თუ იმასაც ექნება ლიცენზია, მაშინ - იმის მომდევნოს და ასე შემდეგ.

ფორტ ბენინგში ახალი სახეებიც გამოჩნდნენ და სიურპრიზებიც შემოგვთავაზეს. ერთი ასეთთაგანი ნამდვილადაა ყაზახი **ზაურეშ ბაიბუსინოვა**. მან პნევმატური პისტოლეტიდან შეჯიბრება მოიგო, ახლა კი მეოთხეზე დარჩა, თუმცა ეს ტურნირი უდავოდ წარმატებულია მისთვის - აქამდე ფინალებშიც კი იშვიათად შედიოდა.

ახალგაზრდებიდან რუსი **კირა კლიმოვა** უნდა დავასახელოთ, რომელმაც პნევმატურშიც ვერცხლი მოიპოვა და სპორტულშიც. ტურნირი ბულგარელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მარია გროზდევამ** მოიგო 792 ქულით, ბრინჯაო კი მონღოლმა **მუნხზულ ჩოგბადრანმა** ირგუნა (789,2). ესეც საყურადღებო ფაქტია. მათ ადრეც ჰყავდათ ერთი ძლიერი სპორსტმენი - **მუნხბაიარ დორჯსურენი**, რომელიც მერე გერმანიში გადავიდა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, მონღოლებს კი მალევე გამოუჩნდათ ახალი ლიდერი - **გუნდეგმაა ოტრიადი.** ის პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია სწორედ სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, მანამდე კი მსოფლიოზე მოიპოვა ბრინჯაო. ჩოგბადრანიც ნაკრების სტაჟიანი წევრია და მსოფლიოს თასის ეტაპებზე წარმატებები ადრეც მოუპოვებია.

პნევმატურისგან განსხვავებით, როცა ფინალისტთა ოქტეტი ძირითადად ახლებმა შეავსეს, ამჯერად ტიტულოვანმა მსროლელებმაც იყოჩაღეს, თუმცა უმეტესობა უმედლოდ დარჩა - ჩეხი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ლენკა ჰიკოვა-მარუსკოვა** მეხუთეზე გავიდა, სერბი მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიადის ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** - მეექვსეზე, ოტრიადი - მეშვიდეზე, მერვე კი ფრანგი **სელინ გობერვილი** იყო, რომელიც პნევმატურშიც ფინალში გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ბოიკოტი ევროპის ჩემპიონატს

საქართველოს ნაკრები დიდხანს ემზადებოდა ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 4-13 ივნისს მოსკოვში უნდა ჩატარდეს. ჩვენმა კრივის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება არ გაემგზავროს კონტინენტის პირველობაზე. როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** გვითხრა, რუსული მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ ყოფილა და ეს ნაბიჯი ქართულმა ფედერაციამ საკუთარი სურვილით გადადგა. *„არც იმდენად მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, რომ ოკუპანტ ქვეყანაში ჩასვლა გვიღირდეს. მოსკოვში წარმატების დიდი შანსი ისედაც არ გვქონდა, მსაჯები მაინც უსამართლოდ მოგვექცეოდნენ“*, - განაცხადა ახალკაცმა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რამაზ ფალიანს**, ვრცელი კომენტარისგან თავი შეიკავა, მაგრამ მასთან საუბარში ის დანამდვილებით გავარკვიეთ, რომ ფედერაციის გადაწყვეტილება მისთვის სრული მოულოდნელობა, თანაც უსიამოვნო მოულოდნელობა იყო. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის არაერთი შეკრება და ტურნირი გამოიარა და თუ ნაკრები რუსეთში არ მიჰყავდათ, საინტერესოა, ეს მხოლოდ ბოლო დღეებში რატომ გაირკვა?!

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ, სამწუხაროდ, რუსეთი ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ქართული ტერიტორიების ოკუპანტად და ამავდროულად, იქ ხშირად ჩატარდება სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი სპორტული შეჯიბრება. ბოიკოტმა კი, არა გვგონია, ხეირი მოგვიტანოს. პრინციპს, ალბათ, ბოლომდე მაინც ვერ დავიცავთ. მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩვენმა ძიუდოისტებმა და მოჭიდავეებმა უკვე იასპარეზეს რუსეთში გამართულ ტურნირებში, და ოფიციალურად არც იმაზე გვსმენია რამე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ბოიკოტირებას აპირებდეს...

როგორც გვითხრეს, ქართველი მოკრივეები რუსეთის ნაცვლად, ყაზახეთში გაემგზავრებიან, სადაც 27 ივნისიდან საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება. შემდეგ შესაძლოა, მონღოლეთში (ქ.ულან-ბატორი) გასამართ მსოფლიო უნივერსიადაზეც იასპარეზონ.

ყაზახეთში, სავარაუდოდ, ის შემადგენლობა გაემგზავრება, რომელიც ფალიანს ევროპის ჩემპიონატისთვის ჰყავდა შერჩეული: **ალექსან ჩეჩელიანი (48 კგ), გიორგი კილანავა (51 კგ), იროდი ონაშვილი (54 კგ), ნიკოლოზ იზორია (57 კგ), კობა ფხაკაძე (60 კგ), ზაალ კვაჭატაძე (64 კგ), კახაბერ ჟვანია (69 კგ), ლევან გულედანი (75 კგ), რევაზ ქარელიშვილი (81 კგ), დავით გოგიშვილი (91 კგ), ბექა ლობჟანიძე (მძიმე წონა).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

კალათბურთი | ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# ვირტუსს მარკოიშვილი სურს



**პარასკევს მანუჩარ მარკოიშვილმა ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსს" 18 ქულა ჩაუგდო და იტალიის ჩემპიონატიდან გამოთიშა. ბოლონიაში დაბრუნების შემდეგ ვირტუსელთა ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერებაზე დაფიქრდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მდიდარი ტრადიციების „ვირტუსმა" ჩემპიონატი პლეი ოფის პირველივე ეტაპზე დაასრულა. როგორც წესი, შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრისას კლუბების პრეზიდენტებს გონებაში იმ კალათბურთელების გვარები უტივტივებთ, რომლებმაც ყველაზე მეტად აზარალეს. გაგახსენებთ, რომ მარკოიშვილმა მეოთხედფინალური სერიის ბოლო სამ მატჩში „ვირტუსს" ჯამში 65 ქულა ჩაუგდო. სწორედ ამიტომ, ბოლონიური კლუბის მფლობელი **კლაუდიო საბატინი** „ვირტუსში" გადაყვანის მთავარ კანდიდატად მანუჩარს განიხილავს. ბატონ კლაუდიოს გაზეთ „ბასკეტნეტის" ჟურნალისტმა დაუსახელა **რომბალდონი** და **ტომასი**... ამ კალათბურთელებს გაისად „ვირტუსში" თუ ვიხილავთო?

საბატინიმ ასე უპასუხა:

*„საინტერესო კანდიდატებია. მაგრამ ჩვენი მხედველობის არეში, პირველ პლანზე მანუჩარ მარკოიშვილია. მან დანარჩენ კანტუელებთან ერთად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა".*

მანუსადმი „ვირტუსის" ინტერესს ბოლონიური გაზეთი „კორიერე დელა სერა" ადასტურებს: *„ვირტუსელთა უფროსობა უკანა ხაზის გაძლიერებაზე სერიოზულად დაფიქრდა. გადაწყვეტილი აქვს ამერიკელი ანდრე კოლინზის შენარჩუნება და მანუჩარ მარკოიშვილის დამატება. ქართველი უკანახაზელი გუნდის შეტევით პოტენციალს საგრძნობლად გააუმჯობესებს. ეს აუცილებელია, რადგან „ვირტუსის" ხელმძღვანელობა გაისად გუნდის ევროთასზე გაყვანას აპირებს."*

ცხადია, ტრანსფერზე ორმხრივი ლაპარაკი ჯერ არ შედგება, რადგან მანუჩარს სეზონი არ დაუსრულებია - 1 ივნისიდან სერია A-ს ნახევარფინალურ ტურნირში ჩაებმება, სადაც ევროგრანდ „მონტეპასკისთან" მინიმუმ სამ მატჩს გამართავს.

დავუბრუნდეთ „ვირტუსს", რომელშიც ერთი ქართველი უკვე თამაშობს - ვიქტორ სანიკიძემ პლეი ოფი იმდენად ეფექტურად ჩაატარა, რომ არ არის გამორიცხული, ბოლონიელებმა მისი შენარჩუნება ვერ შეძლონ. თუმცა, სანიკიძეს ამ კლუბში კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი სეზონი აქვს სათამაშო...

„ვირტუსის" მფლობელი საბატინი თავის ინტერვიუში მარკოიშვილის გარდა კლუბის მწვრთნელებსა და რამდენიმე კალათბურთელზე ლაპარაკობს, მაგრამ არ ახსენებს სანიკიძეს. არც მწვრთნელზე ამბობს აუგს, თუმცა ბოლონიური გაზეთის მტკიცებით, უფროსობა **ლარდო ლინოს** შემცვლელ სპეციალისტს ეძებს.

ასეა თუ ისე, ივნისის ბოლომდე დიდ სატრანსფერო ძვრებს არ უნდა ველოდეთ. ამიტომ, სჯობს, ცხელ-ცხელ ამბავს მივუბრუნდეთ: მეხუთე მატჩის შემდეგ ვიქტორ სანიკიძეს ჟურნალისტმა **ელისა ფიორჩიმ** ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. ქალბატონი ელისა გვახსენებს, რომ მეხუთე მატჩში კანტუელებს არ დანებდა ქართველი სანიკიძე, რომელმაც 13 ქულა, 12 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. იგი ნამატჩევს გასახდელიდან პირველი გამოვიდა...

**- „მონტეპასკისთან" ნახევარფინალში თამაშზე ოცნება ოცნებადვე დარჩა?**

- საერთო ჯამში ცუდად არ გამოვსულვართ, მაგრამ ბოლო პერიოდში გუნდური თამაში არ გამოგვივიდა, იოლად ჩასაგდები ბევრი ბურთი ავაცილეთ. სწორედ ეს გახდა წაგების მიზეზი.

**- შინ მოგებული ორი მატჩის შემდეგ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „ვირტუსმა" თვითრწმენა დაიბრუნა...**

- ასეც იყო. თუმცა, საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა გულშემატკივარმა - კანტუელმა ქომაგმა ადგილობრივ გუნდს დიდი დახმარება გაუწია. ჩვენ კი არაორგანიზებულად ვთამაშობდით, განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაშის შემოტრიალება შეიძლებოდა.

**- მწვრთნელმა ლარდო ლინომ „ვირტუსის" გამოსვლა დადებითად შეაფასა. ეთანხმები?**

- მიმაჩნია, რომ კარგი სეზონი გვქონდა. თასის ფინალში გავედით და ჩემპიონატიც სტაბილურად ჩავამთავრეთ. ბოლო მატჩის დასრულების შემდეგ მწვრთნელი გასახდელში შემოვიდა და კარგად ჩატარებული სეზონისთვის მადლობა გადაგვიხადა.

**- პეტრი კოპონენის გამოკლებამ თქვენზე როგორ იმოქმედა?**

- მისი არყოფნა დიდი დანაკლისი იყო. პეტრი გუნდის სქემების მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ და სისტემიდან მისმა ამოვარდნამ შედეგებზეც უარყოფითად იმოქმედა. ანდრე კოლინზის ტრავმა კი ბოლო დარტყმა აღმოჩნდა. დევიდ მოსსაც შეუშალა ხელი ტრავმებმა...

**- იმედგაცრუებული ჩანხარ...**

- ყველას სურდა ჩემპიონატში რაც შეიძლება უკეთესი შედეგისთვის მიეღწია, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გსურს. ნეგატიური ფიქრისგან უნდა გავთავისუფლდეთ, უბრძოლველად არაფერი დაგვითმია. ყველა შეხვედრაში მაქსიმუმი ჩავდეთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ბოისა ფინალს მოგებით იწყებს

**ხორვატიის** ჩემპიონატის ფინალურ სერიაში სენსაცია დაფიქსირდა: „ზადარმა" „ციბონას" სტუმრად მოუგო - 80:76. თანაბარ მატჩში გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე ტაბლოზე საყაიმო ანგარიში ეწერა - 72:72. ამ ეპიზოდის შემდეგ **მოროვიჩმა** ორი ორქულიანი ჩააგდო, **პერიჩმა** სამიანი მიაყოლა და 7:1 გაქცევის შემდეგ „ზადარი" 79:73 დაწინაურდა. ციბონელებმა მდგომარეობის გამოსწორება ვერც ფოლების ტაქტიკაზე გადასვლით მოახერხეს.

ხშირად გაიგონებთ, ფინალში რადგან გავიდა, ე.ი. ძლიერი გუნდიაო. აქედან გამომდინარე შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: რატომ მოვნათლეთ „ზადარის" სტუმრად გამარჯვება სენსაციად? გიპასუხებთ: გასულ კვირას **ვლადიმერ ბოისას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. იგი ამბობდა, რომ ფინალში გასვლა „ზადარისთვის" მაქსიმუმი იყო, რადგან ნახევარფინალისტთა შორის ყველაზე მცირე ბიუჯეტი ზადარელებს აქვთ. მანვე დასძინა: იმედია, ორ საშინაო მატჩს მაინც მოვიგებთო.

...პირველი თამაშის მერე კი სხვა რეალობა გადაიშალა: ჩემპიონობასთან „ზადარი" გაცილებით ახლოსაა, ვიდრე „ციბონა". ვნახოთ, შეინარჩუნებს თუ არა ამ უპირატესობას ბოისას გუნდი. მომდევნო მატჩი ზადარში 1 ივნისს შედგება.

არ გეგონოთ, რომ ქართველი ფორვარდის მონაგარის გაცნობა დაგვავიწყდა. ვოვამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 21 წუთში 6 ქულა (4-დან 3 ორქულიანი), 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ზადარელთა ბომბარდირები **მარკო კარი** და **როკ სტიპჩევიჩი** გახდნენ - 19-19 ქულა ჩააგდეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფარიკაობა

# ხმალში ჩვენ, დაშნასა და რაპირაში სტუმრები

**საქართველოს**, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 80-მდე მოფარიკავე მონაწილეობდა **გალაქტიონ ჩიქოვანის** მეშვიდე მემორიალში, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა. პირველობისთვის 1991 წელს და უფრო გვიან დაბადებული გოგონები და ვაჟები იბრძოდნენ. ხმალში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. მეტოქეებზე ორი წლით უმცროსმა **სანდრო ბაზაძემ** 12 შეხვედრა მოიგო, მათ შორის ფინალში აზერბაიჯანელ **იუსუბ ბუდაგოვთან** და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატის ქალთა ფინალში მოხმალავე **თათია აფციაურმა** უმცროს კონკურენტ **თეოდორა კახიანს** აჯობა. ქუთაისშიც იგი თავიდანვე 8:2 დაწინაურდა, მაგრამ თეოდორამ შეძლო შეხვედრის ბედის შემოტრიალება, საბოლოოდ 15:12 გაიმარჯვა და რევანში აიღო. რაც შეეხება დაშნასა და რაპირაში პაექრობებს, აქ სომეხი მუშკეტერები დომინირებდნენ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ** გვაუწყა, რომ შეჯიბრების ორგანიზაციით მოხიბლულ სტუმართაგან აზერბაიჯანის 20 მოხმალავე დარჩა ქუთაისში ქართველებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად. ისინი ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელსაც 16 ივლისიდან გერმანია უმასპინძლებს. ქართველთაგან იქ მხოლოდ მოხმალავენი — **ბექა და სანდრო ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი,** თათია აფციაური და თეოდორა კახიანი გაემგზავრებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქებმა საქართველოს 20 მოფარიკავე მიიწვიეს მწვრთნელებითურთ აგვისტოს მიწურულს ერთობლივი საწვრთნელი შეკრებისა და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ერთობლივი შეკრების კვებისა და სასტუმროს ხარჯებს მთლიანად მასპინძლები გაიღებენ.



სანდრო ბაზაძე



თეოდორა კახიანი

**კვარცხლბეკი**

**ხმალი. ვაჟები:** 1. სანდრო ბაზაძე (ქუთაისი), 2. იუსუფ ბუდაგოვი. 3. აზარ ტაგიევი (ორივე — აზერბაიჯანი) და იური ნებიერიძე (ქუთაისი). **გოგონები:** 1. თეოდორა კახიანი, 2. თათია აფციაური, 3. სოფიო კახიანი (სამივე — თბილისი) და მარია გულიაევა (აზერბაიჯანი).

**რაპირა. ვაჟები:** 1. არმენაკ გასპარიანი, 2. გევორქ არუთუნიანი (ორივე — სომხეთი), 3. სანდრო სიხარულიძე და არჩილ უგულავა (ორივე — თბილისი). **გოგონები:** 1. სუსანა კაზარიანი (სომხეთი), 2. თეონა გოგლიძე (თბილისი), 3. ასმიკ აგაბანიანი და მამიკ აკოფიანი (ორივე — სომხეთი).

**დაშნა. ვაჟები:** 1. სპარტაკ არუთუნიანი, 2. რობი ხაჩატრიანი (ორივე — სომხეთი), 3. ტანან ალიევი და ფარიდ მამედოვი (ორივე — აზერბაიჯანი). **გოგონები:** 1. ბუსრა ვაროლი (თურქეთი), 2. ხატია ლელაძე (ქუთაისი), 3. რემსუე ვაროლი (თურქეთი) და მარი ზაკირჩენკო (ქუთაისი).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ტატიშვილის წლის პირველი ტიტული

**20 წლის ანა ტატიშვილმა** (152) წლის პირველი ტიტული მოიგო, ანამ იტალიურ გრადოში 25-ათასიან ტურნირში გაიმარჯვა, სადაც მე-6 ნომრად იყო განთესილი. ტატიშვილი მხოლოდ იმიტომ მოხვდა იტალიაში, რომ მან ვერ გაიარა როლან გაროსის საკვალიფიკაციო ბადე. ზოგი ჭირი მარგებელიაო და ქართველმა 40 სარეიტინგო ქულა პარიზში, ხოლო 50 გრადოში დაიბევა, რაც უახლეს მომავალში რეიტინგში ტატიშვილის წინსვლას გამოიწვევს.

ტურნირის ნახევარფინალში ქართველმა სამ სეტში მოუგო ესპანელ **ესტრელა კაბესა-კანდელას** (223) - 7:6 (3), 5:7, 6:1. მეორე ნახევარფინალში სერბმა **ანა იოვანოვიჩმა** (261) იტალიელ **ჯულია მაირს** (306) აჯობა - 6:4, 7:5. ფინალში ტატიშვილმა შური იძია თანამემამულის დამარცხებისთვის, გრადოს ტურნირის მერვედფინალში სერბმა იოვანოვიჩმა მე-7 ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვა** (163) დაამარცხა. ტატიშვილმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკში დათმო, თუმცა შემდეგ იძალა - 6:7 (3), 6:3, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მუზიჩუკი სრული სვლით

**სლოვენიის** სახელით მოასპარეზე უკრაინელი **ანა მუზიჩუკი**, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, **მაია ჩიბურდანიძის** თასის გათამაშების რეიტინგფავორიტია და ჯერჯერობით ამართლებს კიდეც: ერთპიროვნულმა ლიდერმა ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო. შაბათს მან შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ **ნარგიზ უმუდოვას** აჯობა. ასევე, შავებით მიაღწია წარმატებას საქართველოს ნაკრების წევრმა **ნინო ხურციძემ**, რომელმაც **მერი არაბიძეს** სძლია. ლიდერთა ჯგუფის შვიდი ორთაბრძოლა კი ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **ნინო ბაციაშვილი-ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი-სოფიკო გურამიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი-გულნარ მამადოვა** (აზერბაიჯანი), **სოფიო ტყეშელაშვილი-მირანდა მიქაძე, მაკა ფურცელაძე-სოფიო ნიკოლაძე, ინგა ხურცილავა-სოფიო გვეტაძე, ნათია ჯალაბაძე-სალომე მელია.**

საგულისხმოა, რომ პირველი 16 პარტიიდან 8 შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს, ამდენივეში კი შავებმა იმარჯვეს, რაც იშვიათად ხდება ხოლმე.

გუშინ, არჩევნებთან დაკავშირებით, ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს კი მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **მუზიჩუკი (5)-ხურციძე (4), ჯავახიშვილი (3,5)-ბაციაშვილი (4), ხოტენაშვილი (3,5)-ტყეშელაშვილი (3,5), ზ. მამედიაროვა (3,5)-ჭარხალაშვილი (3,5), მიქაძე (3,5)-ხურცილავა (3,5), ტერელაძე (3,5)-ფურცელაძე (3,5), გურამიშვილი (3,5)-უმუდოვა (3,5), ნიკოლაძე (3,5)-მამადოვა (3,5), მელია (3)-ხმიადაშვილი (3), ხუხაშვილი (3)-გავაშელი (3), გალოიანი (3)-ყორყოლიანი (3), გვეტაძე (3)-ჯალაბაძე (3), ვახანია (3)-არაბიძე (3), თ. მამედიაროვა (2,5)-ს. ხაჟომია (3).**

**ვაჟა დანელია**

უნივერსიადა 2010 | ტაბლო

**ცურვა**

უნივერსიადის პროგრამით ასპარეზობა დაამთავრეს მოცურავეებმა. თავისუფალ ყაიდასა და ბრასში (თითოეული-50 მ) გოგონებიც მონაწილეობდნენ და ვაჟებიც, ხოლო ბატერფლაიში, გულაღმა (ორივე-50 მ) და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მხოლოდ მამაკაცები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

**თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. ანაიდა გორდეზიანი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), 2. ნუცა თევზაძე (ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი), 3. სოფიო მაჭავარიანი (ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი). **ვაჟები.** 1. გიორგი ბუხრიკიძე (ილიას უნივერსიტეტი), 2. ივანე ლექვთაძე (თსუ), 3. რევაზ სულავა (სტუ).

**ბრასი. გოგონები.** 1. ანა გოდერძიშვილი (თსუ), 2. სოფიო მაჭავარიანი (ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი), 3. ნათია ჩაჩხიანი (ილიას უნივერსიტეტი). **ვაჟები.** 1. ივანე ლექვთაძე (თსუ), 2. გიორგი კეკელია (ილიას უნივერსიტეტი), 3. გიორგი საბაშვილი (აგრარული უნივერსიტეტი).

**გულაღმა ცურვა.** 1. ალექსანდრე ნემსაძე (თსუ), 2. გიორგი ბუხრიკიძე (ილიას უნივერსიტეტი), 3. დავით ხაბულიანი (აგრარული).

**ბატერფლაი.** 1. გიორგი კეკელია (ილიას უნივერსიტეტი), 2. ალექსანდრე ხახანაშვილი (სტუ), 3. ლაშა მეტრეველი (თსუ).

**კომპლექსური ცურვა.** 1. გიორგი ბუხრიკიძე, 2. ლაშა მეტრეველი, 3. ნიკოლოზ ჯანგავაძე (საქართველოს უნივერსიტეტი).

**ჩოგბურთი**

გოგონათა პაექრობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **გვანცა სუქნიძემ** იყოჩაღა - ფინალში სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელ **ნინო ყაჯრიშვილს** აჯობა-6:1,6:3. მესამე ადგილი **ნანუკა შადურს** (კავკასიის უნივერსიტეტი) ხვდა. ვაჟებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამედიცინო უნივერსიტეტის ჩოგბურთელი **ბიძინა ამაშუკელი** ავიდა. გადამწყვეტ პაექრობაში მან ილიას უნივერსიტეტელ **მერაბ ქაშიბაძეს** სძლია-6:3, 6:4. მესამე ადგილი გორელ **გიგა პაპუაშვილს** ერგო.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი



ლელო-აკადემია

# ლელო ტიტულის დათმობას არ აპირებს

| 30 მაისი | |
|---|---|
| ლელო | 20 |
| აკადემია | 6 |

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია, მანჯავიძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა (თოფურია 18, ლამბაშიძე 76) (1-8) მირცხულავა (ცხოვრებაშვილი 66), ჭყონია (გაბელია 77), სუჯაშვილი, აზალაძე, ჯალაღონია (ხორბალაძე 35), სურგულაძე (მძინარიშვილი 55), სარდანაშვილი, ჭყოიძე.

*2ლ: ჭყონია, აზალაძე. 2გ,2ს: ყიასაშვილი*

სინბინი: გაბელია

აკადემია (15-9) ელიზბარაშვილი, ჭუაძე, ნასიძე, მოლოდინაშვილი, გოგოლაშვილი, ავლოხაშვილი, ქოპილაშვილი (დავითაშვილი 68) (1-8) ლომსაძე, მეკოკიშვილი, ლამბაშიძე, ნებულიშვილი, ლომიძე (მაშიაშვილი 60), ნიბლაძე (ჩაჩუა 62), მაღლაკელიძე, გაჩეჩილაძე.

*ს: მეკოკიშვილი, ა: ელიზბარაშვილი*

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „ლელომ" პირველი წრის გადატანილ შეხვედრაში ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე „აკადემია" დაამარცხა - 20:6 და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტიტულის დათმობას არ აპირებს.

„აკადემია" ისეთი გუნდია, ნებისმიერ მეტოქეს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს და სერიოზული პრობლემები შეუქმნას. კარგად ჩანდა, რომ აკადემიელები „ლელოსთან" სათამაშოდ სერიოზული, საბრძოლო განწყობით გამოვიდნენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „აკადემიამ" პირველ ტაიმში „ლელოს" აჯობა. არადა, პირველი ნახევარი ფრედ - 3:3 დამთავრდა. მე-12 წუთზე ანგარიში აკადემიელთა ფულბეკმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** 40 მეტრიდან არეკნით გახსნა - 3:0. უფრო დაწინაურება აკადემიას კიდევ რამდენჯერმე შეეძლო, მაგრამ შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** სამი საჯარიმო ვერ გაიტანა, ტაიმის მიწურულს კარში დარტყმა ელიზბარაშვილმა იკისრა, მაგრამ მანაც ვერ გაიტანა.

„ლელო" შეტევის ორგანიზებას ვერაფრით ახერხებდა. მეტოქე დაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდა. ერთადერთი შეცდომა აკადემიელებმა 29-ე წუთზე დაუშვეს, რაც ლელოელთა ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** მყისვე გამოიყენა. მან საჯარიმოთი გაათანაბრა.

მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „ლელო" გაცილებით აქტიურად ათამაშდა და უპირატესობას დაეუფლა. „აკადემია" 65-ე წუთამდე გმირულად უმკლავდებოდა ლელოელთა მრავალრიცხოვან შეტევებს. ყიასაშვილმა ახლო მანძილიდან საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები - 6:3. სამ წუთში კი პირველი ლელოც გატანეს. აკადემიელებმა ბურთი მოედნის ცენტრში დაკარგეს. პირველხაზელმა **შოთა ცხოვრებაშვილმა** ფეხით გადაკიდა მეტოქის ნახევარზე. იქ ბურთს შუამარბი **გიგა კორკელია** დაეუფლა, რომელიც რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტა და 30 მეტრი ირბინა. მისი შებოჭვა „აკადემიამ" ზედ ლელოს ხაზთან შეძლო. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი შერკინების კვაჭმა **ირაკლი ჭყონიამ** აიტაცა და ჩათვლის მოედანში შეიტანა. ყიასაშვილმა გარდასახა - 13:6.

აკადემიელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ისინი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ამოსვლას ხელდახელ ბურთაობით ცდილობდნენ, როცა „ლელოს" მეორეხაზელმა **ლაშა აზალაძემ** ერთ-ერთი გადაცემა ჩაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 20:16.

| არმაზი-ბათუმი XV | 14:7 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. აია | 7 | 6 | 0 | 1 | +55 | 12 |
| 2. ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | +64 | 10 |
| 3. ლელო | 7 | 5 | 0 | 2 | +100 | 10 |
| 4. ყოჩები | 6 | 4 | 0 | 2 | +44 | 8 |
| 5. არმაზი | 7 | 3 | 0 | 4 | -38 | 6 |
| 6. აკადემია | 7 | 2 | 0 | 5 | -22 | 4 |
| 7. ბათუმი XV | 7 | 1 | 0 | 6 | -91 | 2 |
| 8. ხარები | 7 | 1 | 0 | 6 | -115 | 2 |

## შვიდკაცა რაგბი

ევროპის სერია

# მეოთხე ადგილი ოდესაში

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა უკრაინის შავიზღვისპირა ქალაქ ოდესაში გამართულ ევროპის სერიის პირველ ეტაპზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა ჯგუფურ ტურნირში სამი შეხვედრა მოიგეს და ერთიც მოლდოვის ნაკრებთან ფრედ დაასრულეს - 12:12. ამდენივე მატჩი მოიგეს მოლდოველებმაც და მოპოვებული ქულების უკეთესი ბალანსის წყალობით, B ჯგუფში პირველ ადგილზე ჩვენი გუნდი გავიდა.

ქართველი მორაგბეები ნახევარფინალში A ჯგუფის მეორეადგილოსან რუსეთის ნაკრებს მატჩის ბოლო წუთამდე 19:14-ს უგებდნენ, მაგრამ ამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს. თამაში 19:21 წავაგეთ.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები 10:21 დამარცხდა უკრაინის ნაკრებთან, რომელსაც ქართველი მწვრთნელი **ზაზა ლეჟავა** თავკაცობს. ტურნირი რუსებმა მოიგეს. ფინალში მათ მოლდოვის ნაკრები - 35:12 დაამარცხეს.

## ლეგიონერები

# დავით ზირაქაშვილი საფრანგეთის ჩემპიონია

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** პირველი ქართველია, ვინც საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ ქვეყნის ჩემპიონატი ინგლისის „გინეს პრემიერშიფთან" ერთად ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა ევროპაში.

კლერმონელთა გამარჯვება მით უფრო ფასეულია, რომ შაბათს „სტად დე ფრანსზე" გამართული ფინალი მათთვის მე-11 იყო. წინა ათში „ვულკანებმა" წარმატებას ვერაფრით მიაღწიეს. მეტიც „ზირაქა" და კომპანია, ზედიზედ მეოთხედ გავიდნენ ფინალში. მიჯრით სამი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, ნავსი გატყდა. „კლერმონის" თითოეული მორაგბე სამუდამოდ შევა ისტორიაში, როგორც ამ კლუბის პირველი ჩემპიონი. მათ შორის ერთი ქართველი, დავით ზირაქაშვილიც იქნება.

„კლერმონმა" ფინალამდე საკმაოდ ძნელი გზა განვლო. შარშანდელი ჩემპიონატისაგან განსხვავებით, „ვულკანებმა" რეგულარული გათამაშება ვერ მოიგეს. მეტიც, გათამაშების ახალი ფორმატის გამო, პლეი ოფის ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში მოუწიათ თამაშმა. მიუხედავად ყველა სიძნელისა, გუნდმა ყველა წინააღმდეგობა გადალახა და სეზონი ტრიუმფით დაასრულა.

ჩვენებურის გუნდმა ფინალში საფრანგეთის ჩემპიონი, კატალონიური „პერპინიანი" 19:6 დაამარცხა. რაგბის ქართველი ქომაგები მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის საყურებლად ვერის ბაღში „ვერე სტეიკ ჰაუზის" ხელმძღვანელობამ დაპატიჟა. გულშემატკივრებს უფასოდ გაუმასპინძლდა და მშვენიერი სანახაობის ხილვის საშუალებაც მისცა.

იქვე იმყოფეოდა ნაკრების მწვრთნელი **ტიმ ლეინი**, მისი ასისტენტი **ილია მაისურაძე** და საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი **რიჩი დიქსონი**. ყველას იმედი ჰქონდა, რომ „კლერმონი" ბოლოს და ბოლოს შეძლებს სამი მარცხით მიღებული მწარე გამოცდილების გაანალიზებას და ჩემპიონობის მოპოვებას.

თამაში ორივე გუნდმა საკმაოდ აგრესიულად დაიწყო. კლერმონელები თავიდანვე შეტევაზე გადავიდნენ, რაც, ცხადია, მეტოქეს დიდად არ ეამა. კატალონიელები რიგ მომენტებში უხეშობდნენ კიდეც, მაგრამ არბიტრი ყველანაირად ცდილობდა, ყვითელი ბარათის ჩვენების გარეშე დაეშოშმინებინა მოთამაშეები.

ანგარიში საჯარიმოთი კლერმონელთა ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** მე-11 წუთზე გახსნა. ექვს წუთში კი მოედნის საკუთარი ნახევრიდან დაწყებული შეტევა „კლერმონის" ფიჯელმა გარემარბმა **ნაპოლიონი ნალაგამ** ლელოთი დაასრულა. ამ შეტევისას ბრწყინვალედ გაისარჯა „ვულკანების" ახალზელანდიელი მგეზავი **ბრუკ ჯეიმზი**, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და სალელოვე შეტევა წამოიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ის კლერმონელთა შორის საუკეთესო იყო.

ნალაგას გატანილი ლელო პარამ გარდასახა და მე-17 წუთისთვის „კლერმონი" უკვე 10:0-ს იგებდა. „პერპინიანი" ფარ-ხმალის დაყრას, ცხადია, არ აპირებდა და მომდევნო 12 წუთში ფულბეკმა **ჟერომ პორიკალმა** ორი საჯარიმო გაიტანა - 6:10. ამის მეტი პერპინიენელებს მონაგარისთვის არაფერი მიუმატებიათ, რაც მთლიანად პორიკალის ბრალია - მან ოთხი საჯარიმო ვერ გაიტანა. 29-ე წუთზე პარამ საჯარიმოთი სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა - 13:6. პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

44-ე წუთიდან თამაშში დავით ზირაქაშვილიც ჩაერთო, თუმცა მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ფეხი დაიშავა და მოედანი დატოვა. პარამ საჯარიმოდან კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად, რასაც ფულბეკმა **ენტონი ფლოშმა** 30 მეტრიდან არეკნი მიაყოლა - 19:6.

კლერმონში გამარჯვებას დილამდე ზეიმობდნენ.

| კლერმონი-პერპინიანი | 19:6 |
|---|---|

კლერმონი (1-9) ფლოში, ნალაგა, რუჟერი, ჟუბერი, მალზიო, ჯეიმზი, პარა (1-8) დომინგო, ლედესმა (კაბელო 70), სკელცო (ზირაქაშვილი 44), კუდმორი, პრივა (პიერი 53), ბონერი, ვერმულენი, ლაპანდრი (ოდობერტი 60)

*ლ: ნალაგა. 3ს,გ: პარა. ა: ფლოში*

პერპინიანი (15-9) პორიკალი , პლანტე, მარტი, მერმოსი, მანასი, პუმი, დურანი (მელე 65) (1-8) ფრეშვეტერი (შუსტერი 63), ჟირადო (ტინკუ 56), მასი (პულუ 69), ოლიბო, ჩალე-ვათჩუ, ტონიცა, პერესი (ლე კოვრეკი 54), ტუილაგი (ვილასესა 56)

*2ს: პორიკალი*

მსაჯი: კრისტოფ ბერდოსი



დავით ზირაქაშვილი (მარჯვნიდან მეორე) და კლერმონი ჩემპიონობას ზეიმობენ

## ზე 14

# მისი ბრწყინვალება ბლუ ბულზი

პრეტორიის „ბლუ ბულზმა" ზე 14-ის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. ფინალში სოვეტოს „ორლანდო სთედიუმზე" ჩემპიონებმა კეიპთაუნის „სთორმერზს" მოუგეს - 25:17 და დაამტკიცეს, რომ სამხრეთ ნახევარსფეროში ბადალი არ ჰყავთ.

პრეტორიელების გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკური იყო. „ლურჯი ხარები" მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდნენ და ესეც რომ არ იყოს, მაღალი დონის თამაშს აჩვენებენ. გუნდი ყველა პოზიციაზე საუკეთესო მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. ნებისმიერს შეუძლია კრიტიკულ მომენტში ლიდერის ფუნქცია იტვირთოს და მატჩის ბედი საკუთარი გუნდის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

„ბლუ ბულზმა" საგრძნობი უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე მოიპოვა და 25-ე წუთისთვის მშრალად 16:0-ს იგებდა. სამი საჯარიმო პრეტორიელთა მგეზავმა **მორნი სტეინმა** გაიტანა. მან, თუ ერთადერთ გაცუდებულ არეკნს არ ჩავთვლით, რაც კარში დაარტყა, ყველა გაიტანა და გუნდს 20 ქულა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა) მოუტანა.

26-ე წუთზე კი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა გარემარბმა **ფრანსუა ჰაუხარდმა** „ბლუ ბულზის" ულამაზესი კომბინაცია ლელოთი დაასრულა. ფრანსუა, ყველასათვის მოულოდნელად, მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან წარმოქმნილ რაკთან ახლოს, მესამეხაზელის პოზიციაზე აღმოჩნდა. ცხრა ნომერმა **ფური დუ პრიმ** მახვილგონივრული გადაცემით ის გარღვევაზე გაიყვანა. დიდი სისწრაფით დაძრული პრეტორიელის შეჩერება „სთორმერზის" მძიმე, გაცილებით მოუქნელმა მეორეხაზელებმა ვერაფრით შეძლეს. სტეინმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა.

ანგარიშში სხვაობა კეიპთაუნელებმა 30-ე წუთზე შეამცირეს. საჯარიმო **პიტერ გრანტმა** გაიტანა - 3:16, პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

მეორე ნახევარში „სთორმერზი" თითქოს ოდნავ გააქტიურდა. 53-ე წუთზე კეიპთაუნელთა გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ**, რომელიც ჯერ კიდევ შარშან „ბლუ ბულზის" ღირსებას იცავდა, ლელო გაიტანა. თუმცა ეს პრეტორიელთა უნებლიე შეცდომის შედეგი უფრო იყო, ვიდრე მეტოქის გარჯის ლოგიკური დასასრული.

ჰაბანამ მოწინააღმდეგის ოცდაორმეტრიან ზონასთან დუ პრის გადაცემა ჩაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. გრანტმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 10:16. „სთორმერზს" მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდა.

თუმცა, პრეტორიელებმა არ დაანებეს. მათ შეტევებს სთორმერზელები წესის დარღვევით იგერიებდნენ და მორნი სტეინმა კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა - 25:10. კეიპთაუნელები თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შეცვლაზე შესული ცხრა ნომრის **ენრიკო იანუარის** ლელომ გამოაცოცხლა. კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ გვიანღა იყო.



სამხრეთ ნახევარსფეროში საუკეთესო გუნდი ბლუ ბულზი

| ბლუ ბულზი-სთორმერზი | 25:17 |
|---|---|

ბლუ ბულზი (15-9) კირშნერი, ფან დენ ევერი (ფან დერ ვესტჰოიზენი 9), პრეტორიუსი, ულიფიე, ჰაუხარდი, სტეინი, დუ პრი (1-8) სტენკამპი, ბოთა (მაკუ 74), კრუხერი (რუ 73), როსუ (ფან დერ მერვე 59), მეტფილდი, სტიგმანი (კუნი 70), პოტხიტერი (ფანენბურხი 60), სპისი

*ლ: ჰაუხარდი. 6ს,გ: სტეინი*

სთორმერზი: (15-9) პიტერსენი, ეფლონი, ჟ.ფური, დე იონგი (ვაითჰედი 24), ჰაბანა, გრანტი, დუვენაგე (იანუარი 65) (1-8) ბლაავი (კრიჩინგერი 55), ლიბენბერხი (დ.ფური 64), ჰარისი, ფონდსე (ფან ზილი 59), ბეკერი, ბურხერი, ლოუ, ვერმულენი

*2ლ: ჰაბანა, იანუარი. 2გ,ს: გრანტი*

მსაჯი: კრეიგ ჯუბერი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

უცხოური სპორტი

კრივი | სატიტულო ბრძოლა



# კლიჩკომ გაივარჯიშა

უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** მე-10 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა პოლონელი **ალბერტ სოსნოვსკი** და შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტული. გულშემატკივრები და ექსპერტები გაკვირვებულნი დარჩნენ - უფრო ადრე რატომ არ გაარკვია უფროსმა კლიჩკომ კლასით დაბალ მოწინაალმდეგესთან ურთიერთობა.

ჩემპიონი ცხრა რაუნდის განმავლობაში აუჩქარებლად და მშვიდად ამუშავებდა მეტოქეს, მეათე 3-წუთეულში კი, როგორც იქნა მთელი ძალა ჩადო დარტყმაში, რომელმაც ორთაბრძოლის ბედი გადაწყვიტა. თანაც ეს ძალიან იოლად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გააკეთა - ზუსტი ორმაგი დარტყმა, შემდეგ კიდევ ერთი და ნოკაუტი.

ბრძოლის წინ ბევრი იტეხდა თავს იმაზე, როგორ ტაქტიკას აირჩევდა სოსნოვსკი ჩემპიონის წინააღმდეგ. პოლონელ მოკრივეზე მცირე ინფორმაცია არსებობდა, ამიტომაც წინასწარ მისი ტაქტიკური მონახაზის შესახებ წარმოდგენა არავის ჰქონდა. ყველა მხოლოდ ერთ აზრამდე მიდიოდა: პოლონელი შეეცდებოდა აქტიური ყოფილიყო. ასეც მოხდა: სოსნოვსკი ძალიან აქტიური იყო, ზედმეტადაც კი. მაგრამ მის მოქმედებაში ბევრი ზედმეტი და უაზრო მოძრაობა შეინიშნებოდა. ასე იბრძოდა ის იქამდე, სანამ ძალები არ გამოელია.

საწყისი რაუნდები საკმაოდ ნელ ტემპში წარიმართა, ჩემპიონის მცირე უპირატესობით. ვიტალი უფრო ხშირად ახვედრებდა მიზანში და ქულებს აგროვებდა. სოსნოვსკის აქტიურობა კი ზუსტ დარტყმებამდე თითქმის არ მიდიოდა. პოლონელი კონცენტრირებული იყო არა მარტო ეფექტურ მოქმედებაზე, არამედ იმაზეც, რომ ძლიერი დარტყმა არ გაეტარებინა. ბრძოლის ასეთი ხასიათი გელზენკირხენულ პუბლიკას დიდად არ მოეწონა, მაყურებელმა სტვენა დაიწყო და მოკრივეებს უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. მეხუთე რაუნდისთვის მოკრივეებმა ტემპს მოუმატეს და თითქოს აქედან მოყოლებული უნდა დაწყებულიყო ვიტალის პრესინგი.

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ბრძოლის სურათი არ იცვლებოდა. კლიჩკო მეთოდურად მუშაობდა მარჯვენა ხელით და ხანდახან რთავდა საქმეში მარცხენას, ამასთან, უკრაინელს დაცვაში არანაირი პრობლემა არ ჰქონდა - ბრძოლა ცალმხრივი იყო. ყოველი რაუნდის შემდეგ სოსნოვსკი სულ უფრო მძიმედ სუნთქავდა, კონტრშეტევებზე გადავიდა და გაცილებით ნელა ამოძრავდა. მერვე და მეცხრე რაუნდები უკრაინელის უდიდესი უპირატესობით წარიმართა. ამ დროის განმავლობაში პოლონელი მხოლოდ თავდაცვაზე ზრუნავდა და იშვიათად პასუხობდა მეტოქეს დარტყმების მოკლე სერიებით.

მეცხრე რაუნდის ბოლოს სოსნოვსკი კინაღამ ნოკდაუნში აღმოჩნდა. ვიტალის ორმა მარჯვენა დარტყმამ გვარიანად შეაქანა პოლონელი, მაგრამ პრეტენდენტმა გაუძლო. მე-10 რაუნდში სოსნოვსკის საერთოდ გამოელია ძალა. ალბერტი კონცენტრაციას კარგავდა და შესაბამისად, მეტ დარტყმას უშვებდა. როგორც ზემოთ ვთქვით, სამდარტყმიანი კომბინაცია მისთვის ფატალური აღმოჩნდა. სოსნოვსკი დაეცა და რეფერიმ მომენტალურად დააფიქსირა შეხვედრის დასრულება. ეს იყო ვიტალის მე-40 გამარჯვება პროფესიულ რინგზე, ამასთან, მან ზედიზედ მეექვსედ წარმატებით დაიცვა WBC-ის ტიტული.

ბრძოლის შემდეგ სოსნოვსკიმ მადლობა გადაუხადა ვიტალის შესანიშნავი ბრძოლისთვის და აღიარა, რომ კლიჩკო სამართლიანად ატარებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს. *„მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც აქ ჩემს მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ. წესრიგში ვარ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ვიტალი ძლიერი მეტოქეა და მომავალ ბრძოლებში მას წარმატებას ვუსურვებ“*, - თქვა პოლონელმა. თავის მხრივ, კლიჩკომ ასეთი კომენტარი გააკეთა ამ ბრძოლის შედეგზე: *„ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი მოქმედებით. ვფიქრობ, სოსნოვსკიც უნდა შევაქოთ, რადგან მან დიდი სამუშაო გასწია, მონდომა, მაგრამ მე ახლა ბრწყინვალე ფორმაში ვიმყოფები. ვხედავდი მის შეცდომებს და ვიყენებდი მათ“.*

ახლა ყველა იმას კითხულობს, ვინ იქნება დოქტორ კლიჩკოს შემდეგი მეტოქე. თავად უკრაინელის თქმით, ის ეცდება რინგზე ბრიტანელ **დევი ჰეისთან** შეხვედრას, რომელიც WBA-ის ტიტულს ფლობს. ალტერნატიული ვარიანტია რუსი **ნიკოლაი ვალუევი**. ამ უკანასკნელმა სულ მალე კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** უნდა იჩხუბოს, რის შემდეგაც გაირკვევა - რამდენად ექნება რუს გიგანტს უფროს კლიჩკოსთან წარმატების მიღწევის შანსი.

რაც შეეხება ვიტალის მომავალს, კერძოდ, მისი პენსიაში გასვლის სავარაუდო თარიღს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვიტალი, როგორც მინიმუმ ორ ბრძოლას ჩაატარებს. ამის შესახებ შაბათს გახდა ცნობილი. ძმები კლიჩკოები კონტრაქტს გააფორმებენ გერმანულ ტელეკომპანია RTL-თან. ხელშეკრულების ღირებულება 15 მილიონი ევროა და ის ძმების ხუთი ბრძოლის ტელეტრანსლაციას ითვალისწინებს. კომპანია **ვლადიმერის** სამ და ვიტალის ორ ბრძოლას აჩვენებს.

კალათბურთი | NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# კლასიკურ ფინალს ვნახავთ

აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი გახდა „ბოსტონ სელტიქსი“, რომელიც 3:0-ს უგებდა სერიას „ორლანდოს“, მაგრამ მხოლოდ მეექვსე მატჩში გაიფორმა საბოლოო გამარჯვება. ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი (17-გზის ჩემპიონი) ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ ითამაშებს ფინალში. ბევრ გულშემატკივარს იმედი ჰქონდა, რომ ფლორიდელები აქამდე არნახულ შედეგამდე მივიდოდნენ და 0:3-დან შეძლებდნენ სერიის მოგებას, მაგრამ **დუაიტ ჰოვარდსა** და კომპანიას ამ გმირობისთვის ძალა არ ეყო. „მეჯიქმა“ ისტორია ვერ გადაწერა.

მეექვსე მატჩის წინ სპეციალისტები და ჟურნალისტები მხოლოდ „კელტების“ პრობლემებზე ლაპარაკობდნენ. სახელდებოდა მრავალრიცხოვანი ტრავმა. **მარკის დანიელსი** ტვინის შერყევის გამო ვერ მოხვდა განაცხადში, ანალოგიური დაზიანებით გავიდა მოედანზე **გლენ გევისი**, **ტონი ალენს** ტერფი სტკიოდა, **რაშიდ უოლასს** - ზურგი. მატჩის მსვლელობისას ამ სიას დაემატა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **რაჟონ რონდო.** გამთამაშებელი პირველ მეოთხედში გარღვევაზე წავიდა, კორპუსში მძიმე დარტყმა მიიღო და ცუდად დაეცა მოედანზე. რონდომ თამაში დატოვა და მისი ადგილი ტანმორჩილმა **ნეიტ რობინსონმა** დაიკავა, რომელიც შემდეგ მატჩის გმირად მოინათლა.

ჩატენვების კონკურსის სამგზის გამარჯვებულს ამ პლეი ოფში პრაქტიკულად არ უთამაშია და ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში მის ანგარიშზე მხოლოდ 24 ქულა იყო. მიუხედავად ამისა, „ბოსტონის“ დამრიგებელ **დოკ რივერსს** მისი სჯეროდა. რობინსონმა მეორე მეოთხედში 13 ქულა დააგროვა, ორი სამქულიანი ჩააგდო და თავის მეურვეს **ჯამირ ნელსონს** ტექნიკური პერსონალური მიაღებინა. ნეიტის აქტიურობამ ის გამოიწვია, რომ მეორე მეოთხედის შუაში „ბოსტონის“ უპირატესობამ 21 ქულა შეადგინა - 48:27. მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს სხვაობა კატასტროფული იყო. „მეჯიქის“ კალათბურთელებმა, პირველ რიგში ჰოვარდის მონდომებით, რამდენჯერმე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ გამარჯვებაზე პრეტენზიას აღარ აცხადებდნენ.

**სტენ ვან განდის** შეგირდების ბოლო იმედი დიდი შესვენების შემდეგ დაიმსხვრა. 2008 წლის ჩემპიონებმა 11:2 გაქცევა მოაწყვეს, რომლის დროსაც **რეი ალენმა** ორჯერ ჩააგდო სამქულიანი (38 წამში), **პოლ პირსის** შორეული ტყორცნის შემდეგ კი მესამე შესვენებამდე 8 წუთითა და 44 წამით ადრე „კელტებმა“ 66:44 წაიყვანეს ანგარიში. სტუმრებს მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისად ჰქონდათ, მაგრამ ემოციურად ისინი განადგურებულნი იყვნენ. პირსმა, რომელმაც საბოლოოდ 31 ქულა, 13 მოხსნა და 5 პასი დააგროვა, გააგრძელა მეტოქის დაცვის მასხრად აგდება და მატჩში მაქსიმალურ სხვაობამდე აიყვანა თავისი გუნდის უპირატესობა - 24 ქულა მეოთხე მეოთხედის სტარტზე. დარჩენილ დროში „ორლანდომ“, რომელმაც 22-დან მხოლოდ ექვსი სამქულიანი ჩააგდო, თამაშს ინტრიგის მსგავსიც ვერ დაუბრუნა. „ბოსტონმა“ მოიგო სერია 4:2 და ფინალში გავიდა, სადაც დოკ რივერსის გუნდს არ ექნება საკუთარი მოედნის უპირატესობა.

■ ■ ■

მეხუთე მატჩში დასანანმა წაგებამ ვერ გატეხა „ფინიქსი“, პირიქით, „სანზის“ კალათბურთელები სერიოზულად იყვნენ განწყობილნი მეექვსე მატჩისთვის. „მზეების“ ლიდერმა **სტივ ნეშმა** ღიად განაცხადა, რომ მისი გუნდი მოიგებს შინ და კალიფორნიაში მეშვიდე მატჩის სათამაშოდ დაბრუნდება.

კანადელმა გამთამაშებელმა დანაპირები ვერ აასრულა და ამაში დამნაშავე „ლეიკერსის“ ვარსკვლავი **კობი ბრაიანტია**, რომელმაც 37 ქულა ჩააგდო და მატჩის ბოლოს რამდენიმე ურთულესი ტყორცნა მოათავსა კალათში. „ფინიქსის“ დაცვა ბევრს ეცადა, მაგრამ „შავი მამბას“ შეჩერება ვერ შეძლო.

„ფინიქსი“ ის გუნდია, რომელსაც აღმერთებენ თავისი გულშემატკივრები, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი განებივრებულნი არ არიან დიდი გამარჯვებებით. „სანზმა“ თავისი არსებობის ისტორიაში მხოლოდ ორჯერ ითამაშა NBA-ის ფინალში. სხვათა შორის, „ფინიქსის“ უიღბლობის სიმბოლოდ, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, სწორედ ნეში მიიჩნევა. ეს შეხვედრა სტივისთვის 118-ე იყო პლეი ოფში. საუკეთესო მაჩვენებელია იმ მოთამაშეებს შორის, რომლებსაც ფინალში არასოდეს უთამაშიათ.

კანადელს ძალიან უნდოდა ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა, მაგრამ გმირობის ჩადენა ვერ შეძლო. 0:2-დან სერიის მოგება იმ გუნდისთვის, რომელსაც **ფილ ჯექსონი** ავარჯიშებს და ისეთი ვარსკვლავები ჰყავს, როგორებიც არიან ბრაიანტი, **გასოლი, ოდომი** და **არტესტი**?! ეს მართლაც შეუძლებელია.

და მაინც, მეექვსე მატჩის გამო მასპინძლები იმსახურებენ ქებას. მეორე მეოთხედის მსვლელობისას „ფინიქსი“ 18 ქულას აგებდა, ბოლო მეოთხედის წინ კი თითქმის უიმედო ჩამორჩენა ჰქონდა - 74:91, მაგრამ ხელები არ ჩამოუშვა. „სანზის“ რეზერვისტებმა და **ამარე სტაუდმაიერმა** ბოლო 12-წუთეულის სტარტზე 16:4 გაქცევა მოაწყვეს და საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე ხუთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა. განსაკუთრებით კარგი იყო ამ მონაკვეთში **გორან დრაგიჩი.** სლოვენიელი გამთამაშებელი მოედანზე უსწრაფესად გადაადგილდებოდა და ყველაფერს ასწრებდა - ჩაგდებას (10 ქულა ბოლო მეოთხედში), პასების დარიგებას, ჩაჭრას და მეტოქეებთან კამათსაც კი. გორანმა თანამემამულე **საშა ვუიაჩიჩის** პროვოცირება მოახერხა, რომელსაც ხელის მოქნევისთვის ტექნიკური ჯარიმა მისცეს.

ამ მონდომებამ მასპინძლებს კინაღამ გამარჯვება მოუტანა. 2 წუთითა და 19 წამით ადრე ნეშის გარღვევის შემდეგ ჩამორჩენა სამ ქულამდე შემცირდა. დარბაზი ფეხზე დადგა. მაგრამ დარჩენილ დროში მაყურებელმა მხოლოდ კობი ბრაიანტის მორიგი შოუ იხილა.

*„ეს არ ყოფილა უბრალოდ ტყორცნები, ეს იყო კალათბურთში საუკეთესო მოთამაშის შოუ“*, - აღიარა მატჩის შემდეგ განაწყენებულმა ნეშმა. ძნელია არ დაეთანხმო კანადელს: 34 წამით ადრე ბრაიანტის მიერ ჩაგდებული ორქულიანი, რომელმაც პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი, ნამდვილ დაცინვას ჰგავდა. იმ მომენტისთვის სხვაობა 5 ქულა იყო. სტუმრებს შეტევისთვის განკუთვნილი დრო ეწურებოდა, კობის **გრანტ ჰილი** ავიწროებდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია „ლეიკერსის“ ლიდერისთვის, ურთულესი სიტუაციიდან მორიგი ორი ქულა მოეტანა თავისი გუნდისთვის. ამით „ფინიქსისთვის“ სეზონი დასრულდა. „სანზის“ მთავარმა მწვრთნელმა **ელვინ ჯენტრიმ** ამ წაგებაში კობი ბრაიანტი დაადანაშაულა. *„ყოველთვის ვიცოდი, რომ ის პლანეტის საუკეთესო კალათბურთელია“*,. - თქვა ჯენტრიმ. *„დიახ, კობი დღეს შეუდარებელი იყო“*, - დაეთანხმა კოლეგას ფილ ჯექსონი.

**ბოსტონი-ორლანდო 96:84**

**30:19, 25:23, 27:19, 14:23**

ბ: პირსი (31+13 მოხსნა+5 პასი), რ. ალენი (20+4 მოხსნა), რონდო (14+6 პასი), რობინსონი (13), გარნეტი (10+5 მოხსნა), დევისი (6+7 მოხსნა), პერკინსი (2+7 მოხსნა), ტ. ალენი, უოლასი.

ო: ჰოვარდი (28+12 მოხსნა), კარტერი (17+7 მოხსნა), ნელსონი (11+4 პასი), ლუისი (7+8 მოხსნა), რედიკი (7+3 ჩაჭრა), პიეტრუსი (7), ბარნსი (1), გორტატი (1), ბასი.

**სერია: 4:2**

**ფინიქსი-ლეიკერსი 103:109**

**34:37, 19:28, 21:26, 29:20**

ფ: სტაუდმაიერი (27+3 ჩაჭრა+2 დაფარება), ნეში (21+9 პასი+5 მოხსნა), რიჩარდსონი (13), ფრაი (12+13 მოხსნა), დრაგიჩი (12), ბარბოზა (7), ჰილი (6+3 პასი), დადლი (3+2 დაფარება), ამუნდსონი (2), ლოპესი.

ლ: ბრაიანტი (37+6 მოხსნა+3 პასი), არტესტი (25+3 ჩაჭრა), ფიშერი (11), ბინუმი (10+6 მოხსნა+2 დაფარება), გასოლი (9+7 მოხსნა), ფარმარი (8+5 პასი), ოდომი (6+12 მოხსნა+3 პასი), ვუიაჩიჩი (5), ბრანი.

**სერია: 2:4**

**ფინალური სერია**

3 ივნისი. ლეიკერსი-ბოსტონი
6 ივნისი. ლეიკერსი-ბოსტონი
8 ივნისი. ბოსტონი-ლეიკერსი
10 ივნისი. ბოსტონი-ლეიკერსი
13 ივნისი. ბოსტონი-ლეიკერსი
15 ივნისი. ლეიკერსი-ბოსტონი
17 ივნისი. ლეიკერსი-ბოსტონი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ფორმულა 1 — თურქეთის გრან-პრი




# სტამბოლში დიდი ცირკი იყო

დიდიხანია, ფორმულა 1-ის მოყვარულებს ასეთი საინტერესო ბრძოლა არ უნახავთ. სტამბოლის ავტოდრომზე ორჯერ გაიმართა დაწინაურებულ პილოტებს შორის ბრძოლა და ამან ეტაპის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი“) ვერ აასრულა დანაპირები და ვერ შეძლო სტარტზე პოულის მფლობელის, ავსტრალიელი **მარკ უებერის** („რედ ბული“) გასწრება. უფრო მეტიც, ლუისმა **სებასტიან ფეტელიც** („რედ ბული) წინ გაუშვა. თუმცა გერმანელი მეორე ადგილზე დიდხანს არ ყოფილა - ჰემილტონმა ფეტელს გონს მოსვლა არ აცალა და მალე ალადგინა სტატუს-კვო. მსგავსი სიტუაცია იყო **ჯენსონ ბატონისა** („მაკლარენი“) და **მიხაელ შუმახერის** („მერსედესი“) წყვილში: გერმანელმა სტარტზე წინ გასვლა მოახერხა, მაგრამ მალე ისევ მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა.

ამ გადაადგილებებმა პელოტონში ორი ძირითადი ჯგუფი წარმოშვა: წინ კომპაქტურად მიდიოდა ოთხეული, რომელიც ორი „რედ ბულისა“ და ორი „მაკლარენისგან“ შედგებოდა, მათ მიჰყვებოდა მიხაელ შუმახერი, რომელსაც მრბოლელების მთელი ჯგუფი მისდევდა, მათ შორის **ფერნანდო ალონსო** („ფერარი“). ესპანელმა სტარტზე მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა და მე-12 ადგილზე დარჩა.

ამ ჯგუფებში პილოტები ძალიან მჭიდროდ მიდიოდნენ, რაც მაყურებელს საინტერესო ბრძოლისთვის განაწყობდა, მაგრამ გასწრებამდე საქმე არ მისულა, ასე რომ, ცვლილებები პირველი პიტსტოპების შემდეგ იყო მოსალოდნელი. ალონსომ გაიხსენა მონაკოში არჩეული წარმატებული ტაქტიკა და ერთ-ერთი პირველი წავიდა მექანიკოსებთან. ამან ისევ მოუტანა ესპანელს წარმატება - ფერნანდომ **კამუი კობაიაშისა** („BMW-ზაუბერი“) და **ადრიან სუტილს** („ფორს ინდია“) გაუსწრო და ათეულში შევიდა.

დაძაბული ბრძოლა გამოუვიდათ ბოქსებში **რობერტ კუბიცას** („რენო“) და **ფელიპე მასას** („ფერარი“). ფრანგული საჯინიბოს მექანიკოსებმა ბოლო მომენტში მოასწრეს პოლონელის ბრაზილიელზე წინ გაშვება. ასე რომ, აქ ცვლილება არ მომხდარა, სამაგიეროდ, გადაადგილებები მოხდა ადგილი ლიდერებს შორის! ფეტელი ბოქსებში უებერისა და ჰემილტონის წყვილზე ადრე შევიდა. ამ გარემოებამ და აგრეთვე იმან, რომ „მაკლარენის“ მექანიკოსებმა არც ისე სუფთად იმუშავეს, ფეტელს კვლავ მოუტანა მეორე ადგილი. ბატონმა ყველას მოტყუება მოინდომა და პიტ-სტოპზე ყველაზე გვიან შევიდა. როგორც ალმოჩნდა, მსოფლიოს ჩემპიონი ტრასაზე შეყოვნდა და საბოლოოდ, რბოლას ლიდერთა ტრიოს უკან დაუბრუნდა.

მეორე პოზიციის დაკარგვის გამო „გაბრაზებულმა“ ჰემილტონმა ფეტელის გარე რადიუსით გასწრება მოინდომა, მაგრამ „რედ ბულის“ პილოტმა შეინარჩუნა ოპტიმალური ტრაექტორია და ლუისი წინ არ გაუშვა. ასე რომ, ლიდერებმა ბრძოლა იმ თანმიმდევრობით გააგრძელეს, როგორიც პირველი პიტ-სტოპის შემდეგ დაფიქსირდა, თანაც ისინი ერთმანეთის მიყოლებით აფიქსირებდნენ წრეებზე საუკეთესო დროებს.

პილოტთა მეორე ჯგუფში „მერსედესის“ პილოტთა ძალისხმევით გახლეჩა მოხდა: შუმახერი თანაგუნდელ **ნიკო როსბერგს** გაექცა, რომელიც, თავის მხრივ, დანარჩენი კონკურენტების უკან ჩამოტოვებას ვერ ახერხებდა. პილოტები კვლავ მჭიდროდ მიდიოდნენ, მაგრამ შეტევაზე არავინ გადადიოდა.

საბოლოოდ, შედარებითი სიმშვიდე ფეტელმა დაარღვია - გერმანელს მობეზრდა უებერის უკან ყოფნა. სებასტიანმა შეამჩნია ავსტრალიელის შეცდომა მე-11 მოსახვევში და სწორ მონაკვეთზე შეტევაზე გადავიდა. შემდეგ კი უცნაური რამ მოხდა: მე-12 მოსახვევის წინ გერმანელმა ოდნავ მარჯვნივ აილო საჭე - პირდაპირ უებერის ბოლიდზე. ასე დაასამარა ფეტელმა ამ რბოლაში თავისი და მარკის შანსები.

სებასტიანი დაზიანებული ბოლიდით ტრასის მიღმა დარჩა და ხელებს იქნევდა, მარკმა კი ბრძოლის გაგრძელება შეძლო, მაგრამ უკვე მესამე პოზიციაზე იმყოფებოდა - ორი „მაკლარენის“ უკან. ორი „რედ ბულის“ შეჯახებისას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ავარია ფეტელის პროვოცირებული იყო, რომელმაც გადაწყვიტა, რომ უებერს მისთვის გზა უნდა დაეთმო.

რბოლის შემდეგ გერმანელმა პილოტმა განაცხადა, რომ ამ ინციდენტში არ თვლის თავს დამნაშავედ: *„მე მგონი ყველამ დაინახა, რომ შიდა ტრაექტორიაზე ვიდექი. უკვე წინ ვიყავი გასული და დამუხრუჭებისთვის ვემზადებოდი, როცა ერთმანეთს შევეჯახეთ და მე ტრასიდან გადავვარდი.*

*რბოლაში მსგავსი ინციდენტები ხშირად ხდება. არ გვინდოდა ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ იმ სიტუაციაში სხვა გზა არ იყო. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ - შიდა რადიუსზე ვიყავი, ვამუხრუჭებდი და უცებ, ასეთი რამ მოხდა“.*

სებას აზრით, იმ მომენტში უებერზე შესამჩნევად სწრაფი იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მე-12 მოსახვევში უკვე უკან ჰყავდა ჩამოტოვებული თანაგუნდელი: *„მე უებერზე მცირედი უპირატესობა მქონდა, მივუახლოვდი მას და სწორ მონაკვეთზე გავასწარი“.*

ასე რომ, ჰემილტონი და ბატონი რბოლას სათავეში ჩაუდგნენ, უებერმა კი იძულებითი პიტ-სტოპის (შეცვალეს წინა ანტიფრთა და დაზიანებული საბურავები) შემდეგ მესამე ადგილი შეინარჩუნა. „მაკლარენის“ პილოტებს შორის სხვაობა ძალიან მცირე იყო და „რედ ბულის“ მსგავსად, ამ გუნდის წევრებს შორისაც ელოდნენ ბრძოლას.

მართლაც, 48-ე წრის ბოლოს ბატონმა შეტევა წამოიწყო და მოსახვევების ფინალური სერიის წინ ლიდერობაც მოიპოვა, მაგრამ სასტარტო სწორი მონაკვეთის ბოლოს ჰემილტონმა ხისტი და რაც მთავარია, წარმატებული კონტრშეტევა განახორციელა! გამარჯვება ლუისს დარჩა. გულშემატკივარმა მადლობა უნდა გადაუხადონ „მაკლარენს“ პატიოსანი ბრძოლისთვის. ლიდერობისთვის ლამაზმა ბრძოლამ ფორმულა 1-ის მოყვარულებს გასული საუკუნის 80-იანი წლები გაახსენა.

| თურქეთის გრან-პრი | |
|---|---|
| 58 წრე, 309.396 კმ | |
| 1(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:28.47,620 |
| 2(4). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +2,645 |
| 3(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +24,285 |
| 4(5). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +31,110 |
| 5(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +32,266 |
| 6(7). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +32,824 |
| 7(8). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +36,635 |
| 8(12). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +46,544 |
| 9(11). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +49,029 |
| 10(10). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | +1.05,650 |
| 11(13). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | +1.05,944 |
| 12(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +1.07,800 |
| 13(18). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 1 წრე |
| 14(15). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 15(9). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 16(14). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 17(17). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე |
| 18(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 3 წრე |
| 19(23). ლუკას დე გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 3 წრე |
| 20(24). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 6 წრე |
| 21(22). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 12 წრე |
| 22(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 18 წრე |
| 23(20). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 25 წრე |
| 24(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 27 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 93 ქულა (2 მოგება); 2. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 88 (2); 3. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 84 (1); 4. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 79 (1); 5. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 78 (1); 6. **რობერტ კუბიცა** (რენო, პოლონეთი) - 67 (0); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 67 (0); 8. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 66 (0); 9. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 34 (0); 10. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 22 (0); 11. **ვიტანტონიო ლიუცი** (ფორს ინდია, იტალია) - 10 (0); 12. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 7 (0); 13. **ვიტალი პეტროვი** (რენო, რუსეთი) - 6 (0); 14. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 3 (0); 15. **ნიკო ჰიულკენბერგი** (უილიამსი, გერმანია) - 1 (0); 15. **კამუი კობაიაში** (BMW-ზაუბერი, იაპონია) - 1 (0); 15. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 1 (0).

### კონსტრუქტორთა თასი

1. **მაკლარენი** - 172 ქულა; 2. **რედ ბული** - 171; 3. **ფერარი** - 146; 4. **მერსედესი** - 100; 5. **რენო** - 73; 6. **ფორს ინდია** - 32; 7. **უილიამსი** - 8; 8. **ტორო როსო** - 4; 9. **BMW-ზაუბერი** - 1.

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| გერმანია | |
| ბრემერჰავენი-სკაილაინერსი | 53:79 |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 94:82 |
| საბერძნეთი | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 79:72 |
| ესპანეთი | |
| ბარსელონა-უნიკახა | 71:58 |
| კახა ლაბორალი-რეალი | 85:80 (ო) |

## TV პროგრამა

### 31 მაისი. ორშაბათი

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ლამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-დინამო.
08:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. საბერძნეთი-გერმანია.
09:40 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. რუმინეთი-პოლონეთი.
10:50 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუსეთი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სტანდარდი-არსენალი.
16:10 ახალი ამბები.
16:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. საბერძნეთი-გერმანია.
18:10 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. რუმინეთი-პოლონეთი.
19:20 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუსეთი.
20:30 ახალი ამბები.
20:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-ინტერი.
22:55 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
00:45 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
02:35 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. საბერძნეთი-გერმანია.
03:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. რუმინეთი-პოლონეთი.
04:55 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუსეთი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
10:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. იტალია-რუსეთი.
11:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
12:30 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
13:00 ჩოგბურთი. როლან გაროსი. IX დღე (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
21:10 ჩოგბურთი. როლან გაროსი. IX დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
23:00 მულტისპორტი.
23:05 პრო-რესტლინგი.
00:30 მულტისპორტი.
00:50 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ.
01:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ (LIVE).
02:30 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ.
03:00 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. ფინალი




# მხიარული ჰოკეი

სტენლის თასის ფინალური სერია უხვგოლიანი მატჩით დაიწყო. ჩიკაგოში ადგილობრივმა „ბლეკჰოქსმა“ და „ფილადელფია ფლაიერზმა“ ჯამში 11 შაიბა გაიტანეს. ბოლოჯერ პლეი ოფის ფინალში ასეთი შედეგიანობა 18 წლის წინ, 1992 წელს დაფიქსირდა. მაშინ „პიტსბურგმა“ „ჩიკაგო“ 6:5 დაამარცხა.

თითქოს მოილაპარაკესო, მეტოქეები პირველი 40 წუთის განმავლობაში ართობდნენ პუბლიკას „მხიარული“ ჰოკეით, რომელიც საგამოფენო მატჩებშია დაშვებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ფინალურ სერიაში. ცდებოდა პრაქტიკულად ყველა და ამან ის გამოიწვია, რომ პირველი ორი პერიოდის შემდეგ ანგარიში 5:5 იყო.

პრინციპში, ანგარიშის გარდა, გუშინდელ მატჩში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ყველამ იცოდა, რომ „ჩიკაგოს“ ჰოკეისტები სწრაფები არიან, „ფილადელფია“ კი ახლოს არავის უშვებს საკუთარ კართან. ამ მატჩმა დაადასტურა, რომ **კრის პრონგერი** ამ პლეი ოფის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, **დეივ ბოლანდი** კი სტენლის თასის ალმოჩენა.

უნდა ალინიშნოს, რომ „ფილადელფია“ არც ერთხელ არ ყოფილა რიცხობრივ უმცირესობაში, თავის მხრივ, ჩიკაგოელები ოთხჯერ დაისაჯნენ ორწუთიანი ჯარიმით, მაგრამ ეს ფაქტორი სტუმრებმა ვერ გამოიყენეს, პირიქით, ბოლანდმა რიცხობრივ უმცირესობაში შეძლო თავის გამოჩენა.

ასევე უნდა ალინიშნოს გუნდების მეორე შეტევითი სამეულების შედეგიანი თამაში. „ფილადელფიას“ ტრიოს (**ჰარტნელი-ბრიერი-ლეინო**) ანგარიშზე 3 გოლი და 9 ქულა მოდიოდა! „ჩიკაგოს“ მეორე სამეულმა (**ბროუერი-შარპი-ჰოსა**) ასევე 3 გოლი გაიტანა და 6 ქულა მოიპოვა. ცალკე ალნიშვნის ღირსია ჩიკაგოელთა მესამე შეტევითი სამეული. სწორედ მან გადაწყვიტა მატჩის ბედი - ბოლანდის ბრწყინვალე გოლი უმცირესობაში, **კრის ვერსტეეგის** შაიბა, რომელმაც ანგარიში 4:4 გახადა და რა თქმა უნდა, **ტომაშ კოპეცკის** გამარჯვების გოლი.

„ფლაიერზისთვის“ კოპეცკის მოედანზე გამოჩენაც კი სიუპრიზი იყო. ფორვარდმა, რომელმაც რამდენიმე კვირა ტრავმის გამო გამოტოვა, ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. მესამე პერიოდის შუაში ის ვერსტეეგის პასს გამოეხმაურა და **ბუშეს** კარი აილო. სხვათა შორის, სლოვაკს მოპოვებული აქვს სტენლის თასი „დეტროიტის“ შემადგენლობაში, მაგრამ ფინალურ სერიაში შაიბა პირველად გაიტანა.

არავის გაუკვირდებოდა, დარჩენილ დროში „ფილადელფიას“ კიდევ ერთხელ რომ გაეთანაბრებინა ანგარიში, მაგრამ ბოლოს მასპინძლებმა უშეცდომოდ ითამაშეს.

**ჩიკაგო-ფილდელფია 6:5**

**2:3, 3:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 ლეინო-5 (ბრიერი-10, პრონგერი-11), 1:1 ბროუერი-3 (მარიან ჰოსა-10, სოპელი-4), 2:1 ბოლანდი-6, 2:2 ჰარტნელი-4 (ბრიერი-11, პრონგერი-12), 2:3 ბრიერი-10 (ლეინო-9, ჰარტნელი-6), 3:3 შარპი-8 (ბროუერი-2, ჰიალმარსონი-5), 3:4 ბეტსი-1 (ეშემი-3, პოუ-1), 4:4 ვერსტეეგი-5 (კოპეცკი-2, კეიტი-10), 5:4 ბროუერი-4 (მარიან ჰოსა-11, ჰიალმარსონი-6), 5:5 ეშემი-4 (ბრიერი-12, ჰარტნელი-7), 6:5 კოპეცკი-4 (ვერსტეეგი-6, ბოლანდი-6).

**სერია: 1:0**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ანენი მარიას გადაურჩა

როლან გაროსის ქალთა ბადე ისე შედგა, რომ მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი - **მარია შარაპოვა** და **ჟუსტინ ანენი** უკვე მესამე წრეში უნდა შეხვედროდენ ერთმანეთს. სწორედ მათი დაპირისპირება მიიჩნეოდა როლან გაროსის პირველი კვირის მთავარ მატჩად. მეტოქეებმა წარმატებით გაიარეს საწყისი ეტაპები - ორ-ორი მატჩი ორ-ორ სეტში მოიგეს.

ჟუსტინსა და მარიას საფრანგეთის ღიას მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ: ბელგიელს აქ ოთხჯერ გაუმარჯვია, მარიასთვის კი ეს არის „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი, სადაც მთავარი პრიზი არ მოუპოვებია. ურთიერთშეხვედრათა ანგარიში ანენის სასარგებლოდ იყო - 6:3. მათი ბოლო შეხვედრა 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე შარაპოვამ ძალიან დამაჯერებლად - 6:4, 6:0 მოიგო. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ჩოგბურთიდან წასვლა მოასწრო, მეორემ კი დაახლოებით ამდენივე გამოტოვა ტრავმის გამო.

თამაში შაბათს საკმაოდ გვიან დაიწყო - დაბნელებამდე დაახლოებით საათნახევარი რჩებოდა. თანაც მცირე წვიმა დაიწყო, რომელიც ჩოგბურთელებს თამაშის საშუალებას კი აძლევდა, მაგრამ ხელს უშლიდა შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში. შესაძლოა, ასეთმა ამინდმა მაყურებელი შეაშინა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტრიბუნები სანახევროდ იყო სავსე.

ჟუსტინი უფრო სწრაფად შევიდა თამაშში, მარია კი პირველივე წუთებიდან ბევრ შეცდომას უშვებდა. ამის წყალობით ანენმა რამდენიმე წუთში ორმაგი ბრეიკით წაიყვანა ანგარიში. მხოლოდ ამის შემდეგ გაასწორა რუსმა მიზანი, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო - შარაპოვამ საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ ორი გეიმის აღება მოასწრო - 2:6.

მეორე სეტში ზუსტად ის თამაში წავიდა, როგორსაც გულშემატკივრები ელოდნენ - ყოველი ქულისთვის თავგანწირული ბრძოლა. ვერც ერთი ჩოგბურთელი ვერ ახერხებდა სოლიდური უპირატესობის მოპოვებას. ამასთან ორივენი ნერვიულობდნენ და იმატა ორმაგმა შეცდომებმა და ბრეიკ-პოინტებმა. მაგალითად, მეშვიდე გეიმში ჟუსტინს სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ რუსმა გაუძლო, რის შემდეგაც უფრო მოუმატა თამაშს და მატჩში პირველი ბრეიკი გაიფორმა, რაც საკმარისი აღმოჩნდა სეტის მოსაგებად - 6:3. ამის შემდეგ, ჩოგბურთელები და მსაჯი სიბნელის გამო თამაშის მეორე დღისთვის გადადებაზე შეთანხმდნენ. პრაქტიკულად ახალი მატჩი დაინიშნა, უბრალოდ გამარჯვებისთვის ერთი სეტის მოგება იყო საჭირო.

მესამე სეტზე შარაპოვა ფანტასტიკური განწყობით გავიდა და მაშინვე დაწინაურდა - 2:0, მესამე გეიმში კი სამმაგი ბრიკ-პოინტი მოიპოვა. ანენი სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა და ბელგიელის სასახელოდ უნდა ითქვას, ის ღირსეულად გამოვიდა უმძიმესი სიტუაციიდან. მან გადაარჩინა გეიმი, რომელშიც მის მეტოქეს ჯამში ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. თამაშის მსვლელობა 180 გრადუსით შეიცვალა. ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით ჟუსტინი 4:2 დაწინაურდა.

ახლა უკვე მარიას მოუწია ხასიათის სიმტკიცის გამოვლენამ. რუსმა დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა, რაშიც მეტოქე დაეხმარა, რომელმაც ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მაგრამ ეს დროებითი წარმატება იყო. შემდეგი ორი გეიმი ბელგიელს დარჩა და ამან ანენს მერვედფინალის საგზური მოუტანა.

რუსული ჩოგბურთის პრესტიჟი გუშინ **ნადია პეტროვამ** დაიცვა, რომელმაც სულ რაღაც საათნახევარი იკმარა მსოფლიოს მეორე ჩოგნის - **ვენუს უილიამსის** დასამარცხებლად. პირველ სეტში ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც პეტროვამ პარტიის შუაში აიღო.

მეორე სეტი იმით დაიწყო, რომ ამერიკელმა ორგეიმიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ რუსმა ძალიან მალე აღადგინა თანაფარდობა, შემდეგ კი ვენუსმა მეტოქეს მეშვიდე გეიმი აჩუქა - უილიამსმა ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. 5:3-ზე ნადიამ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და წერტილი დაუსვა შეხვედრას. პეტროვა მეოთხედფინალში თანამემამულე **ელენა დემენტიევას** შეხვდება, ასე რომ, რუსეთს ნახევარფინალში ერთი წარმომადგენელი აუცილებლად ეყოლება.

■ ■ ■

გასულ უქმეების ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახდა **ენდი როდიკის** მარცხი რუს **თეიმურაზ გაბაშვილთან**. ქართული წარმოშობის ჩოგბურთელმა სამ სეტში მოუგო მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანს, თანაც ისე, რომ არც ერთი პარტიაში საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მისულა - 6:4, 6:4, 6:2. გაბაშვილისთვის ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა კარიერაში. რუსმა მთელი მატჩის განმავლობაში 58 „ვინერსი" დააგროვა! როდიკის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 14-ს შეადგენდა. ამერიკელის



გასასამართლებლად ის შეიძლება ითქვას, რომ **სუზან ლენგლენის** სახელობის კორტი ყველაზე ნელია პარიზში - ამ არენაზე ენდიმ ხუთი მატჩიდან ვერც ერთი ვერ მოიგო.

კაცებს შორის მოულოდნელობები ამით არ დასრულებულა. მაგალითად, ესპანელმა **დავიდ ფერერმა** სამ სეტში წააგო **იურგენ მელცერთან** და ახლა ავსტრიელი მერვედფინალში სწორედ გაბაშვილს შეხვდება. ტურნირის წინ ასეთ წყვილს, ალბათ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. წააგო ფერერის თანამემამულე **ხუან-კარლოს ფერერომ**. მისი მატჩი **რობი ჯინეპრისთან** დრამატულად ვითარდებოდა. ამერიკელმა პირველი ორი სეტი მოიგო, მაგრამ შემდეგ თიხნარის დიდოსტატმა ფერერომ ინიციატივა მოიპოვა. როლან გაროსის 2003 წლის ჩემპიონმა სეტებში გაათანაბრა ანგარიში და გადამწყვეტ პარტიაში ბრეიკით დაწინაურდა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ვეტერან ესპანელს ძალა გამოელია და წააგო - 5:7, 3:6, 6:3, 6:2, 4:6.

ამ გამარჯვებით ჯინეპრი ყველაზე წარმატებული ამერიკელი გახდა მიმდინარე როლან გაროსზე. ის შემდეგ წრეში **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შეხვდება, რომელმაც საკმაოდ რთულად მოუგო **ვიქტორ ჰანესკუს** - რუმინელმა სერბს ერთი სეტი აართვა. ჯოკოვიჩის შემდეგ ცენტრალურ კორტზე მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის - **რაფაელ ნადალისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** ბრძოლა ვიხილეთ. ამ მატჩში ინტრიგა არ ყოფილა. ჰიუიტისთვის ნამდვილ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან მეტოქეს თავი არ დაამცირებინა.

მამაკაცების მეოთხედფინალში შარშანდელი ფინალის გამეორებას ვიხილავთ - **როჯერ ფედერერი რობინ სიოდერლინგის** წინააღმდეგ. შვეცარიელმა გუშინ სამ სეტში მოუგო თანამემამულე **სტანისლას ვავრინკას** - 6:3, 7:6(5), 6:2. როჯერს მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა, როცა ვავრინკა 4:2 იყო დაწინაურებული, მაგრამ ფედერერმა შეძლო ტაი-ბრეიკამდე მიღწევა. „შემოკლებულ გეიმში" 5:5-ზე ვავრინკამ იოლი ბურთი გააფუჭა და როჯერს სეტპოინტი აჩუქა. ფედერერმაც ეს შანსი გამოიყენა, რის შემდეგაც სტანისლასმა ჩოგანი დაახეთქა კორტზე.

სიოდერლინგმა გაანადგურა ხორვატი **მარინ ჩილიჩი** - 6:4, 6:4, 6:2. შვედმა საათსა და 40 წუთში 7 ბრეიკი მიითვალა და რაც მთავარია, მატჩის გადამწყვეტ მომენტებში უშეცდომოდ თამაშობდა.

ასე რომ, მეოთხედფინალში დიდი შეხვედრა გველის. გამარჯვების შემთხვევაში ფედერერი ზედიზედ 24-ედ (!) გავა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში.

## კაცები

### 1/16 ფინალი

**მიხაილ იუჟნი (რუს, 11)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 2:6, 7:6(4), 6:2, 6:3; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:4, 6:4, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 22)**-დავიდ ფერერი (ესპ, 9) 6:4, 6:0, 7:6(1); **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16) 7:5, 6:3, 3:6, 2:6, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 31) 6:3, 3:6, 6:3, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 30) 2:6, 6:3, 6:3, 6:7(1), 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) 6:3, 6:3, 6:4; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 24)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 14) 7:6(4), 6:2, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა 28) 6:3, 6:4, 6:3.

### 1/8 ფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 20) 6:3, 7:6(5), 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 10) 6:4, 6:4, 6:2; ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 15)-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:4, 3:4 შეწყდა; **მიხაილ იუჟნი (რუს, 11)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8) 6:2 ცონგას უარი.

## ქალები

### 1/16 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 29) 6:1, 1:6, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 18)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 13) 7:6(7), 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 7)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:3, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 27) 6:4, 7:6(3); **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 23)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 16) 7:5, 6:3; **იარმილა გროტი (ავსტრა)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:3, 5:7, 6:2; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 28) 6:2, 4:6, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 19)**-არავან რეზაი (საფ, 15) 6:7(2), 6:4, 10:8; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 22)**-მარია შარაპოვა (რუს, 12) 6:2, 4:6, 6:4.

### 1/8 ფინალი

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 17)**-მარია კირილენკო (რუს, 30) 6:4, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-ფლავია პენეტა (იტა, 14) 7:6(5), 6:7(4), 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:1, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 19)**-ვ. უილიამსი (აშშ, 2) 6:4, 6:3.

**გია თვალაბეიშვილი**




